საზოგადოებრივ-პოლიტიკური გამოცემა
www.geworld.ge
№37 (602)
20 - 26 ოქტომბერი, 2021

# საქართველო და მსოფლიო

ფასი 1 ლარი
geworld@inbox.ru



19 პოზიტიური ტექსტები ბედნიერებაზე აკრძალულია

# «მოიკვეთე უკეთური»!

4



«არის ზოგი შეცოდება, რომ სათქმელად საძნელოა, არც შენდობა უხერხდება!» 6-7

14

## ყველაფერი შენი ბრალია, ყველაფერში დამნაშავე შენა ხარ!



ღმერთი არ გაგიწყრეთ და მიშიკო დროზე ადრე არ გამოუშვათ ან კიევს არ გადასცეთ, თორემ...



3 თამარ კიკნაძე:

მალე მივიღებთ ისეთ სურათს, რომ ახალგაზრდების უმრავლესობა ნაციონალების სულისკვეთების იქნება



საქართველოს ნამდვილ დემოკრატიას არ ანებებენ 2





რას მოუტანს საქართველოს «3+3» ფორმატში მონაწილეობაზე უარის თქმა 8-9

ევროამერიკული რეკომენდაციებით მომხდარი «ქართული ეკონომიკური სასწაული» 10




ბაყაყები, ლოკოკინები, ამერიკული სიმინდი და ვაშლის ჯიში, რომელსაც 8-ჯერ შეწამვლა სჭირდება



ხელისუფლებას არც სოფლის მეურნეობა და დასათესი ნაკვეთები ახსოვს, არც ეკონომიკა და გაძვირებული პროდუქტები 11

ბეწვის ხიდზე

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**სათვალავი აგვერია, ბოლო წლების განმავლობაში მერამდენედ გადის საქართველო ბეწვის ხიდზე; მერამდენედ ცდილობენ გარე ძალები, წინსვლისთვის გამზადებული ქვეყანა კვლავ შემოაბრუნონ და იმავე წრეზე გაუშვან, რომელზეც არაერთხელ გაიარა... სამწუხაროდ, წინსვლის ერთ-ერთი შემაფერხებლები ქართველი პოლიტიკოსებიც არიან, ისინი, ვინც, აგერ უკვე 30 წელია, ვერ მოვიშორეთ, და ისინიც, ვინც მერე მოვიდნენ. სანამ საკუთარ ინტერესზე მაღლა ქვეყნის ინტერესს არ დააყენებს ხელისუფალი, მანამ არაფერი არ გვეშველება.**

# საქართველოს ნამდვილ დემოკრატიას არ ანებებენ

**14 ოქტომბერს „ნაციონალური მოძრაობის“ მიერ თბილისში გამართული აქცია არაერთმა რუსულმა არხმა პირდაპირ ეთერში აჩვენა. ეს საკმარისი აღმოჩნდა იმისთვის, რომ „ქართული ოცნების“ ლიდერებს ეთქვათ, მიტინგი რუსეთიდან იმართება, ხომ ხედავთ, პირდაპირ ეთერში აშუქებენო. ვალში არც ოპოზიცია რჩება და როცა რუსთავში, ციხეებთან ჩადიან, ბოლო ხმაზე გაჰკივიან, რომ მიხეილ სააკაშვილი სასჯელს პუტინის ციხეში იხდის...**

უკვე მერამდენედ გაიყო ერი. ჯერ იყვნენ პუტჩისტები და ზვიადისტები, მერე — შევარდნაძისტები და ისევ ზვიადისტები, მერე — ნაციონალები და დანარჩენი საქართველო, ახლა — ქოცები და ნაცები. აღარ დამთავრდა, ველარ ველირსეთ, რომ ერი ერთ მხარეს დადგეს, გაერთიანდეს და ერთი საკეთებელი აკეთოს. ადამიანებს ერთმანეთი ეზიზღებათ და ამ ზიზღის გამოხატულებას ყოველდღიურ ცხოვრებაში ვხედავთ. სოციალურ ქსელებში ერთმანეთს წყევლიან, აგინებენ, მოსაკლავად იწევენ,... აქციაზე მიმავალ ნაციონალებს ცოცხებისა და ყავარჯნების დერეფანი მოუწყვეს და, ნება რომ მიეცათ, ერთმანეთზე რომ მიეშვათ ეს ხალხი, სისხლი დაიღვრებოდა.

არ ვდავობთ, რომ წინა ხელისუფლების პერიოდში საშინელებები ხდებოდა, მაგრამ ძალიან ბევრს აქვს პრეტენზია, რატომ აქამდე არ დაისაჯნენ იმ საშინელებების ჩამდენები და რატომ არის ბევრი მათგანი დღესაც საპასუხისმგებლო თანამდებობაზე? **გიორგი გახარიამ,** ალბათ, თვითონაც არ იცის, რა საოცარი და ისტორიული ფრაზა თქვა, როცა ტენდერებზე **„ქართული, ჯიგრული პონტი“** ახსენა. **სწორედ ასე, ქართულ, ჯიგრულ პონტში დანაშაულებს კონკრეტულმა ახლობელმა აპატია, კონკრეტულმა ახლობელმა „დაკრიშა“ და მერე რა, რომ ამით მასები გამწარდნენ. ესეც ხომ ქართული სენია — მთავარია ერთეულები იყვნენ კარგად, თორემ ხალხზე ვის და როდის უზრუნია?!**

ისიც გავიხსენოთ, რომ 2012 წელს ხელისუფლებაში მოსული „ოცნება“ 9 წლის განმავლობაში გაიძახოდა, — მიშა მოდისო, და, აჰა, მოვიდა და დააკავეს. ასევე მთელი 9 წელი ისიც იძახეს, — რუსეთი მოდისო, ოღონდ ამ შემთხვევაში ნაკლებ ომახიანად, რადგან დარწმუნებულები იყვნენ, რუსეთი არ მოდიოდა და ამის კეთებას დასავლეთი აიძულებდა. დღესაც, **ადამიანების დაპირისპირების უკან დასავლეთის კვალი უფრო ჩანს და ახლავე ავხსნით, რატომ.**

**პოლიტიკურ კულუარებში რამდენიმეჯერ ითქვა, რომ საქართველო უახლოეს მომავალში, შესაძლოა, მზად იყოს რუსეთთან პირისპირ სასაუბროდ. ეს ისე მკაფიოდ ითქვა, დასავლელმა პოლიტიკოსებმა მოვლენებს დაასწრეს და, სანამ ქართული მხარე ოფიციალურად იტყოდა რამეს, განცხადებაც კი გააკეთეს, — რუსეთთან დიალოგს თუ დააპირებს საქართველო, მხოლოდ ჩვენი შუამავლობითო. არადა, გვახსოვს, ჯერ კიდევ გახარიას პრემიერობისას, დავოსის ეკონომიკურ სამიტზე მისი და პუტინის შეხვედრა მზადდებოდა. ლაპარაკი იყო ერთზე შეხვედრაზე და ამ საქმეში ევროპა შუამავლად ჩაერია. საბოლოოდ, შეხვედრის ნაცვლად მივიღეთ გახარიას მწვავე გამოსვლა და რუსეთის პრეზიდენტის კრიტიკა.** საქართველოს პრემიერი იყო ერთადერთი, ვინც აღნიშნულ სამიტზე რუსეთი გააკრიტიკა, დანარჩენებმა კი მშვიდად განიხილეს ეკონომიკური საკითხები, გააფორმეს ახალი ხელშეკრულებები და სამიტი გამოიყენეს იმისთვის, რისთვისაც ის იმართება — ურთიერთობის მოსაგვარებლად. **ჩვენ კი ეს ურთიერთობა კიდევ ერთხელ ავრიეთ... ან აგვარევინეს.**

კიდევ ერთი პარადოქსი, რომელიც ისევ ქართულ სოციალურ ქსელებში შეინიშნება: პანდემიამ ახალი ძალით შეუტია მსოფლიოს, მათ შორის ჩვენც და ჩრდილოელ მეზობელსაც. ინფიცირებისა თუ გარდაცვალების შემთხვევები რუსეთში რეკორდულად გაიზარდა, რაც აქ ადამიანთა გარკვეულ კატეგორიაში სიხარულს იწვევს, აქაოდა, მტერს პანდემია ამარცხებს და ჟუჟავსო. არადა, ზუსტად იგივე მდგომარეობაა ჩვენთან, ყოველდღიურად რამდენიმე ათეული ადამიანი კვდება და ამ თვეში სიკვდილიანობის საერთო მაჩვენებელი, ალბათ, კვლავ მოიმატებს და უკეთესის პერსპექტივა არ ჩანს. **რუსეთზე ქილიკის ნაცვლად, ჩვენს ქვეყანას რომ მივხედოთ, ის სჯობს; გარდაცვალება კი არც ერთი ქვეყნის მოქალაქის არ უნდა გვიხაროდეს. იმავე რუსეთისგან განსხვავებით, საქართველოს იმის რესურსიც არ აქვს, რომ კვლავ სრულად დაკეტოს ყველაფერი, რადგან ეკონომიკურად ამას ქვეყანა, უბრალოდ, ველარ გადაიტანს და დეფოლტისკენ წავალთ. ეს კი სახელმწიფოს გაკოტრებულად გამოცხადებას ნიშნავს.** პანდემიის გავრცელებას ის აქციებიც შეუწყობს ხელს, რომლებსაც ერთი თუ მეორე მხარე ყოველდღიურ რეჟიმში მართავს. პოლიტიკურმა ლიდერებმა ეს ძალიან კარგად იციან და თავისაც უფრთხილდებიან, ცდილობენ, მასებს გაერიდონ და მხოლოდ მაღალი ტრიბუნიდან ისაუბრონ.



**არჩევნებმა დასავლეთს კიდევ ერთხელ დაანახვა, რომ ამ გზით წასვლა წამგებიანია და «ნაციონალურ მოძრაობას» არ ჰყავს იმდენი მხარდამჭერი, ხელისუფლებაში კანონიერი გზით რომ მოვიდეს, ამიტომ მაქსიმალურად შეუწყობს ხელს ვითარების რადიკალურად დაძაბვას და იქნებ ისე მოხდეს, როგორც 2003 წელს**

**ის, რომ მოსახლეობა, საკუთარი მხარდამჭერები ფეხებზე ჰკიდიათ, გიგი უგულავამ დაამტკიცა, როცა აქციაზე მივიდა და თანაც ხმამაღლა განაცხადა, კოვიდი მაქვსო. ის კი დააჯარიმეს (გადაიხდის თუ არა, კაცმა არ იცის), მაგრამ რამდენს დაავირუსებდა, რამდენ ახალ კერას შექმნიდა, ეგ სხვა საქმეა და, თუნდაც ერთი ადამიანი რომ გარდაიცვალოს უგულავას უგუნური ნაბიჯის გამო?** არ ღირს, რადგან ჩვენთვის, რიგითი ადამიანებისთვის, თითოეულის სიკვდილი ტრაგედიაა, თორემ პოლიტიკოსებისთვის უკვე სტატისტიკაა... ხუთნიშნა სტატისტიკა.

სიმართლე ვთქვათ და, ერთმანეთის რუსეთუმეობაში დადანაშაულებას თუ არ ჩავთვლით, ხელისუფლების უმაღლესი პირები მაღალი ტრიბუნებიდან სულ უფრო ნაკლებად **აკრიტიკებენ ჩრდილოელ მეზობელს. სწორედ ეს აწუხებს დასავლეთს და სწორედ ამიტომ ცდილობს ხელისუფლების შეცვლას.** არჩევნებმა დასავლეთს კიდევ ერთხელ დაანახვა, რომ ამ გზით წასვლა წამგებიანია და „ნაციონალურ მოძრაობას“ არ ჰყავს იმდენი მხარდამჭერი, ხელისუფლებაში კანონიერი გზით მოვიდეს, ამიტომ მაქსიმალურად შეუწყობს ხელს ვითარების რადიკალურად დაძაბვას და იქნებ ისე მოხდეს, როგორც 2003 წელს. ტყუილად კი არ ახსენა სააკაშვილმა, ამდენი ხალხი „ვარდების რევოლუციის“ დროსაც არ მყოლიაო. ეს პირდაპირი მინიშნებაა იმაზე, რომ ისინი რევოლუციის მოწყობას ისევ შეეცდებიან. ამაზე პირდაპირ მიანიშნებს ისიც, რომ არჩევნების დღეს, 30 ოქტომბერს, რუსთაველზე აქცია უკვე დაანონსდა და ითქვა, რომ გამარჯვება უნდა „გააპრავონ“. არადა, ვინ იცის, მეორე ტურები როგორ დასრულდება, მაგრამ **ნაციონალები განწყობას ქმნიან ისეთს, რომ, გამარჯვების გარდა, სხვა შედეგი მიუღებელი იქნება. დღევანდელი გადმოსახედიდან ისე ჩანს, რომ ახლო მომავალში რუსეთთან რეალურ საუბარსა და ურთიერთობაზე ხმის ამოღებას ვერავინ გაბედავს.** არადა, მხოლოდ მინიშნებები არ კმარა, რეალური საქმეა საჭირო და, სანამ დასავლეთს დაველოდებით, მანამდე საქართველოს მოსახლეობის მეოთხედი რომ იმსხვერპლოს ვირუსმა? ხომ ყველასათვის ცხადია, რომ ვირუსი, რომლის მეოთხე თუ მეხუთე ტალღა მძვინვარებს, თავს კიდევ კარგა ხნით არ დაგვანებებს და ეს იმის მიუხედავად, რომ ხელისუფლებამ 2022 წლის ბიუჯეტიდან 850 მილიონი ლარი მოხსნა, ვირუსის პრევენციისთვის აღარ მჭირდებაო. სინამდვილეში კი ბიუჯეტში ფული, უბრალოდ, არ არის და 2022 წელს სხვადასხვა სფეროს უნდა მოაკლდეს თანხები, პანდემია, ავად თუ კარგად, მინიმალურად მაინც რომ ვმართოთ. აღარაფერს ვამბობთ იმაზე, რომ ბოლო ორი წლის განმავლობაში სკოლებსა თუ უმაღლეს სასწავლებლებში ახალგაზრდები შესაბამის განათლებას ვერ იღებენ და ისედაც არცთუ სახარბიელო მდგომარეობაში მყოფი განათლების სისტემა საბოლოოდ ჩამოშლის პირასაა.

**სხვათა შორის, ცუდად გვენიშნა ისიც, რომ ოპოზიციასა და ამერიკელ სენატორებს შორის 16 ოქტომბერს გამართულ შეხვედრაზე მიხეილ სააკაშვილის შესახებ არაფერი უთქვამთ. ამერიკელებმა ერთი წუთიც კი არ დაუთმეს საქართველოს მესამე პრეზიდენტზე საუბარს და ახლავე აგიხსნით, ეს ცუდი რატომაა. 30-ში, იმ აქციაზე, რომელიც დაგვიანონსა ოპოზიციამ, რამე რომ მოხდეს, ამერიკელები ხელებს დაიბანენ, აქაოდა, ჩვენ არაფერი ვიცით, აგერ, ბოლო შეხვედრაზე, სააკაშვილის თემას არც კი შევხებივართ, ეგ თქვენი შიდა საქმეაო. ოფიციალურად ისინი მართლები იქნებიან, არაოფიციალურად კი...**

სათვალავი აგვერია, ბოლო წლების განმავლობაში, მერამდენედ გადის საქართველო ბეწვის ხიდზე; მერამდენედ ცდილობენ გარე ძალები, წინსვლისთვის გამზადებული ქვეყანა კვლავ შემოაბრუნონ და იმავე წრეზე გაუშვან, რომელზეც არაერთხელ გაიარა... სამწუხაროდ, წინსვლის ერთ-ერთი შემაფერხებლები ქართველი პოლიტიკოსებიც არიან, ისინი, ვინც, აგერ უკვე 30 წელია, ვერ მოვიშორეთ, და ისინიც, ვინც მერე მოვიდნენ. სანამ საკუთარ ინტერესზე მაღლა ქვეყნის ინტერესს არ დააყენებს ხელისუფალი, მანამ არაფერი არ გვეშველება.

30 ოქტომბრამდე მივალთ ინფიცირების რეკორდული მაჩვენებლებით, გარდაცვალების მომატებული რაოდენობით და, ამის მიუხედავად, არავინ დაიცავს რეგულაციებს და არც პოლიტიკოსები მოუწოდებენ ხალხს, თავს გაუფრთხილდითო. გარდაცვალების რაოდენობა უკვე მართლა სტატისტიკად მოჩანს და ადამიანების სიცოცხლე არაფრად რომ არ მიაჩნია, თუნდაც გიგი უგულავამ მიტინგზე ერთი მისვლითა და ვირუსების გამოტყორცნით დაამტკიცა, როცა მიკროფონთან დაჭრილი კურდღელივით კიოდა. მოგისმენიათ დაჭრილი კურდღლის კივილი? თუ არა, უგულავას გამოსვლა გადაახვიეთ, ერთი ერთზე იმეორებს.

**პოლიტიკურ კულუარებში რამდენიმეჯერ ითქვა, რომ საქართველო უახლოეს მომავალში, შესაძლოა, მზად იყოს რუსეთთან პირისპირ სასაუბროდ. ეს ისე მკაფიოდ ითქვა, დასავლელმა პოლიტიკოსებმა მოვლენებს დაასწრეს და, სანამ ქართული მხარე ოფიციალურად იტყოდა რამეს, განცხადებაც კი გააკეთეს, — რუსეთთან დიალოგს თუ დააპირებს საქართველო, მხოლოდ ჩვენი შუამავლობითო. არადა, გვახსოვს, ჯერ კიდევ გახარიას პრემიერობისას, დავოსის ეკონომიკურ სამიტზე მისი და პუტინის შეხვედრა მზადდებოდა. ლაპარაკი იყო ერთ-ერთზე შეხვედრაზე და ამ საქმეში ევროპა შუამავლად ჩაერია. საბოლოოდ, შეხვედრის ნაცვლად მივიღეთ გახარიას მწვავე გამოსვლა და რუსეთის პრეზიდენტის კრიტიკა**

**ბესო ბარბაქაძე**

„სააკაშვილის გასამართლება გარკვეული პროცესების დასაწყისი შეიძლება აღმოჩნდეს. სხვათა შორის, მისი იურიდიული გასამართლება ამ შემთხვევაში შეიძლება გამოიყენონ პოლიტიკურ გასამართლებადაც. უნდა განხორციელდეს პოლიტიკური აქტი და პროცესები, იურიდიულთან ერთად, პოლიტიკურადაც შეფასდეს. ძალიან კარგი იქნება, სასამართლო პროცესები გადმოსცენ ღია ეთერში და მას კვალიფიციურად წაუყენონ ბრალი იმ დანაშაულებისთვის, რომლებიც ჩაიდინა“.

პროცესების კვალდაკვალ

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



# თამარ კიკნაძე: მალე მივიღებთ ისეთ სურათს, რომ ახალგაზრდების უმრავლესობა ნაციონალების სულისკვეთების იქნება

## «წლების განმავლობაში არსებულმა მახინჯმა იდეოლოგიურ-პოლიტიკურმა მოცემულობამ თაობები წაგვართვა. წარმოიდგინეთ, სკოლები, უმაღლესი სასწავლებლები სავსეა ნაციონალებით. ისინი ახალგაზრდებს მახინჯი სულისკვეთებით ზრდიან»

**14 ოქტომბერს ქვეყნის მთავარმა დესტრუქციულმა ძალამ დედაქალაქის ცენტრალურ მოედანზე თავისი ძალები სრულად წარმოაჩინა. „ნაცმოძრაობამ“ სააკაშვილის გათავისუფლების მოთხოვნით მხარდამჭერებს რეგიონებიდან უხმო, ელექტორატი დარაზმა და 30 ოქტომბრის შემდგომი პროცესებისთვის ძალები მოსინჯა.**

ხალხი, რომელმაც გზა რეგიონებიდან თბილისისკენ ცოცხებისა და ყავარჯნების დერეფანში გაიარა, თავისუფლების მოედანზე თავდაჯერებული ჩანდა. პოლიტიკურად ანგაჟირებული მასა აქციას შეძახილებით შეუერთდა. შეკრებას რევოლუციური განწყობა შეჰმატა ყველასათვის მოულოდნელად დარიგებულმა ვარდებმაც. პოლიტიკური დეჟავიუ კიდევ უფრო გაამძაფრა ლიდერების გამოსვლებმა და მიმართვებმა, რომ გადამწყვეტი ბრძოლა ახლოვდება.

**უგულავამ, მელიამ, დეკანოიძემ** და სააკაშვილის რეჟიმის სხვა ოდიოზურმა სახეებმა შეკრებილებს მოუწოდეს, 30-ში მზად იყვნენ ყველანაირი წინააღმდეგობისთვის. იყო პირდაპირი თუ ირიბი მინიშნებები იმაზეც, რომ შესაძლოა, „გამარჯვების დაცვა“ ძალისმიერი მეთოდებით გახდეს აუცილებელი. რევოლუციის პრელუდია ციხიდან „ბელადის“ გამოგზავნილმა წერილმაც დამუხტა. წერილში რუსთავის მე-12 პენიტენციური დაწესებულების ბინადარი ხალხს მიმართავდა, რომ საჭიროა დიდი შერიგება, რადგან ერთმანეთზე გაბოროტებულ საზოგადოებას არასოდეს დაუყენებია ქვეყანა პროგრესის გზაზე: „კიდევ ერთი რევანში და შურისძიება მორალურად გაანადგურებს ჩვენს საზოგადოებას და საბოლოოდ დაანგრევს ჩვენს ქვეყანას. ჩვენ წინ დიდი ცვლილებები გველის, მაგრამ ამისთვის ყველანაირი წყენა უნდა დავივიწყოთ. განზე გადავდოთ ჩვენი ნეგატიური ემოციების ტვირთი, რადგან ამის მოშორების გარეშე ქვეყანა წინ ვერ წავა...“

„შერიგებისა და შემწყნარებლობის“ სურვილი „ნულოვანი ტოლერანტობის“ შემოქმედს, როგორც ჩანს, მას შემდეგ გაუჩნდა, როცა ციხის ოთხ კედელს შორის მოქცეულს იმედები ყველა მხრიდან გაუცრუვდა; გაუცრუვდა მათ შორის მისი ხელდამსხმელი დასავლეთის იმედიც, საიდანაც დაკავების შემთხვევაში უპრეცენდენტო მასშტაბის მხარდაჭერას, ანუ ხელისუფლებაზე სერიოზულ წნეხს ელოდა...

**რა დაგვანახვა 14 ოქტომბრის აქციამ და როგორ შეიძლება განვითარდეს მომავალში მოვლენები, „საქართველო და მსოფლიოს“ ესაუბრება პოლიტოლოგი თამარ კიკნაძე.**

**— ქალბატონო თამარ, 14 ოქტომბერს თავისუფლების მოედანზე ათასობით ადამიანი შეიკრიბა ერთადერთი მოთხოვნით — გათავისუფლდეს მიხეილ სააკაშვილი. ბევრისთვის ეს, ალბათ, მოულოდნელიც იყო, რადგან ამდენ ხალხს არ ელოდა... ხელისუფლების პოზიცია ასეთია; არაფერი განსაკუთრებული და მით უფრო საშიში არ ხდება... რა რეალობა შეიძლება მივიღოთ 30 ოქტომბრის შემდეგ? შეიძლება თუ არა ეს ხალხი ისევ ვიხილოთ ქუჩაში, ოღონდ ამჯერად სულ სხვა ფორმებით გამოხატული პროტესტით და წინააღმდეგობით?**

— დავიწყოთ იმით, რომ აქცია ნამდვილად იყო ხალხმრავალი. შეიძლება, იმდენი არ იდგა, რამდენიც ვთქვათ, 7 ნოემბერს ან 26 მაისს სააკაშვილის რეჟიმის წინააღმდეგ, მაგრამ ცოტა ხალხი არ გამოსულა... ჩემთვის გულდასაწყვეტია ის, რომ ამდენი ადამიანი გამოვიდა და დადგა უსამართლობის დასაცავად, დადგა ბოროტებისა და წლების განმავლობაში უმძიმესი დანაშაულების ჩამდენი ხალხის მხარეს, რაც, ვფიქრობ, ბევრ რამეზე მიუთითებს...

**— რას გულისხმობთ?**

— **საზოგადოების დიდ ნაწილში სერიოზული იდეოლოგიური და ღირებულებითი პრობლემებია.** ამას, ალბათ, გარკვეულწილად სამოქალაქო თვითშეგნების პრობლემაც შეიძლება დავარქვათ. ის, რომ ამ ადამიანმა ტერიტორიები დაკარგა, სამარცხვინოდ წააგო მის მიერვე ატეხილი ომი, დაარბია მშვიდობიანი მიტინგები, აწამა და დახოცა სრულიად უდანაშაულო ხალხი, ვიღაცას პრობლემად არ მიაჩნია. მეტიც, ამას, საერთოდ, არც განიხილავენ და იმეორებენ რაღაც ფრაზებს, რომ თურმე სააკაშვილმა მოსპო კორუფცია, მოსპო კრიმინალი, ხალხს მისცა ხელფასები, პენსიები და ა.შ. ადრეც ვთქვი და ახლაც გავიმეორებ: **ემპათიისა და ელემენტარული სოლიდარობის არარსებობა საზოგადოებაში, როცა ვიღაც აწამეს, მოკლეს, ვიღაცას ქონება წაართვეს, დააშინეს და ა.შ. — ეს არის იდეალური გარემო ნებისმიერი დანაშაულებრივი, ანტისახელმწიფოებრივი ძალისთვის ძალაუფლების შესანარჩუნებლად. ასეთ საზოგადოებაში კარგად მუშაობს ნებისმიერი დეზინფორმაცია და, რაც მთავარია, ასეთ საზოგადოებაში ძალადობაზე ორიენტირებულმა სუბიექტმა იცის, რომ ერთიანობა არ არსებობს და ყველაფერი გაუვა.** რაც შეეხება სააკაშვილსა და მის განცხადებებს ციხიდან, რომ თურმე იგი პოლიტიკური პატიმარია, ქვეყანა გადასარჩენია და ამისთვის გაიმეტა თავი, როცა ჩამოსვლა გადაწყვიტა, მე ერთ რამეში ვარ დარწმუნებული: **საქართველოში სააკაშვილი გარკვეული გარანტიებითა და ვითარების ასარევად ჩამოვიდა და, რომ არა ეს გარანტიები, აქეთ არც გამოიხედავდა. მოგეხსენებათ, ის განსაკუთრებული სიმამაცით არ გამოირჩევა და ამაში მისმა საქციელმა სხვადასხვა კრიტიკულ მომენტში, 2008 წელსაც, არაერთხელ დაგვარწმუნა. გარდა ამისა, მას ძალიან უყვარს კომფორტი, რაც საზღვარგარეთ ყოფნისას ნამდვილად არ აკლდა და, რა თქმა უნდა, გარანტიების გარეშე ამ ყველაფერს და პლუს უსაფრთხოებას სასწორზე არ დადებდა.**

**— რა იყო მისი ჩამოსვლის მიზანი? რა მიიღო?**

— მიზანი, ცხადია, იყო მობილიზება მხარდამჭერების, პოლიტიკური მუხტის აწევა და დაძაბულობა, რაც ძალიან მალე უნდა გადაზრდილიყო უმართავ პროცესებში. სხვათა შორის, ის ციხიდან გავრცელებულ წერილებშიც ხაზს უსვამს, რომ ახლა მომწიფებულია ვითარება, მზადდება გადამწყვეტი ბრძოლა და ა.შ. რა თქმა უნდა, ეს არის რევოლუციური რიტორიკა, რომელიც ცნობიერად თუ ქვეცნობიერად მუშაობს ადამიანებზე და ემოციური ფონის შექმნის თვალსაზრისით ასრულებს ერთგვარი წინასამზადისის ფუნქციას. რაც შეეხება მომავალს, ყველაზე ხშირად დღეს ისმის შეკითხვა — როგორ განვითარდება მოვლენები? რა თქმა უნდა, ჩვენ უნდა ველოდოთ ვითარების გამწვავებას და დაძაბვას, იმიტომ, რომ, „ნაციონალური მოძრაობა“ ყველაფერს გააკეთებს ამისთვის...

**— ხელისუფლების წარმომადგენელთა პოზიცია, ცოტა არ იყოს, გაუგებარია, ისინი თითქოს თავს იმშვიდებენ...**

— არ ვიცი, ხელისუფლება რას აკეთებს ან რას აპირებს, მაგრამ ფაქტია: **ჯერ კიდევ საპარლამენტო არჩევნების შემდეგ იგეგმებოდა არეულობა. მაშინ ეს არ გამოვიდა, რადგან პროცესებში ევროპელები ჩაერივნენ და გეგმა ჩავარდა, მაგრამ პროცესები გრძელდება. ვფიქრობ, რომ ის რაოდენობა ხალხისა, რომელიც 14-ში გამოვიდა, სრულიად საკმარისია დივერსიული მოქმედებებისთვის. ეს ერთი და მეორე — დაპირისპირების რისკებსა და საფრთხეებს ზრდის ის გარემოებაც, რომ საზოგადოების მეორე ნაწილს ძალიან აღიზიანებს „ნაციონალური მოძრაობა“ თავისი ელექტორატით.**

**— არეულობა და დესტაბილიზაცია რომ ნაციონალებს სჭირდებათ, არახალია, ხალხიც ჰყავთ, მაგრამ მიაღწევენ მიზანს?**

— აქ, ალბათ, ყველაფერი დამოკიდებული იქნება ხელისუფლებაზე. თუ კონკრეტული მცდელობები დროულად, მაღალპროფესიონალურ დონეზე იქნება აღკვეთილი, არაფერი არ მოხდება, თუ არა, გასაგებია... სხვათა შორის, სააკაშვილის დაკავება და მისი გადაყვანა სასჯელაღსრულების დაწესებულებაში საკმაოდ მაღალ დონეზე განხორციელდა.

**«სანამ «ნაციონალური მოძრაობა» ერთხელ და სამუდამოდ არ გავა პოლიტიკური სცენიდან და არ გაქრება, როგორც დანაშაულებრივი პარტია, ქვეყანას მშვიდობა არ ეღირსება»**

**— გარანტიები ახსენეთ და როგორ ფიქრობთ, იმ ფონზე, როცა „ნაციონალურმა მოძრაობამ“ ათასობით ადამიანის ქუჩაში გამოყვანა შეძლო და, როგორც ჩანს, კიდევ აპირებენ გამოყვანას, ხომ არ არის წნეხი მოსალოდნელი დასავლეთიდანაც ხელისუფლებაზე?**

— დარწმუნებული ვარ, იქნება წნეხი და ამას არჩევნების შემდეგ უფრო დავინახავთ. ვფიქრობ, რომ სერიოზული წნეხი იქნება ზოგიერთი ევროპარლამენტარისგან, სენატორებისგან და ა.შ. რაც შეეხება ხელისუფლებას, ცხადია, ყველას უჩნდება შეკითხვა: გაუძლებს თუ არა მმართველი გუნდი ამ წნეხს? უნდა ითქვას, რომ ხელისუფლება არც ისე მარტივ მდგომარეობაშია და ამ მდგომარეობიდან ერთმნიშვნელოვანი გამოსავალი არ არსებობს. ვგულისხმობ იმას, რომ, ერთი მხრივ, მასზე წნეხია მოსახლეობის უდიდესი უმრავლესობისგან, რომელიც უკმაყოფილოა სააკაშვილის რეჟიმის მომძლავრებით და, მეორე მხრივ, არის მზარდი დესტრუქციული ძალა. სხვათა შორის, საზოგადოებას ძალიან კარგად ახსოვს, რომ ბიძინა ივანიშვილის წვლილი თავის დროზე უზარმაზარი იყო სააკაშვილის მიერ 9 წლის განმავლობაში გატარებულ და გაპიარებულ რეფორმებში.

ახლა გამოსავალზეც ვიტყვი: ყველა ამბობს, რომ პრობლემებია, კრიზისია და ა.შ., მაგრამ გამოსავალი რა შეიძლება იყოს, ნაკლებად ვსაუბრობთ... მე ასე ვფიქრობ: თუ მოხერხდება და ქვეყანაში ჩამოყალიბდება მართლა სახელმწიფოებრივი, ეროვნული იდეოლოგია, ეს ყველაფერი თითოეულ მოქალაქემდე უნდა იქნეს მიტანილი. ამას განსაკუთრებული მნიშვნელობა ახალგაზრდებისთვის აქვს, იმიტომ, რომ **წლების განმავლობაში არსებულმა მახინჯმა იდეოლოგიურ-პოლიტიკურმა მოცემულობამ თაობები წაგვართვა. წარმოიდგინეთ, განათლების სისტემა, უმაღლესი სასწავლებლები სავსეა ნაციონალებით, ისინი ახალგაზრდებს მახინჯი სულისკვეთებით ზრდიან. მალე ჩვენ მივიღებთ ისეთ სურათს, რომ ახალგაზრდების დიდი უმრავლესობა მათი ღირებულებების მატარებელი იქნება...**

**— ამჟამინდელი ხელისუფლების პირობებში თუ წარმოგიდგენიათ ისეთი ცვლილებები, რომლებიც ამ პროცესს შემოაბრუნებს?**

— ვფიქრობ, სააკაშვილის გასამართლება გარკვეული პროცესების დასაწყისი აღმოჩნდება. სხვათა შორის, მისი იურიდიული გასამართლება ამ შემთხვევაში შეიძლება გამოიყენონ პოლიტიკურ გასამართლებადაც. უნდა განხორციელდეს პოლიტიკური აქტი და პროცესები, იურიდიულთან ერთად, პოლიტიკურადაც შეფასდეს. ძალიან კარგი იქნება, სასამართლო პროცესები გადმოსცენ ღია ეთერში. მას კვალიფიციურად წაუყენონ ბრალი იმ დანაშაულებისთვის, რომლებიც ჩაიდინა. რაც შეეხება ცვლილებებს, აქაც, ისევ და ისევ, სამართლიანობამდე მივდივართ. სანამ „ნაციონალური მოძრაობა“ ერთხელ და სამუდამოდ არ გავა პოლიტიკური სცენიდან და არ გაქრება, როგორც დანაშაულებრივი პარტია, ქვეყანას მშვიდობა არ ეღირსება. აი, ეს არის რეალობა, რომელიც, მოგვწონს თუ არა, და გვინდა თუ არა, გვაქვს. ყველაფერი ნათელია: იქნებიან პოლიტიკურ სპექტრში საშიში, დესტრუქციური ძალები — იარსებებს რევოლუციის, გადატრიალების საფრთხეც და სიმშვიდეს ვერ ველირსებით...

**«საქართველოში სააკაშვილი გარკვეული გარანტიებითა და ვითარების ასარევად ჩამოვიდა და, რომ არა ეს გარანტიები, აქეთ არც გამოიხედავდა. მოგეხსენებათ, ის განსაკუთრებული სიმამაცით არ გამოირჩევა და ამაში მისმა საქციელმა სხვადასხვა კრიტიკულ მომენტში, 2008 წელსაც, არაერთხელ დაგვარწმუნა. გარდა ამისა, მას ძალიან უყვარს კომფორტი, რაც საზღვარგარეთ ნამდვილად არ აკლდა და, რა თქმა უნდა, გარანტიების გარეშე ამ ყველაფერს და პლუს უსაფრთხოებას სასწორზე არ დადებდა»**

ესაუბრა **ჯაბა ჟვანია**

ხმა ბერისა

www.geworld.ge

თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„მინდა, იმ ადამიანებისა და მათ შორის სასულიერო პირების გასაგონად ვთქვა, რომლებიც, ეს დღეებია, მიტევებაზე ლაპარაკობენ: პირადი მტრობა და პირადი ზიანი შეიძლება აპატიო ვინმეს, მაგრამ, როცა საუბარი ასეულობით ადამიანის გაუბედურებასა და უმძიმეს სახელმწიფოებრივ დანაშაულებზეა, რა უფლებით ლაპარაკობთ პატიებაზე?! ჯერ ერთი, ვინ აღიარებს რამეს, სადმე მოისმინეთ თუნდაც ერთი განცხადება, დანაშაულები ჩავიდინეთო?“**

# «მოიკვეთე უკეთური»!



### მამა გიორგი (რაზმაძე):

## ან სულელი, ან ძალიან გულუბრყვილო უნდა იყოს ადამიანი, თუ სჯერა, რომ ხელისუფლებაში მობრუნების შემთხვევაში ესენი ათჯერ და ასჯერ უფრო დიდ უბედურებას არ დაატრიალებენ

**„ნულოვანი ტოლერანტობის“ შემოქმედის, პატიმარ მიხეილ სააკაშვილის მთავარი გზავნილი ციხიდან, რომელიც „საყოველთაო შერიგებასა და ურთიერთპატიებას“ გულისხმობს, კვლავ განხილვის საგანია. მოახლოებული არჩევნების ფონზე თემა მნიშვნელობით პოლიტიკას გასცდა. ამ საკითხზე შეფასებები ეკლესიაშიც კეთდება.**

**«არანაირი მიტევება და შერიგება იმ ადამიანების მიმართ, რომლებიც ქვეყანას მიზანმიმართულად ანგრევდნენ, გააზრებულად სჩადიოდნენ და სჩადიან ბოროტებას»**

პატრიარქის მოსაყდრემ, მიტროპოლიტმა შიომ 17 ოქტომბერს, საკვირაო ქადაგებაზე მეტად მნიშვნელოვანი სიტყვები წარმოთქვა. მისი თქმით, საყოველთაო შერიგებაზე საუბრისას ხშირად ქრისტიანულ სწავლებას არასწორად განმარტავენ. მეუფემ განსაკუთრებული ყურადღება სინანულის მნიშვნელობაზე გაამახვილა და განაცხადა, რომ მიტევებაზე მსჯელობისას სახარებისეულად უნდა ვიმოქმედოთ: „დღეს საუბრობენ საყოველთაო შერიგებაზე. სხვათა შორის, ხშირად არასწორად განმარტავენ ქრისტიანულ სწავლებას, ამბობენ, რომ ყველას ყველაფერი უნდა აპატიო, ყოველთვის ყველას უნდა შეურიგდე. ასეთი რამ სახარებაში არ წერია და, გარდა იმისა, რომ სამართლიანი საჯელითაც უნდა აღიკვეთოს ბოროტება, ასევე ზოგჯერ, უკიდურეს შემთხვევებშიც, უნდა მოვიკვეთოთ ასეთი ადამიანი, მოვიკვეთოთ ჩვენი ცხოვრებიდან ან საზოგადოებიდან...“.

მოსაკვეთებსა და დასასჯელებზე საზოგადოების დიდმა ნაწილმა თავისი პოზიცია 2012 წლის არჩევნებზე გამოხატა, როცა „ქართულ ოცნებას“ მხარდაჭერა სამართლიანობის აღდგენის იმედით გამოუცხადა, თუმცა ფაქტია ისიც, რომ საზოგადოების არც ისე მცირე ნაწილი გულმავიწყი აღმოჩნდა და 9 წლის შემდეგ ზოგიერთს სააკაშვილის პოლიტპატიმრად შერაცხვა არ ეთაკილება. სხვათა შორის, პატრიარქის მოსაყდრემ ქადაგებაში მოიყვანა პავლე მოციქულის სიტყვებიც — **„მოიკვეთე უკეთური“:** „შეგახსენებთ პავლე მოციქულის სიტყვებს: „მოიკვეთე უკეთური!“ იგი პირდაპირ აცხადებს ამას. და უფალი იესო ქრისტეც ამბობს, რომ „თუ შენს წინააღმდეგ შესცოდავს შენი ძმა, მიდი და ამხილე იგი, თუ გაგიგონებს და მოინანიებს, შეგიძენია შენი ძმა; თუ არა, ორი ან სამი ადამიანი წაიყოლე და მათი თანდასწრებით ამხილე; თუ მათაც არ გაუგონებს, კრებულთან მიიყვანე და კრებულის თანდასწრებით უთხარი ეს ყველაფერი და, თუ კრებულსაც არ გაუგონებს და არ მოინანიებს, გახსოვთ, რას ამბობს უფალი? „იყოს ასეთი ადამიანი შენთვის, როგორც წარმართი, მებაჟე და მეზვერე!“ თუ რას ნიშნავს ებრაელისთვის წარმართი, მებაჟე და მეზვერე, თქვენ მშვენივრად გემახსოვრებათ: როდესაც ებრაელი ხვდებოდა მეზვერეს ან წარმართს ქუჩაში, იგი ქუჩის მეორე მხარეს გადადიოდა“.

მიტროპოლიტის ამ დროული და ბევრისთვის გულსმოსაფენი ქადაგების ადრესატები, ნებსით თუ უნებლიეთ, ალბათ, ზოგი სასულიერო პირი იყო; სასულიერო პირები, რომლებიც „ნაციონალური მოძრაობის“ 9-წლიანი რეჟიმის მთავარ შემოქმედ მიხეილ სააკაშვილს პოლიტიკური დევნის მსხვერპლად მიიჩნევენ და ამბობენ, რომ იგი ციხეში არ უნდა იჯდეს. ცხადია, ამ ხალხისთვის ქრისტიანული სწავლების შეხსენება და დამოძღვრა მგლის თავზე სახარების კითხვაა, მაგრამ ერთი რამ ცხადია: „ბელადის“ ერთგულებით და მით უფრო საყოველთაო შერიგება-მიტევებაზე ლაპარაკით იმ დროს, როცა არც დანაშაულს აღიარებს ვინმე და არც მიტევებას ითხოვს, თავიანთი თავის სრული ლუსტრაცია მოახდინეს.

**საჭიროა თუ არა დღეს შერიგება სისხლის სამართლის გამოუსწორებელ დამნაშავესთან, რომლის მანიაკურ მისწრაფებებსაც 9 წლის განმავლობაში ქვეყნის ისტორიული პერსპექტივები, საქართველოს ტერიტორიები, ასეულობით ადამიანის სიცოცხლე თუ ჯანმრთელობა შეეწირა?**

**„საქართველო და მსოფლიოს“ ესაუბრება ავჭალის წმიდა ქეთევან წამებულის ტაძრის წინამძღვარი, დეკანოზი გიორგი (რაზმაძე).**

**— მამაო, პატრიარქის მოსაყდრის, მიტროპოლიტ შიოს ქადაგებამ, რომელიც მიტევებასა და შერიგებას შეეხებოდა, ბევრ რამეს ნათელი მოჰფინა. მეუფემ ქადაგებაში ხაზგასმით აღნიშნა, რომ სინანულის გარეშე მიტევება შეუძლებელია. ასევე, ქადაგებაში მოყვანილი იყო წმიდა პავლე მოციქულის სიტყვები: „მოიკვეთე უკეთური!“. ამით, ალბათ, მანამდე ზოგიერთი მაღალი იერარქის მიერ სააკაშვილის გათავისუფლებაზე გამოთქმული შემრიგებლური პოზიციით დაბნეული მრევლისთვის ბევრი რამ ცხადი შეიქნა. რას ფიქრობთ ამ ყველაფერზე?**

— მრევლის შესახებ ვიტყვი იმას, რომ, ვინც სწორად აზროვნებს და ვისაც შავისა და თეთრის გარჩევის უნარი არ დაუკარგავს, ის არასდროს არ ყოფილა დაბნეული. დაბნეულია ის ხალხი, რომელსაც თავიდანვე ჰქონდა აზროვნება გამრუდებული და თავიდანვე იმყოფებოდა ფსევდოეკლესიური ძალების ან უშუალოდ სასულიერო პირების გავლენის ქვეშ. თუმცა, მადლობა ღმერთს, ჩვენს საზოგადოებას ამნეზია არ სჭირს და პოლიტიკური მეხსიერების პრობლემა არ აქვს, სააკაშვილისა და მისი გარემოცვის მიერ წლების განმავლობაში ჩადენილი ბოროტებები რომ დაავიწყდეს!

რაც შეეხება სააკაშვილსა და მის მხარდამჭერებს, რომლებსაც არც სინდისთან, არც ზნეობასთან და მორალთან პრობლემა არ აქვთ, როცა გამოდიან და ამბობენ, რომ თურმე ყოფილი პრეზიდენტი პოლიტპატიმარია, ძალიან მნიშვნელოვანია, დავაკონკრეტოთ და ყველაფერს დავარქვათ თავისი სახელი — ისინი არ არიან ჩვეულებრივი მხარდამჭერები. ეს არის ერთგვარი ელექტორალური სექტა, რომლის წარმომადგენლები იმ დონემდე არიან დაბრმავებული და დამუხტული სპეციფიკური პოლიტიკური დოგმებით, რომ ზომბებივით არიან. მათთვის არაფერს არ ნიშნავს ის, რომ მათმა სათაყვანებელმა სააკაშვილმა 9 წლის განმავლობაში ასეულობით ადამიანი აწამა, გააუპატიურა, მოკლა, დაარბია მშვიდობიანი მიტინგები და ა.შ. მათ, უბრალოდ, ჩახვეული აქვთ, რომ თურმე სააკაშვილმა ქვეყანა 1990-იანების სიბნელიდან გამოიყვანა... რა სიბნელიდან გამოიყვანა? **ერთი წამით მაინც წარმოგიდგენიათ თავი იმ ადამიანების ადგილას, რომლებსაც სასტიკად ნაწამები და წამებით მოკლული შვილები მიუსვენეს სახლებში? ამაზე ერთხელ მაინც დაფიქრებულხართ? თქვენ რომ ყოფილიყავით მათ ადგილას?**

**— სხვათა შორის, „ნაცმოძრაობის“ ბევრი გულმხურვალე მხარდამჭერისგან მიმისმენია, რომ ეს ყველაფერი ტყუილია და აბრალებენ სააკაშვილს...**

— რას აბრალებენ, რა, **სერგო თეთრაძე** არ მოკლეს წამებით?! **ბუტა რობაქიძე** არ მოკლეს და მერე სპექტაკლი არ დადგეს დანაშაულის გადასაფარად? **სანდრო გირგვლიანი** არ მოკლეს და დედამისი არ გააუბედურეს?! ნულოვანი ტოლერანტობა, ყველანი ციხეშიო, არ განაცხადა სააკაშვილმა და ციხეები არ გაავსო პოლიტიკური ნიშნით დაკავებული ადამიანებით? **მინდა, იმ ადამიანებისა და მათ შორის სასულიერო პირების გასაგონად ვთქვა, რომლებიც, ეს დღეებია, მიტევებაზე ლაპარაკობენ: შეიძლება, პირადი მტრობა და პირადი ზიანი აპატიო ვინმეს, მაგრამ, როცა საუბარია ასეულობით ადამიანის გაუბედურებასა და უმძიმეს სახელმწიფოებრივ დანაშაულებზე, რა უფლებით ლაპარაკობთ პატიებაზე? ჯერ ერთი, ვინ აღიარებს რამეს, სადმე მოისმინეთ თუნდაც ერთი განცხადება, დანაშაულები ჩავიდინეთო?** და მეორე — მიტევებას ითხოვენ? ადრეც ვთქვი და კიდევ გავიმეორებ: **არანაირი მიტევება და შერიგება იმ ადამიანების მიმართ, რომლებიც ქვეყანას მიზანმიმართულად ანგრევდნენ და გააზრებულად სჩადიოდნენ და სჩადიან ბოროტებას... დამნაშავეებმა უნდა აგონ პასუხი უფლის წინაშეც, ერისა და კანონის წინაშეც, თუ, რა თქმა უნდა, სამართლიანობაზე ვსაუბრობთ, მაგრამ, თუ ყველაფერი სულერთია, მაშინ გასაგებია...**

**— დავუბრუნდეთ ისევ მიტევებისა და შერიგების თემას. როგორ ფიქრობთ, რეალურად რა მიზნები და მოტივები შეიძლება ამოძრავებდეთ ადამიანებს, რომლებმაც ხელი მოაწერეს სააკაშვილის შეწყალების პეტიციას?**

— ძნელია ასე კონკრეტულად ვიღაცის სურვილებზე საუბარი, მაგრამ შეკითხვები თავისთავად ჩნდება. **რატომ მაშინ არ ლაპარაკობდა ეს ხალხი შემწყნარებლობაზე, როცა ციხეებში ჯოჯოხეთი ტიალებდა, რა, იქ ადამიანები არ იყვნენ?!** დღეს ნაციონალები გამოდიან და შეშფოთებული სახეებით ლაპარაკობენ, რომ თურმე სააკაშვილს საკანში ტელევიზორი არ აქვს და ფეხქვეშ ითელება მისი უფლებები... ტელევიზორი კი არა, კვდებოდნენ პატიმრები და ტკივილგამაყუჩებელი არ მიჰქონდათ. რით არის ის განსაკუთრებული, რატომ უნდა ჰქონდეს მას რამე პრივილეგია?...

**— არის მოლოდინი, რომ არჩევნების შემდგომ ხელისუფლებას დასავლეთი წნეხში მოაქცევს და აიძულებს, სააკაშვილი გამოუშვას. როგორ ფიქრობთ, რეალურია ეს ყველაფერი და, თუ მართლა იქნება წნეხი, რა უნდა ქნას „ქართულმა ოცნებამ“?**

— „ქართულმა ოცნებამ“ უნდა გააკეთოს ის, რაც არ უქნია 9 წლის განმავლობაში და რამაც მიიყვანა ამ მდგომარეობამდე — **უნდა მოუსმინოს ხალხს და არა დასავლელ ცისფერ კომისრებს, რომლებსაც არ აინტერესებთ არანაირი წესრიგი და კანონის უზენაესობა აქ, აინტერესებთ მხოლოდ თავიანთი ბრძანებების ყველაზე ზუსტად შემსრულებელი ადამიანების ყოფნა ხელისუფლების სათავეში. აი, ეს არის, ჩემი აზრით, გამოსავალი და ამ აუცილებლობის წინაშე ჩვენ მალე დავდგებით, თუმცა, სიმართლე გითხრათ, არ მაქვს დიდი იმედი, რომ დღევანდელი მმართველი გუნდი ამ ყველაფერს სწორად უპასუხებს.**

რაც შეეხება ისევ სააკაშვილის პატიმრობას, არავის არ უხარია ვინმეს ციხეში ყოფნა, მაგრამ საუბარია უმძიმეს დანაშაულებზე. 6 წელი ძალიან ცოტაა და, მე თუ მკითხავთ, სამუდამო პატიმრობა უნდა ჰქონდეს ამ ადამიანს...

**— ხელისუფლებაში ნაციონალების დაბრუნებაზე რას ფიქრობთ? ვთქვათ, მობრუნდა „ნაცრეჟიმი“, რას მივიღებთ?**

— სააკაშვილი თავის განცხადებებში ყოველთვის უსვამს ხაზს, რომ მან ბევრი რამ გადააფასა, აწონ-დაწონა და შეცდომებს აღარ გაიმეორებს. სხვათა შორის, ის ყოველთვის ამბობს **შეცდომას** და არა **დანაშაულს...** მე ასე ვიტყვი: ან სულელი, ან ძალიან გულუბრყვილო უნდა იყოს ადამიანი, თუ სჯერა, რომ ხელისუფლებაში მობრუნების შემთხვევაში ესენი ათჯერ და ასჯერ უფრო დიდ უბედურებას არ დაატრიალებენ. რა თქმა უნდა, **ის 9 წელი მონაგონი იქნება, ამიტომ ამაზე ფიქრიც არ შეიძლება. გონებაშიც არ უნდა გაივლოს ხალხმა ის აზრი, რომ ესენი შეიძლება დაბრუნდნენ, თორემ ქვეყანა თავზე ჩამოგვემხობა...**

ესაუბრა **ჯაბა ჭუანია**

**«ქართულმა ოცნებამ» უნდა გააკეთოს ის, რაც არ გაუკეთებია 9 წლის განმავლობაში და რამაც ამ მდგომარეობამდე მოიყვანა — უნდა მოუსმინოს ხალხს და არა დასავლელ ცისფერ კომისრებს, რომლებსაც არ აინტერესებთ არანაირი წესრიგი და კანონის უზენაესობა აქ, აინტერესებთ მხოლოდ თავიანთი ბრძანებების ყველაზე ზუსტად შემსრულებელი ადამიანების ყოფნა ხელისუფლების სათავეში»**

**1989 წელს სახალხო მღელვარების დაწყების შემდეგ ნიკოლაუ ჩაუშესკუ მეუღლესთან ერთად ბუქარესტიდან გაიქცა, მაგრამ შეიპყრეს. მისი სასამართლო 1989 წლის 25 დეკემბერს გაიმართა ტირგოვიშტეს სამხედრო გარნიზონში. ჩაუშესკუ დაადანაშაულეს გენოციდში, რომელმაც 60 ათასი ადამიანის სიცოცხლე შეიწირა.**

ცნობილი პატიმრები
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# პრეზიდენტები, რომლებიც ციხეში ჩასვეს

**საქართველოში ტრაილერის კონტეინერით შემოპარული საქართველოს ექსპრეზიდენტის დაპატიმრებისა და ციხეში გამომწყვდევის შემდეგ „ნაციონალურმა მოძრაობამ" და მისი ბელადის ე.წ. დასავლელმა პარტნიორებმა ნაცმედიასთან ერთად მძიმე დანაშაულებში ბრალდებული სააკაშვილის გათეთრება და მისთვის სისხლის ჩამობანა დაიწყეს, თითქოს „ქართული სახელმწიფოს აღმაშენებელს" (ამ ეპითეტით შეამკეს ნაცებმა თავიანთი კერპი) შენების მეტი არაფერი უკეთებია და დანაშაულებში, რომლებიც მისი მმართველობის პერიოდში საქართველოში ხდებოდა, ბრალი არ მიუძღვის.**

„ნაციონალური მოძრაობის" წევრებისა და მხარდამჭერების აზრით, დანაშაულები მათ წინააღმდეგ თურმე გამოგონილია — არც **სანდრო გირგვლიანის** მკვლელობა (ამ დანაშაულზე სტრასბურგის სასამართლომ სააკაშვილსა და მის რეჟიმს გამამტყუნებელი განაჩენი გამოუტანა და მათ მიერ ჩადენილ დანაშაულს გამაოგნებელი უწოდა) ყოფილა, არც **ვალერი გელაშვილის** უმოწყალოდ ცემა და მისთვის ქონების წართმევა, არც ე.წ. სამხრეთ ოსეთის (სააკაშვილის მიერ მიერთებულ ახალგორის რაიონთან ერთად) და კოდორის ხეობის (რომელსაც ზემო აფხაზეთი უწოდეს ნაცებმა) უბრძოლველად ჩაბარება, არც ბიზნესების დატერორება და ადამიანებისთვის ქონების ჩამორთმევა, არც **ბუტა რობაქიძის, გიორგი ვაზაგაშვილის, გიორგი გამცემლიძისა** და პროფესორ **გურამ შარაძის** ქუჩაში დახვრეტა, არც **სულხან მოლაშვილისა** და **სერგო თეთრაძის** წამებით მკვლელობა. თურმე არც ციხეებში აუპატიურებდნენ პატიმრებს სააკაშვილის ზეობის ხანაში; მაგალითად, 2011 წელს საქართველოში 24,1 ათასი პატიმარი და 300 ათასზე მეტი პრობაციონერი არ ყოფილა... სააკაშვილის გასათეთრებლად „ნაციონალურმა მოძრაობამ" რაიონებიდან ხალხი ჩამოიყვანა თბილისში და დაახლოებით 20-ათასიანი მიტინგი გამართა, შემდეგ კი თანამგრძნობ ე.წ. მეუფეებთან ერთად სააკაშვილის გათავისუფლების შესახებ პეტიცია გაავრცელა იმ „საბაბით", რომ თითქოს პრეზიდენტებს არც ერთ ქვეყანაში არ აპატიმრებენ.

**„ნაციონალური მოძრაობის" წარმომადგენელთა და მხარდამჭერთა მტკიცების მიუხედავად, რომ პრეზიდენტებს არ ასამართლებენ, ისტორიაში ასეთი უამრავი შემთხვევაა: დღემდე მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში 100-ზე მეტი სახელმწიფოს პირველი პირია (პრეზიდენტი და პრემიერმინისტრი) გასამართლებული და მსჯავრდადებული.**

**ნიკოლა სარკოზი, საფრანგეთის პრეზიდენტი (2007-2012)**

მიმდინარე წლის 30 სექტემბერს საფრანგეთის სასამართლომ 2012 წლის საპრეზიდენტო საარჩევნო კამპანიის უკანონოდ დაფინანსებაში დამნაშავედ ცნო ქვეყნის ყოფილი პრეზიდენტი **ნიკოლა სარკოზი** და 66 წლის ექსპრეზიდენტს ერთწლიანი შინაპატიმრობა მიუსაჯა. სარკოზიმ, გამოძიების თანახმად, არაკანონიერად მოიპოვა დიდძალი ფული და წინასაარჩევნო კამპანიაში, კანონით გათვალისწინებული 22,5 მლნ ევროს ნაცვლად, თითქმის 2-ჯერ მეტი დახარჯა.

**პაკ კინ ჰე, სამხრეთ კორეის პრეზიდენტი (2013-2017)**

2017 წლის 30 მარტს მექრთამეობის, ძალაუფლების ბოროტად გამოყენებასა და კონფიდენციალური ინფორმაციის გარეშე პირისთვის გადაცემის ბრალდებით დააპატიმრეს სამხრეთ კორეის ახლა უკვე ექსპრეზიდენტი, ქალბატონი პაკ კინ ჰე. სამხრეთ კორეაში კორუფციული სკანდალი აგორდა 2016 წლის ოქტომბერში, როცა პრესაში გამოქვეყნდა ინფორმაცია დიდი კორპორაციების (მათ შორის იყო „სამსუნგი") მიმართ მთავრობის მხარდამჭერის სანაცვლოდ დიდძალი ფულის გადარიცხვაზე ვიცეპრეზიდენტ **ცოი სუნ სილის** მიერ შექმნილ ფონდში. ამ სკანდალმა პრეზიდენტ პაკ კინ ჰეს მიმართ იმპიჩმენტის პროცედურის დაწყება გამოიწვია. 2017 წლის აპრილში საკონსტიტუციო სასამართლომ პაკ კინ ჰე პოსტიდან გადააყენა, 2018 წლის აპრილში კი სეულის სასამართლომ მას 24 წლით აღუკვეთა თავისუფლება და 18 მლრდ ვონის (დაახლოებით 15 მლნ დოლარი) გადახდა დააკისრა. ერთი წლის შემდეგ სასამართლომ გაითვალისწინა პროკურატურის მოთხოვნა და ყოფილ პრეზიდენტს ერთი წლით გაუხანგრძლივა პატიმრობა.

**სერჟ სარგსიანი, სომხეთის პრეზიდენტი (2008-2018)**

2019 წლის ბოლოს სპეციალურმა საგამოძიებო ჯგუფმა სომხეთის პრეზიდენტ **სერჟ სარგსიანს** წაუყენა ბრალდება 1 მლნ დოლარის სახელმწიფო ქონების გაფლანგვის შესახებ. სარგსიანს ადანაშაულებენ იმაში, რომ მან თავის ხელქვეითებს დაავალა, დიზელის საწვავის მიმწოდებლად აერჩია კომპანია „ფლეში" და არა „მასხერი", რომელიც საწვავის შემოტანას გაცილებით ნაკლებ ფასად სთავაზობდა. 2020 წლის 25 თებერვალს სასამართლომ დაიწყო საქმის განხილვა. პროცესი დღემდე გრძელდება. სარგსიანს 4-დან 8 წლამდე პატიმრობა ემუქრება.

**მოშე კაცავი, ისრაელის პრეზიდენტი (2000-2007)**

2011 წლის მარტში თელ-ავივის სასამართლომ 7 წლით აღუკვეთა თავისუფლება ისრაელის პრეზიდენტ მოშე კაცავს ორ ხელქვეითზე სექსუალური ძალადობისა და გამოძიებისთვის ხელის შეშლისთვის. 2011 წლის დეკემბერში ის ქალაქ რამლეს ციხე „მაასიაგუში" ჩასვეს. 2017 წლის 21 დეკემბერს კი ვადის ამოწურვამდე 2 წლით ადრე გაათავისუფლეს.

**ჟაკ შირაკი, საფრანგეთის პრეზიდენტი (1995-2007)**

2011 წლის დეკემბერში პარიზის სასამართლომ 2-წლიანი პირობითი სასჯელი შეუფარდა საფრანგეთის ყოფილ პრეზიდენტ **ჟაკ შირაკს,** რომელიც ბრალდებული იყო პარიზის მერობის პერიოდში „ფიქტიური სამუშაო ადგილების შექმნასა" და „უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებაში სარგებლის მიღების მიზნით". ჟაკ შირაკი 2016 წლის 26 სექტემბერს გარდაიცვალა.



ნიკოლა სარკოზი


ალბერტო ფუხიმორი


პაკ კინ ჰე


აუგუსტო პინოჩეტი


სერჟ სარგსიანი


ნიკოლაუ ჩაუშესკუ


მოშე კაცავი


ჟაკ შირაკი

**ალბერტო ფუხიმორი, პერუს პრეზიდენტი (1990-2000)**

2009 წლის პერუს იმხანად უკვე ყოფილ პრეზიდენტ **ალბერტო ფუხიმორის** 25 წლით აღუკვეთეს თავისუფლება მექრთამეობის, სატელეფონო საუბრების მიყურადებისა და სხვა დანაშაულებისთვის. 2014 წლის 25 ნოემბერს პერუს უზენაესმა სასამართლომ მას უარი უთხრა საქმის გადახედვაზე, 2017 წელს კი ფუხიმორის მძიმე დაავადების დიაგნოზი დაუსვეს და ამის გამო პრეზიდენტმა პედრო კუჩინსკიმ შეიწყალა.

**აუგუსტო პინოჩეტი, ჩილეს პრეზიდენტი (1974-1990)**

1973-1974 წლებში აუგუსტო პინოჩეტიმ სამხედრო გადატრიალების შედეგად ჩილეში დიქტატორული რეჟიმი დაამყარა. 1998 წლის 17 ოქტომბერს პინოჩეტი ლონდონში დააპატიმრეს და მკვლელობის 100 ეპიზოდში წარუდგინეს ბრალი, აგრეთვე, ადამიანების მოტაცებასა და წამებაში.

2001 წლის 9 ივლისს სასამართლომ პინოჩეტი გონებასუსტად ცნო და სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისგან გაათავისუფლა.

2005-2006 წლებში მას შინაპატიმრობა მიუსაჯეს 1974 წელს ორი პოლიტიკური ოპონენტის მოტაცებასა და მკვლელობის გამო. პინოჩეტს, აგრეთვე, ადანაშაულებდნენ კორუფციასა და ფინანსურ მაქინაციებში, მაგრამ ამისთვის სასამართლოს წინაშე არასოდეს წარმდგარა. პინოჩეტი 2006 წლის 10 დეკემბერს გარდაიცვალა.

**ნიკოლაუ ჩაუშესკუ, რუმინეთის პრეზიდენტი (1974-1989)**

1989 წელს სახალხო მღელვარების დაწყების შემდეგ **ნიკოლაუ ჩაუშესკუ** მეუღლესთან ერთად ბუქარესტიდან გაიქცა, მაგრამ შეიპყრეს. მისი სასამართლო 1989 წლის 25 დეკემბერს გაიმართა ტირგოვიშტეს სამხედრო გარნიზონში. ჩაუშესკუ დაადანაშაულეს გენოციდში, რომელმაც 60 ათასი ადამიანის სიცოცხლე შეიწირა; სახელმწიფო ხელისუფლებისა და ეკონომიკისთვის ძირის გამოთხრაში, უცხოეთის ბანკებში მლრდ დოლარამდე თანხის გადარიცხვაში.

სასამართლომ ცოლ-ქმარს დახვრეტა მიუსაჯა. განაჩენი იმავე დღეს აღასრულეს.

მოამზადა
**ნიკა კორინთელმა**

«მე სიტყვასა ერთსა გკადრებ...»

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**საიდან მოაქვს გვარამიას, რომ თითქოს ახალ აღთქმაში სასჯელის ცნება არ არსებობს და მხოლოდ მიტევებაზეა საუბარი?! სააკაშვილისა და გვარამიას მსგავსი ავაზაკებისგან მიტევებაზე საუბარი ქრისტიანული დიდსულოვნების გამოხატულება კი არ არის, სატანური ფარისევლობაა, რომელიც ბოროტების შენიღბვისა და სასჯელისგან თავის დაძვრენის უგადრუკი სურვილითაა ნასაზრდოები. პეტრე მოციქული კი გვასწავლის: „იცხოვრეთ, როგორც თავისუფლებმა, ოღონდ თავისუფლებას ბოროტების საფარველად ნუ გამოიყენებთ!“**



# სარფიანი უსინდისობა

## ვალერი კვარაცხელიას პუბლიცისტური წერილები. საავტორო გვერდი

## ოცდამეთექვსმეტე გამოშვება

„ჩვენ სუფთა სინდისი გვაქვს, ვინაიდან მას არასოდეს ვიყენებთ!“

ოვიდიუსი



ჩაიარა 14-მა ოქტომბერმა. აგუგუნდა რუსთაველის პროსპექტი და თავისუფლების მოედანი. ათი ათასამდე ადამიანი იყოო, — ქოცებმა. სულ ცოტა, ასი ათასი ვიყავითო, — ნაცებმა. ორივე მხარე აშკარად ნაცარს გვაყრის თვალში. თავისუფლების მოედანზე 20 ათას ადამიანზე მეტი არ ეტევაო, — ამტკიცებენ ქოცები. 2012 წელს, როდესაც ივანიშვილმა დაიწყო აქციები, მაშინ, იმავე მოედანზე, იმავე ქოცების აზრით, 200 ათასი ეტეოდა. თუმცა, იმ დროს ნაცებიც იმას ამტკიცებდნენ, რასაც ახლა ქოცები ამტკიცებენ: მოედანზე 20 ათას ადამიანზე მეტი არ ეტევაო. ერთი სიტყვით, რასაც გუშინ ნაცი გვიმტკიცებდა, იმავეს დღეს ქოცი გვიმტკიცებს; ხოლო რასაც გუშინ ქოცი გვიმტკიცებდა, იმას დღეს ნაცი გვიმტკიცებს. საერთოდ, ძალიან გადადიან და გადმოდიან ერთმანეთში და დღითიდღე ერთმანეთისგან სულ უფრო ძნელად გასარჩევი არიან...

რაოდენობასა და ჭეშმარიტებას შორის ასე პირდაპირი კავშირი რომ არ არსებობს, ეს ისტორიის მიერ დადასტურებული ფაქტია. არ ხდება ისე, რომ, რაც უფრო მეტი ადამიანი უჭერს მხარს ამა თუ იმ იდეას ან პოზიციას, მით ჭეშმარიტია ეს აზრი და პოზიცია. ჩვენ შემთხვევაში რაოდენობა ჭეშმარიტებას კი არა, ძალას, უფრო ზუსტად, ფულს გამოხატავს. რაც მეტი ადამიანი დგას ერთ რომელიმე მხარეს, მით უფრო ძლიერია (ფულიანია) ეს მხარე, ძლიერი და არა — მართალი, ფულიანი და არა — მართალი. ფულის ძალა გვიქციეს ჭეშმარიტების, სიკეთის, სიყვარულის, ზნეობის საზომად. ვისაც ასეთი ძალა აღმოაჩნდება, ბრძენიც ისაა, კეთილშობილიც, პატრიოტიც, ქველმოქმედიც და, თუ გნებავთ, წმინდანადაც შერაცხავენ. ძალას (ფულს), ანუ რაოდენობას გამოდევნებულებმა, მთავარი დავკარგეთ — სინდისი. სინდისი, რომლის გარეშეც ადამიანისგან ცხოველიღა რჩება. ან იმ პარტიას რა სინდისი უნდა მოსთხოვო, რომელიც ფულს არიგებს იმისთვის, რომ ხალხი ქუჩაში გამოიყვანოს; ან იმ ხალხს, რომელიც ფულის საზღაურად ქუჩაში გამოდის და, რასაც ჩასძახებენ, იმასვე ამოიძახებს. ამ ვითარების ახსნა იმით, რომ ხალხს უჭირს, ალბათ, შესაძლებელია, მაგრამ ახსნა გამართლებას არ ნიშნავს. ვითარების ამგვარი ახსნა გაჭირვების არსებობაზე მეტყველებს და არა — სინდისის არსებობაზე. უსინდისო საქციელი უსინდისო საქციელად რჩება, იმის მიუხედავად, ვინ სჩადის მას — მშიერი თუ მაძღარი. უსინდისობას მოტივი კიდეც რომ მოეძებნოს, ამით მას სახელი ვერ შეეცვლება, რადგან მოტივირებული უსინდისობაც უსინდისობაა.

ეს საზოგადოდ.

კონკრეტულად კი... ეჰ, რამდენი კონკრეტული რამ არის სათქმელი. ადამიანი ქუჩაში როდესაც გამოდის და ყვირილს იწყებს, ის ყვირილი სულის ამოძახილი უნდა იყოს. 14 ოქტომბერს ქუჩაში გამოსული ხალხის მთავარი ლოზუნგი ასეთი იყო: „თავისუფლება მიშას!“. რომელი სულის ამოძახილია ეს ლოზუნგი, მიხეილ სააკაშვილი ციხეში ტყუილად ზის? მას დანაშაული არ ჩაუდენია? არასწორად გაასამართლეს? ცილი დასწამეს? საქმე შეუთითხნეს? ბიზნესმენები არ დაუპატიმრებია და მათთვის ფული და ქონება არ წაურთმევია? ტელეკომპანია „იმედი“ არ დაურბევია? 7 ნოემბრისა და 26 მაისის აქციები სისხლში არ უბანავებია? ორი გვამი არ მოუთხოვია? ეს ყველაფერი ხომ ფაქტებით დადასტურებული ნამოქმედარია მისი. მიხეილ სააკაშვილს ერთი (მისთვის) ცუდი თვისება ჰქონდა — მის მიერ ჩადენილ მრავალ დანაშაულს (ყველაფერს — არა) იღებდა და ვიდეომასალად ინახავდა, ამიტომ ხალხს ნანახი აქვს ეს ყველაფერი. თუკი ვინმე არის ისეთი, ვისაც ეს მასალები აქამდე არ უნახავს, შევიდეს ინტერნეტში და საკუთარი თვალით იხილავს ყოველივეს. სააკაშვილს მხოლოდ ის ხომ არ ჩაუდენია, რაც ზემოთ იყო ჩამოთვლილი? მის რეჟიმს ადამიანები არ დაუხოცავს? გირგვლიანის მკვლელობა არ მომხდარა? პრეზიდენტ სააკაშვილს გირგვლიანის მკვლელების ცინიზმითა და უსინდისობით გაჯერებული შეწყალება არ განუხორციელებია? ეს ყველაფერი დანაშაული არ არის, თანაც უმძიმესი დანაშაული? რას ეფუძნება (სიმრავლის გარდა) ამ ადამიანების მიერ კანონის უგულებელყოფის მოთხოვნა? სააკაშვილი პრეზიდენტი რომ იყო (ხალხმა, თავის დროზე, ეს მიუტევებელი შეცდომა რომ დაუშვა), ეს ფაქტი მას დანაშაულის ჩადენის უფლებას ან დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში პატიების ინდულგენციას აძლევს? რა მიდგომაა, რა მორალია ეს? საიდან იღებს სათავეს ასეთი საზოგადოებრივი უპასუხისმგებლობა? ეს ის შეკითხვებია, ხალხი, სანამ ქუჩაში გამოვიდოდეს, საკუთარ თავს რომ უნდა უსვამდეს. უპასუხისმგებლო მიდგომები, სამწუხაროდ, ახალი ამბავი არ არის, ძველთაგან მოგვდგამს. გაიხსენეთ ე.წ. თვითმფრინავის გამტაცებელთა საქმე გასული საუკუნის 80-იანი წლების დასაწყისში. რამდენიმე ავაზაკმა უსასტიკესი დანაშაული ჩაიდინა, თვითმფრინავში იარაღის შეტანა მოახერხა, იქ ეკიპაჟის წევრები დახოცა და ასობით მგზავრის სიცოცხლე სასწორზე შეაგდო, რათა რომელიღაც მიმართულებით თავიანთი ბინძური ლტოლვა დაეკმაყოფილებინათ. აი, ეს სისხლიანი ტერორისტები შევიწყალოთო, — ატყდა მაშინდელი ე.წ. ინტელიგენციის ერთი ნაწილი. მათ არ ჰქონდათ პასუხი შეკითხვაზე, რატომ უნდა შეეწყალებინათ ტერორისტები, რომლებმაც უდანაშაულო ადამიანების სიცოცხლე დაუნდობლად გაწირეს საკუთარი, აბსოლუტურად ამორალური ხუშტურების დასაკმაყოფილებლად. რა იურიდიულ ან მორალურ საფუძველს უნდა დაყრდნობოდა იმ ცივსისხლიანი მკვლელებისა და ავაზაკების შეწყალება? ან რა ახსნა აქვს იმ ამბავს, რომ შემზარავი დანაშაულის ჩამდენ ნაძირალებს დღემდე გმირების მანტიაში ხვევენ სარეველასავით მომრავლებული ვაიმწერლები და ვაიჟურნალისტები?! დღეს უკვე ნათელია, ვინ იყვნენ და ვინ არიან ისინი, ვინც ამ ტერორისტული აქტის რომანტიზებას ცდილობდნენ და ცდილობენ. ეს ის ხალხია, რომლისთვისაც დასავლური იდეოლოგიით ნაკვები ტერორისტებიც კი მისაღები და სანუკვარია. ამ ყაიდის ადამიანებს სააკაშვილიც იმიტომ უყვართ, რომ იგი დასავლეთის მიერ მოგზავნილი დაქირავებული მკვლელია. თუ მკითხავთ, ვინ მოკლა სააკაშვილმაო, შეკითხვაზე შეკითხვითვე გიპასუხებთ: ვინ მოკლა ბადრი პატარკაციშვილი, ზურაბ ჟვანია, გურამ შარაძე, გია კრიალაშვილი, სანდრო გირგვლიანი, ბუტა რობაქიძე, მამა-შვილი იური და ზურაბ ვაზაგაშვილები, სულხან მოლაშვილი?.. კიდევ რამდენი ადამიანის გახსენება შეიძლება, ვინ მოკლა ისინი? ეს ადამიანები პირადად სააკაშვილს რომ მოეკლა, არა უშავდა, რადგან ერთ მკვლელს (თუნდაც, სერიულს) ქვეყანა აიტანდა. გაცილებით უარესია, როდესაც რეჟიმია მკვლელი. ეს ადამიანები მკვლელმა რეჟიმმა მოკლა, რომელიც სააკაშვილის შექმნილი იყო. ვილაცეები კი გამომდგარან და გაიძახიან — თავისუფლება მიშას! ამ სამარცხვინო ეპოპეის მთელი უბედურება ისაა, რომ მათ მიშაც ფეხებზე ჰკიდიათ და მისი თავისუფლებაც. ისინი მიშას ახალი რეჟიმისგან (თუკი ასეთი საშინელება მოხდება) იმ სალაფავს მოელიან, ივანიშვილისგან რომ ვერ მიიღეს ან მიიღეს, მაგრამ ეცოტავათ, ან რაღაც მიზეზით შეუწყვიტეს. ისინი, შესაძლებელია, კარგი მეცნიერები, მხატვრები ან არტისტები არიან, მაგრამ ცუდი ადამიანები და უფრო უარესი მოქალაქეები ყოფილან, ვინაიდან მზად არიან, ახალ პოლიტიკურ მკვლელობებს, პატიმართა წამებისა და გაუპატიურების ახალ ტალღას მოაწერონ ხელი, ოღონდ ვიღაც, როგორც ადრე იტყოდნენ, ოთხში ამოიღონ, სათანადოდ დაუფასებლობის გამო მასზე შური იძიონ, როგორც მოახერხებენ და გამოუვათ, ისე დასაჯონ და დაუმტკიცონ, რომ ამათაც რაღაც შეძლებიათ. ივანიშვილია ის ვიღაც. არ ვაპირებ, ივანიშვილისა და ამ ადამიანების ურთიერთობებში მოსამართლის ფუნქცია ვიტვირთო და მტყუან-მართალი ვარკვიო. ივანიშვილი იქნებ უარეს მოპყრობასაც იმსახურებს, მაგრამ სააკაშვილის პოლიტიკური რეანიმაციის მცდელობით მათ ივანიშვილისთვის კი არა, ქართველი ხალხისთვის გამოაქვთ უმძიმესი განაჩენი, ისინი ამით საქართველოს სჯიან. სააკაშვილი ხომ ის პრეზიდენტია, რომელმაც საქართველოს ციხეები პოლიტიკური პატიმრებით გაავსო. ახლა კი გაჰყვირის, — პოლიტიკური პატიმარი ვარო. სააკაშვილი ის პრეზიდენტი იყო, რომელმაც პატიმრების წამებისა და გაუპატიურების სისტემა შექმნა.

მიუხედავად იმისა, რომ ამ საშინელებათა ამსახველი უამრავი დოკუმენტური და ვიდეომასალა არსებობს, გაიძახიან, ეს სიცრუეაო. ასე ყველაფერზე შეიძლება იძახონ, — სიცრუეაო, ენას ხომ ძვალი არ აქვს, მაგრამ ფაქტები თუკი ღაღადებენ?! უფრო მოღალადე ფაქტი რა უნდა იყოს, ვიდრე თვითონ სააკაშვილის აღიარებაა?! ინებეთ ამონაწერი საპარლამენტო დროებითი საგამოძიებო კომისიის სხდომის ოქმიდან, სადაც მიხეილ სააკაშვილი აცხადებს (სტილი დაცულია):

„მთავარ ციხეში, ანუ ცენტრში ხდებო-

▶

**ამერიკული დემოკრატიის ამიერკავკასიაში მოციმციმე ეს «ჩაუქრობელი შუქურა» ჰუმანიზმის ნაცვლად სისასტიკეს ქადაგებდა და ნერგავდა. «არავითარი პირობითი სასჯელი, ყველა ციხეში, ყველა ციხეში!» — ღრიალებდა იგი პარლამენტის ტრიბუნიდან. სხვათა შორის, იგი მხოლოდ ციხით არ იმუქრებოდა: «ბუნტის ნებისმიერი მცდელობისას გახსნან ცეცხლი და ადგილზე გაანადგურონ, მოკლან ნებისმიერი, ვინც ამას შეეცდება. ჩვენ ამ ხალხისთვის ტყვიები არ გვენანება!»**

# ბოროტებისა და უსინდისობის საფარველად ახლა საქართველოში ეს ლოზუნგი ფრიალებს: „თავისუფლება მიშას!“. ეს სწორედ ის მოტივირებული უსინდისობაა, რომელიც წარსულ ცოდვათა მიჩქმალვისა და ახალი ცოდვების ჩასადენად ხელისუფლებისკენ აღვირახსნილ ლტოლვაში ვლინდება.

«მე სიტყვასა ერთსა გკადრებ...»
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**და ის, რაც ხდებოდა, გვეგონა, ბევრი რამ შევცვალეთ, მაგრამ ეს აღმოჩნდა მხოლოდ გარეგნული. მთავარი საზიზღრობები თურმე ჯერ კიდევ შიგნით ყოფილა. მათ შორის ის, რომ სრული მანიაკები ასე დაუსჯელად მოქმედებდნენ, ასე დაუსჯელად სცემდნენ, ამცირებდნენ ხალხს და მართლა მანიაკალურობის გარდა, არ მესმის, სხვა რა მოტივაცია შეიძლება იყოს იმ ქმედებებში, რაც არის. და ის, რომ გამოძიება ჩვენ მხოლოდ რამდენიმე კვირაა, რაც დავიწყეთ, ნიშნავს, რომ ბევრი რგოლი ჩავარდა. ე.ი. რეალურად მოხდა სისტემური მარცხი“.** აღიარება სხვა რა უნდა იყოს, გაუგებარია.

სააკაშვილი საქართველოში ვითომ დანაშაულს ებრძოდა, მაგრამ სინამდვილეში დანაშაულებრივ პოლიტიკას ნერგავდა. იგი დანაშაულს იმით „ებრძოდა“, რომ მის ლეგალიზაციას ახდენდა. სამაგალითოდ უმარტივესი კორუფციული სქემა ავიღოთ. რომელიმე დოკუმენტის მიღების ვადად, ვთქვათ, დაწესებული იყო ორი კვირა. მოქალაქე, რომელსაც ეჩქარებოდა ამ დოკუმენტის მიღება, დაბალი რანგის რომელიღაც მოხელეს ქრთამს აძლევდა და დოკუმენტს ორი კვირის ნაცვლად ორ დღეში იღებდა. ეს იყო კლასიკური კორუფცია. **სააკაშვილმა ეს პროცესი შეცვალა და მას კანონიერი სახე მისცა, რომლის შედეგად მოქალაქე ქრთამს უკვე მოხელეს კი არა, პირდაპირ სახელმწიფოს უხდიდა — ლეგალურად და ოფიციალურად. ამით კორუფციის შინაარსი არ შეცვლილა, ფორმა შეიცვალა, რითაც კორუფციის იურიდიული ასპექტი გაქრა, მაგრამ... თვითონ კორუფცია არსად წასულა.** სააკაშვილი დღემდე ტრაბახობს, რომ მან საქართველოში კორუფცია მოსპო. სინამდვილეში მან კორუფციის ყველა ფორმას მაღალ ეშელონებში მოუყარა თავი, რითაც ორი კურდღელი დაიჭირა:

**1. კორუფციის მასშტაბები არნახულად გაზარდა და იგი ელიტურ მოვლენად აქცია, რის შემდეგაც მასზე ხელი მხოლოდ თვითონ და მის უშუალო გარემოცვას მიუწვდებოდა;**

**2. ამ მოვლენის ფონზე, თავი იმ უდიდეს რეფორმატორად გამოაცხადა, რომელმაც სასწაული ჩაიდინა და კორუფცია დაამარცხა.**

**ამერიკული დემოკრატიის ამიერკავკასიაში მოციმციმე ეს „ჩაუქრობელი შუქურა“ ჰუმანიზმის ნაცვლად სისასტიკეს ქადაგებდა და ნერგავდა. „არავითარი პირობითი სასჯელი, ყველანი ციხეში, ყველანი ციხეში!“** — **ღრიალებდა იგი პარლამენტის ტრიბუნიდან. სხვათა შორის, იგი მხოლოდ ციხით არ იმუქრებოდა: „ბუნტის ნებისმიერი მცდელობისას გახსნან ცეცხლი და ადგილზე გაანადგურონ, მოკლან ნებისმიერი, ვინც ამას შეეცდება. ჩვენ ამ ხალხისთვის ტყვიები არ გვენანება!“** სახელმწიფოს ზოგჯერ მართლაც უწევს იარაღის გამოყენება წესრიგის დასაცავად, ტერორისტული აქტების აღსაკვეთად და ა.შ., მაგრამ აქ ლაპარაკი სხვა რამეზეა. დააკვირდით მის ფრაზეოლოგიას: **„ადგილზე გაანადგურონ, მოკლან...“** ეს არ არის დემოკრატი პრეზიდენტის ლექსიკა, ეს არის შინაგანად სისხლს მოწყურებული მანიაკის წინასწარი სადისტური ტკბობა მომავალი ქმედებით, რომელიც გამჟღავნებულია სიტყვებში: **„ადგილზე განადგურება“ და „მოკვლა“. „ჩვენ ამ ხალხისთვის ტყვიები არ გვენანება“,** — აცხადებს სააკაშვილი. იგი არ ამბობს, ტყვიები დამნაშავეებისთვის არ გვენანებაო, იგი ამბობს, ტყვიები **„ამ ხალხისთვის“** არ გვენანებაო. ეს არაცნობიერის უნებლიე ამოვარდნაა. მისი სიძულვილის ობიექტი გაცილებით მასშტაბურია, ვიდრე საზოგადოების კრიმინალური ნაწილი. მას, არც მეტი, არც ნაკლები, ხალხისთვის არ ენანება ტყვიები. დააკვირდით ამ ბოლო სიტყვას — ტყვიები. ქართული მეტყველებისთვის დამახასიათებელია ამგვარი სიტყვათწყობა — **მკვლელისთვის ტყვია არ დამენანება! უმწეო ადამიანის მჩაგვრელისთვის ტყვია არ დამენანება! სააკაშვილი კი იმასაც, ვისთვისაც სასიკვდილო განაჩენი გამოაქვს, მრავლობითში (ამ შემთხვევაში, კრებსითში) მოიხსენიებს — ხალხი, და განადგურების საშუალებასაც ასევე მრავლობითში მოიხსენიებს — ტყვიები.** აი, ეს მასშტაბია მთავარი — ხალხი და ტყვიები. ეს მისი სტიქიაა, მისი გაქანებაა. იგი მისი ნატურით დიდი და გრანდიოზული ომის მწარმოებელი პიროვნებაა და, სანამ ამის საშუალება არ აქვს, ამაზე ოცნებობს, მაგრამ, როგორც კი ამის საშუალება მიეცემა, ნაოცნებარის აღსრულებასაც არ დააყოვნებს. **სააკაშვილს ახასიათებს ფსიქიკური ინფანტილიზმი, რომელზეც მისი სექსუალური თავაშვებულებაც მეტყველებს. იგი დღესაც ის უმწიფარი ახალგაზრდაა, რომელიც საკუთარ წარმოსახვაში ხან ალექსანდრე მაკედონელია, ხან — ნაპოლეონ ბონაპარტე, ხან — ადოლფ ჰიტლერი, ხან — დავით აღმაშენებელი და ა.შ. რას წარმოადგენენ ეს ისტორიული პიროვნებები მათ მიერ წარმოებული გრანდიოზული ომების გარეშე? თითქმის არაფერს!** ამიტომ სააკაშვილის ბიოგრაფიაში აუცილებლად უნდა ყოფილიყო საომარი ბატალიები, რომლებშიც იგი, როგორც უმაღლესი მთავარსარდალი, მის „უსაზღვრო შესაძლებლობებს“ ისეთი სისრულით გამოავლენდა, რომ არა მხოლოდ საქართველოს, არამედ კაცობრიობის ისტორიაშიც ოქროს ასოებით ჩაეწერებოდა. ეს მისი ოცნება იყო უკვდავებასა და დიდებაზე. აი, სად იმალება **2008 წლის აგვისტოს ომის ფსიქოლოგიური ფაქტორები და წანამძღვრები. სწორედ ეს ომია მის მიერ ჩადენილი უდიდესი დანაშაული საქართველოს წინაშე, რომლის დამანგრეველი შედეგები, შესაძლებელია, საერთოდ გამოუსწორებელი აღმოჩნდეს.** ეს ომი ცხინვალში სააკაშვილის შეჭრით დაიწყო და რუსეთის მიერ აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობის აღიარებით, ანუ საქართველოს ტერიტორიული რღვევით დასრულდა. სააკაშვილის ლაქიები დღემდე გაჰყვირიან, ომი სააკაშვილს არ დაუწყიაო. სააკაშვილმა კი ამ საკითხების შემსწავლელ საპარლამენტო სპეციალურ კომისიაზე დაკითხვის პროცესში მისთვის დასმულ შეკითხვას, დაიწყო თუ არა მან ომი, ასე უპასუხა: **„არც მე, არც მთავრობის სხვა წევრებს არასოდეს საპირისპირო არ გვითქვამს. საკითხს ისე აყენებენ, თითქოს ჩვენ ამას უარვყოფთ. კითხვაზე, განახორციელა თუ არა საქართველომ სამხედრო მოქმედებები ცხინვალისა და სამხრეთ ოსეთის იმ ტერიტორიების საკონტროლებლად, რომლებსაც მანამდე ვერ ვაკონტროლებდით, მინდა განვაცხადო: დიახ, ჩვენ მივიღეთ გადაწყვეტილება, გვეწარმოებინა სამხედრო მოქმედებები ცხინვალის რეგიონში საკუთარი სამშობლოსა და მოქალაქეების უსაფრთხოების დასაცავად“. ასეთია სააკაშვილის პირდაპირი აღიარება 2008 წლის ომზე.** მოკლედ, სააკაშვილი საკუთარ თავს ხან აღმოსავლეთ ევროპის **ჯორჯ ვაშინგტონად,** ხან კი საქართველოს სახელმწიფოს დამფუძნებელ მამად რომ მოიხსენიებს, სინამდვილეში საქართველოს ტერიტორიული ნგრევისთვის და სრული გაჩანაგებისთვის საფუძვლის ჩამყრელი და დასაბამის მიმცემია. სააკაშვილი ის პრეზიდენტია, რომელმაც საქართველო გამოუსწორებლად დააზიანა, მაგრამ, **სამწუხაროდ, იგი ამ დანაშაულისთვის არ არის გასამართლებული, ვინაიდან „ქართულმა ოცნებამ“ ვერ გაბედა შესაბამისი მუხლით მისი გასამართლება. ივანიშვილს შეეშინდა, რომ ამას რუსეთის გამართლებად და დასავლეთის საწინააღმდეგოდ გადადგმულ ნაბიჯად ჩაუთვლიდნენ. ეს უკვე ივანიშვილისა და მისი ხელისუფლების მიერ ჩადენილი ახალი დანაშაულია, რომელიც სისხლის სამართლის კოდექსში დანაშაულის დაფარვად კვალიფიცირდება.**

ახლა ბევრს ლაპარაკობენ მიტევებასა და დიდ შერიგებაზე. ჯერ ცალკეულმა სასულიერო პირებმა დაიწყეს ამ თემაზე საუბარი, შემდეგ კი, როგორც მოსალოდნელი იყო, თემა სააკაშვილმა განაგრძო: **„ჩვენ თუ გვინდა ცივილიზებული ქვეყანა, მაშინ აუცილებლად გვჭირდება დიდი შერიგება და უარი რევანშსა და შურისძიებაზე“.** მოკლედ, ციხიდან გამიშვითო, გვეუბნება სააკაშვილი, მაგრამ ამ სათქმელს შერიგებისა და მიტევების მაღალი იდეალებით ფუთავს, ანუ თვალებში ნაცარს გვაყრის. თუმცა, **მეუფე დიმიტრისგან** ზუსტი პასუხი მიიღო: **„შერიგების სურვილი უნდა მოდიოდეს ტანჯულისგან და არა მტანჯველისგან. მტანჯველი სინანულს უნდა განიცდიდეს“.** სხვათა შორის, მეუფე დიმიტრისგან სასულიერო იერარქებმაც (ნაცმა) საკადრისი პასუხი მიიღეს: **„პეტიციაზე ხელმომწერ მღვდელმთავრებს მივმართავ: ერთხელ მაინც თუ შეხვედრიხართ იმ ტანჯვა-წამებაგამოვლილ ოჯახებს, მათი ჭირვარამი თუ მოგისმენიათ?“**

ნაცი მღვდლების შეგონებით თუ ვიხელმძღვანელებთ, ცოტა ხანში ისე შემოაბრუნებენ საკითხს, რომ ტანჯვაგამოვლილ ადამიანებსაც და სრულიად საქართველოსაც სააკაშვილისთვის პატიების თხოვნა მოგვიწევს. საკითხის მართებული დასმა კი ის იქნება, რომ სააკაშვილმა ჯერ აღიაროს ჩადენილი ცოდვები და დანაშაულები, შემდეგ პატიება ითხოვოს და მხოლოდ ამის მერე გადაწყვეტს ერი და ბერი, რა და როგორ. აი, რა ბრძანა **პატრიარქის მოსაყდრე შიომ: „ბოროტება ჩვენ უნდა აღვკვეთოთ და შევაჩეროთ ზოგჯერ სამართლიანი სასჯელითაც. ხშირად არასწორად განმარტავენ ქრისტიანულ სწავლებას — ამბობენ, რომ ყველას ყველაფერი უნდა აპატიო, ყოველთვის ყველას უნდა შეურიგდე. ასეთი რამ სახარებაში არ გვიწერია ჩვენ. გარდა იმისა, რომ სამართლიანი სასჯელითაც უნდა აღიკვეთოს ბოროტება, ასევე, ზოგჯერ, უკიდურეს შემთხვევაში, უნდა მოვიკვეთოთ ასეთი ადამიანი“.**

**აკაკი წერეთელი** „გამზრდელში“ გვეუბნება: **„არის ზოგი შეცოდება, რომ სათქმელად საძნელოა, არც შენდობა უხერხდება!“** არის დანაშაული, რომლის პატიება არ შეიძლება, ვინაიდან ეს ის შემთხვევაა, როდესაც აქტი მიტევებისა მიმტევებელს კი არ აამაღლებს, იმაზე მეტად შეურაცხყოფს, თავდაპირველმა დანაშაულმა რომ შეურაცხყო. ამაზეა საუბარი, მაგრამ **სატანის ტელეარხებზე სატანის მოციქულები ხომ იმიტომ არიან ჩაბუდებულნი, რომ ყველაფერი თავდაყირა დააყენონ და ყველაფერი წაბილწონ. მეუფე შიოს გვარამია ეკამათება და მისი სიტყვების გაქარწყლებას იმით ცდილობს, ეს ძველი აღთქმის „პირქუში ღმერთის“(!) პოზიციაა, ახალი აღთქმა კი, პირიქით, სასჯელზე კი არა, მიტევებაზე ქადაგებსო. არადა, სულაც არ არის ისე, როგორც გვარამიას ავაზაკურ ცნობიერებას ბიბლია გადაუხარშავს. მაცხოვარი გვეუბნება: „ნუ სჯით თუალ-ღებით, არამედ სამართალი სასჯელით საჯეთ!“ (იოანე. 7. 24).** სხვაგან ასე გვასწავლის უფალი: „მონამან, რომელმაც იცის ნებაი უფლისა თვისისა და არა განემზადოს ნებისაებრ მისისა, იტანჯოს იგი ფრიად. ხოლო რომელმან არ იცის და ქმნას რამე ღირსი ტანჯვისაი, იგუემოს მცირედ, რამეთუ ყოველსა, რომელსა მიეცა დიდად, დიდადცა მიეღოს მისგან, და რომელსა მიეცა ფრიად, უმეტესი მოჰხადონ მას!“ **(ლუკა. 12. 47-48).** საიდან მოაქვს გვარამიას, რომ თითქოს ახალ აღთქმაში სასჯელის ცნება არ არსებობს და მხოლოდ მიტევებაზეა საუბარი?! სააკაშვილისა და გვარამიას მსგავსი ავაზაკებისგან მიტევებაზე საუბარი ქრისტიანული დიდსულოვნების გამოხატულება კი არ არის, სატანური ფარისევლობაა, რომელიც ბოროტების შენიღბვისა და სასჯელისგან თავის დაძვრენის უბადრუკი სურვილითაა ნასაზრდოები. პეტრე მოციქული კი გვასწავლის: „იცხოვრეთ, როგორც თავისუფლებმა, ოღონდ თავისუფლებას ბოროტების საფარველად ნუ გამოიყენებთ!“

ბოროტებისა და უსინდისობის საფარველად ახლა საქართველოში ეს ლოზუნგი ფრიალებს: „თავისუფლება მიშას!“. ეს სწორედ ის მოტივირებული უსინდისობაა, რომელიც წარსულ ცოდვათა მიჩქმალვისა და ახალი ცოდვების ჩასადენად ხელისუფლებისკენ აღვირახსნილ ლტოლვაში ვლინდება.

## «არც მე, არც მთავრობის სხვა წევრებს არასოდეს საპირისპირო არ გვითქვამს. საკითხს ისე აყენებენ, თითქოს ჩვენ ამას უარვყოფთ. კითხვაზე, განახორციელა თუ არა საქართველომ სამხედრო მოქმედებები ცხინვალისა და სამხრეთ ოსეთის იმ ტერიტორიების საკონტროლებლად, რომლებსაც მანამდე ვერ ვაკონტროლებდით, მინდა განვაცხადო: დიახ, ჩვენ მივიღეთ გადაწყვეტილება, გვეწარმოებინა სამხედრო მოქმედებები ცხინვალის რეგიონში საკუთარი სამშობლოსა და მოქალაქეების უსაფრთხოების დასაცავად» — ასეთია სააკაშვილის პირდაპირი აღიარება 2008 წლის ომზე


აქცია რუსთავში საპატიმროსთან, რომელშიც სააკაშვილი ზის

**P.S. საქართველოში, სადაც უკიდეგანო სიძულვილი მძვინვარებს, მიტევებისა და შერიგების საკითხი, რა თქმა უნდა, დგას, მაგრამ, საბოლოო ჯამში, ყველაფერი ზნეობის პრობლემამდე დადის. თომას მანი ბრძანებს: „ზნეობრიობის საზომი სუფთა სინდისის შენარჩუნების საზიზღარი ხელობა კი არ არის, ბრძოლა და ტანჯვა, ვნება და სიკვდილია“. ჩვენმა თაობამ „სუფთა სინდისის“ შენარჩუნების მრავალი ხერხი აითვისა, მაგრამ სინდისის კარნახით ცხოვრება გულშიც არ გაუვლია. შედეგებს დღესაც საკმარისად ვიმკით და მომავალში უფრო მეტად მოვიმკით...**

თვალსაზრისი
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„ევროპა სუსტდება, ამას ვხედავთ. შესაბამისად, ძლიერდება ევრაზია და ბუნებრივიცაა. ევროპას ნავთობისა და ბუნებრივი აირის სერიოზული კრიზისი აქვს და მისი მხსნელი, არც მეტი, არც ნაკლები, რუსეთის პრეზიდენტი ვლადიმერ პუტინია. ამას იმიტომ ვამბობ, რომ ევროპას საქართველოსთვის არ სცალია და კიდევ დიდხანს ვერ მოიცლის. რუსეთი ძლიერდება ევროპაშიც და საქართველოს შანსი, რომ ევროკავშირში მიგვიღონ, ეფემერული ხდება“.**

# რას მოუტანს საქართველოს «3+3» ფორმატში მონაწილეობაზე უარის თქმა

**სანამ უკრაინაში პოროშენკო და ზელენსკი, საქართველოში კი ნაცები და ქოცები ერთმანეთს ეჯიბრებიან, რომელი უფრო ყურმოჭრილი მონაა დასავლეთის, რუსეთმა ორივე ერთმორწმუნე მეზობელს სატრანზიტო ფუნქციის შესრულების ყველანაირი ბერკეტი ხელიდან გამოაცალა.**

რუსეთმა უკრაინის გვერდის ავლით გაზსადენი „ჩრდილოეთის ნაკადი-2“ გაიყვანა ევროპაში და უკრაინას ევროპისთვის ბუნებრივი აირის მიმწოდებლის ფუნქცია დააკარგვინა, არაადეკვატური პოლიტიკის მიმდევარ საქართველოს კი გვერდი აუარა ყველაზე საუკეთესოში, რაც გაგვაჩნდა — აღმოსავლეთიდან დასავლეთისკენ და ჩრდილოეთიდან სამხრეთისკენ დამაკავშირებელი გზაჯვარედინში, რომელთა გავლის გარეშე თურქეთი აზერბაიჯანს ვერ უკავშირდებოდა, რუსეთი — სომხეთს, სომხეთი — ირანს.

სომხეთის პრემიერი ფაშინიანი მოსკოვში ვიზიტის შემდეგ იძულებული შეიქნა, აზერბაიჯანისა და თურქეთისთვის დერეფანი გაეხსნა. სომხეთის პრემიერმინისტრმა ამ გადაწყვეტილებით საქართველოს წინააღმდეგ სერიოზული ნაბიჯი გადადგა — საქართველო სატრანზიტო გზას დაკარგავს.

ჩვენმა ქვეყანამ ასევე უარი განაცხადა „3+3“ ფორმატში მონაწილეობაზე. „3+3“ ფორმატის იდეა აზერბაიჯანისა და თურქეთის პრეზიდენტებმა — ილჰამ ალიევმა და რეჯეფ თაიფ ერდოღანმა 2020 წლის 10 დეკემბერს წამოაყენეს. „3+3“-ის ფორმატი გულისხმობს კავკასიის სამი ქვეყნის — აზერბაიჯანის, საქართველოს, სომხეთისა და რეგიონის სამი დიდი სახელმწიფოს — ირანის, რუსეთისა და თურქეთის თანამშრომლობას. ფორმატმა უნდა მოიცვას უსაფრთხოების, ეკონომიკისა და ტრანსპორტის საკითხები.

2021 წლის 6 ოქტომბერს რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა სერგეი ლავროვმა პრესკონფერენციაზე განაცხადა, რომ ირანელ კოლეგა ჰოსეინ ამირ აბდოლაჰიანთან ერთად განიხილა ე.წ. 3+3 ფორმატის შექმნა. როგორც ლავროვმა თქვა, ირანულმა მხარემ ინიციატივა პოზიტიურად შეაფასა, მსგავსი დამოკიდებულება აქვთ აზერბაიჯანსა და თურქეთს.

ფორმატში მონაწილეობის შესაძლებლობაზე საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა 8 ოქტომბერს ილაპარაკა: „ჩვენ რაღაც ფორმით ამ დიდ გეოპოლიტიკურ პროექტებსა და ურთიერთობებში მაინც უნდა ვიყოთ, რა თქმა უნდა, არა სახელმწიფო ინტერესებისა და ოკუპანტთან რაღაცის დათმობის ხარჯზე“.

საგარეო უწყების პრესსამსახურმა მოგვიანებით „დააზუსტა“, რომ ზალკალიანის განცხადება არასწორი ინტერპრეტაციით გავრცელდა და რომ საქართველო რუსეთთან ერთად „3+3“ ფორმატში მონაწილეობას არ განიხილავს.

რეგიონში მიმდინარე პროცესებზე პოლიტოლოგები **რევაზ კილასონია** და **სოსო ცინცაძე** გვესაუბრებიან.



**„საქართველოს ტრანზიტული ფუნქცია სულ უფრო მცირდება. გეოპოლიტიკურად ძალიან მძიმე ვითარებაში აღმოვჩნდებით, თუ ტრანზიტული ქვეყნის სტატუსს მთლიანად დავკარგავთ“**

**რევაზ კილასონია, პოლიტოლოგი:**

— საქართველოს ყოველთვის ჰქონდა ამიერკავკასიაში მთავარი სატრანზიტო გზის ფუნქცია, ეს იყო ჩვენი უპირატესობა.

XX საუკუნის 20-იან წლებში თურქეთსა და სომხეთს შორის ურთიერთობა დაიძაბა, ასი წლის განმავლობაში ორ ქვეყანას არანაირი ურთიერთობა არ ჰქონია. შემდეგ — 90-იან წლებში სომხეთსა და აზერბაიჯანს შორის დაიძაბა ურთიერთობა და გაწყდა დიპლომატიური კავშირები. გაწყვეტილი იყო, ყოველგვარი მიმოსვლა და ტრანზიტი. ამ ისტორიული მოვლენების შემდეგ საქართველო გახდა მთავარი სატრანსპორტო ენერგოგამტარი, მთავარი ტრანზიტული ქვეყანა. რადგან სომხეთსა და აზერბაიჯანს შორის არ იყო არანაირი ურთიერთობა და აზერბაიჯანს სჭირდებოდა თავისი ენერგორესურსების გატანა ევროპაში, ამიტომ მან შემოუარა სომხეთს და საქართველოს გავლით გაიტანა თავისი პროდუქცია ჯერ თურქეთში და შემდეგ — ევროპაში.

**აზერბაიჯანსა და სომხეთს შორის ე.წ. მეორე ომის შემდეგ სრულიად ახალი გეოპოლიტიკური რეალობა დადგა. მიუხედავად ყველაფრისა, პოლიტიკოსები დასხდნენ მოლაპარაკების მაგიდასთან და ცივი გონებით, ადეკვატურად მიუდგნენ საკითხს, უკან გადასწიეს მგრძნობიარე თემები და გადაწყვიტეს, რომ აზერბაიჯანი პირდაპირ სახმელეთო გზით დაუკავშირდება თურქეთს და შემდეგ ევროპას, თურქეთი სახმელეთო გზით დაუკავშირდება აზერბაიჯანს და შემდეგ რუსეთს, სომხეთი გზას გახსნის არა მხოლოდ საქართველოდან რუსეთის მიმართულებით, არამედ აზერბაიჯანის გავლით რუსეთის მიმართულებით.** ასე რომ, საქართველოს ტრანზიტული ფუნქცია სულ უფრო მცირდება. გეოპოლიტიკურად ძალიან მძიმე ვითარებაში აღმოვჩნდებით, თუ ტრანზიტული ქვეყნის სტატუსს მთლიანად დავკარგავთ. **საქართველო უდიდესი პრობლემის წინაშე დადგება.**

ძალიან დიდი პოლიტიკური დანაკლისია, როდესაც ფუნქციას კარგავს ქვეყანა. აქ არ არის საუბარი ეკონომიკურ დანაკლისზე, რომელიც მართლაც უდიდესი იქნება. ყოველგვარი ეკონომიკური აქტივობა პოლიტიკასთანაა დაკავშირებული. საქართველოსთვის, ენერგორესურსების გამტარი ქვეყნისთვის, ძალიან მნიშვნელოვანია ტრანზიტი, ის ერთგვარი პოლიტიკური იარაღია, რომლითაც სულ უმნიშვნელო გავლენის მოხდენა მაინც შეგვიძლია ამა თუ იმ ქვეყანაზე, მაგრამ, თუ ამასაც დავკარგავთ, დავკარგავთ სუვერენულობის იმ მცირე ხარისხსაც, რომელიც დღეს ვითომ გაგვაჩნია.

ყველაზე ცუდიც და თან საინტერესოც მთელს ამ პროცესებში არის ის, რომ საქართველოს ხელისუფლება ქვეყნის გარშემო მიმდინარე პროცესებში საერთოდ არ მონაწილეობს. უფრო მეტიც, მისი შემხედვარე ფიქრობ, რომ თითქოს არაფერი ხდება. **არ ვიცი, წაყრუების პოლიტიკაა თუ მართლა ვერ ხვდებიან, რა ხდება სამეზობლოში?!**

**«საზოგადოების ყურადღება გადატანილი აქვთ შიდა პრობლემებზე, რომლებიც, სიმართლე გითხრათ, ჩემთვის და უამრავი ჩემნაირი ადამიანისთვის არაფერს ნიშნავს. ის, რაც მართლა გვაინტერესებს, ის, რაც მართლაც სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია ჩვენი ქვეყნისთვის, ჩვენი ეკონომიკისთვის, სუვერენიტეტისთვის, საქართველოს მიღმა ხდება და იგეგმება»**

საზოგადოების ყურადღება გადატანილი აქვთ შიდა პრობლემებზე, რომლებიც, სიმართლე გითხრათ, ჩემთვის და უამრავი ჩემნაირი ადამიანისთვის, არაფერს ნიშნავს. ის, რაც მართლა გვაინტერესებს, ის, რაც მართლაც სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია ჩვენი ქვეყნისთვის, ჩვენი ეკონომიკისთვის, სუვერენიტეტისთვის, საქართველოს მიღმა ხდება და იგეგმება.

სომხეთი, აზერბაიჯანი და თურქეთი ერთმანეთთან ასწლეულების განმავლობაში არ ურთიერთობდნენ, მაგრამ გადააბიჯეს უთანხმოებას, იფიქრეს სახელმწიფოებრივად, ქვეყნის საკეთილდღეოდ, წმინდა ეკონომიკური და პოლიტიკური სარგებლის მიზნით. საქართველოს კი, აშკარაა, რომ ე.წ. დასავლელი პარტნიორები არ აძლევენ გასაქანს, ნებას თუ, რაც გინდათ, ის დაარქვით, მაგრამ ფაქტია, რომ ჩვენს რეგიონში პროცესები ჩვენგან დამოუკიდებლად მიმდინარეობს, აკრძალული გვაქვს რუსეთთან ყოველგვარი ურთიერთობა და აშკარაა, რომ ჩვენი პასიურობაც რეგიონში ამის მიზეზია. თუკი მტრად ქცეულმა ქვეყნებმა შეძლეს ერთმანეთთან ურთიერთობის რაღაც ფორმით მაინც მოგვარება, ჩვენ რატომ ვერ ვაგვარებთ ურთიერთობას რუსეთთან? ამის პასუხი ერთია: დასავლეთი გვიკრძალავს.

**— საქართველოს ხელისუფლებამ უარი განაცხადა „3+3“ ფორმატში მონაწილეობაზე, რომელშიც თურქეთი, ირანი, რუსეთი და ამიერკავკასიის ქვეყნები ერთმანეთთან სათანამშრომლოდ უნდა დამსხდარიყვნენ და ბევრ, ალბათ, მნიშვნელოვან საკითხზეც იქნებოდა მოლაპარაკება...**

— სამი დიდი და სამი პატარა ქვეყანა რაღაც ფორმატით უნდა შეკრებილიყო და სწორედ იმ ტრანზიტზე იქნებოდა საუბარი, რომელიც საქართველოსთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია და არა მხოლოდ ამ საკითხზე...

**„3+3“ ფორმატი რომ დაიგეგმა, ჩვენთვის, საქართველოსთვის, არავის არაფერი უკითხავს, მაგრამ მიგვანიშნეს, მოდით და დასხედით მოლაპარაკების მაგიდასთან, გადავწყვიტოთ პრობლემები და კონკრეტულ შედეგებამდე მივიდეთო, მაგრამ ჩვენი ქვეყნის ხელმძღვანელობამ კატეგორიული უარი განაცხადა და თანაც ისე, რომ ფორმატის შინაარსშიც არ გარკვეულა. ვფიქრობ, საქართველოს საგარეო უწყებას „3+3“ ფორმატში შეხვედრაზე უარი დასავლეთმა ათქმევინა, ჩვენ და ჩვენნაირი ქვეყნები დამოუკიდებლად გადაწყვეტილებას ვერასდროს იღებენ.**

**— ჩვენნაირი ქვეყანა ახსენეთ და მინდა, უკრაინაში მიმდინარე პროცესებსაც შევეხო. უკრაინაც დარჩა ტრანზიტისა და ბუნებრივი აირის გარეშე, ეს სატრანზიტო ფუნქცია მათთვისაც ძალიან მნიშვნელოვანი იყო...**

— რუსეთის ფაქტორი და გავლენა ძალიან დიდია და დღითიდღე იზრდება ევროპაშიც. მათ შეძლეს ყველა მიმართულებით გზის გაჭრა და უკრაინაც დაემშვიდობა ენერგორესურსების ტრანზიტს. რუსეთის გავლენები იზრდება და, თუ ჩვენი ქვეყანა ამაზე თვალს დახუჭავს, ძალიან არასერიოზული იქნება. რუსეთი რჩება მსოფლიოში ყველაზე დიდ ენერგომომპოვებელ ქვეყნად და, ბუნებრივია, ეს გავლენას იქონიებს ევროპაზე და არა მხოლოდ ევროპაზე. ჩვენი ქვეყნის ე.წ. პარტნიორები რას დაარქმევენ რუსეთს, როგორ მოატყუებენ ▶

**«ის ფორმატი, რომელიც ლავროვმა შესთავაა ამ ექვს სახელმწიფოს, შედგება თუ არა, მნიშვნელობა არ აქვს; მიიღებს საქართველო ამ ყველაფერში მონაწილეობას თუ არა, არც ამას აქვს მნიშვნელობა დანარჩენი ხუთი სახელმწიფოსთვის, რადგან რაღაც შეთანხმებაზე ყველანი წავლენ და ჩვენი ქვეყანა დარჩება თამაშგარე მდგომარეობაში. თუკი საქართველო უარს აცხადებს რეგიონში მიმდინარე პროცესებში მონაწილეობაზე, მაშინ ჩვენ უნდა გვქონდეს ალტერნატიული წინადადება, უნდა ვიცოდეთ, რომ უდავოდ, უეჭველად მიგვიღებენ ევროკავშირში, მაგრამ ეს ხომ გამორიცხულია?!»**

თვალსაწიერი
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„საქართველოს წინაშე უამრავი გამოწვევაა. მიუხედავად იმისა, რომ ჯერჯერობით მხოლოდ კონტურებია გამოსახული იმ გეგმებისა და ფორმატების, რომლებსაც რუსეთი გეგმავს ამიერკავკასიაში, საქართველოს განზე გადგომა არ არის სწორი. საქართველო კარგად უნდა გაერკვეს, რას ნიშნავს „3+3“ ფორმატი. სრულიად წარმოუდგენელი და მიუღებელია დიპლომატიისთვის, რომ ჯერ უცნობ პროექტზე უარი განაცხადო“**

◀ ქართველ პოლიტიკოსებს, ამას არსებითი მნიშვნელობა არ აქვს, რადგან ევრაზიის კონტინენტზე ამ ზესახელმწიფოს გავლენა ყოველდღიურად იზრდება.

## „თუკი ამიერკავკასიაში მიმდინარე პროცესებს ჩვენი მთავრობა უყურადღებოდ დატოვებს, თუკი უკვე ჩავლილ „მატარებელს“ დაედევნება, მაშინ ყველაფერი ძალიან გვიან იქნება და საქართველო ყველანაირ სტატუსს დაკარგავს“

**სოსო ცინცაძე, პოლიტოლოგი:**

— ჩრდილოეთისა და სამხრეთის ყოველი ახალი ტრანზიტი ჩვენი ჯიბიდან ამოღებული სერიოზული სატრანზიტო გადასახადია. რატომ ხდება ასე და რატომ ვრჩებით მუდამ თამაშგარე მდგომარეობაში, ამაზე, ალბათ, უპრიანი იქნებოდა, ხელისუფლებისგან მოგვესმინა პასუხი.

**თუკი ამიერკავკასიაში მიმდინარე პროცესებს ჩვენი მთავრობა უყურადღებოდ დატოვებს, თუკი უკვე ჩავლილ „მატარებელს“ დაედევნება, მაშინ ყველაფერი ძალიან გვიან იქნება და საქართველო ყველანაირ სტატუსს დაკარგავს.**

**ამიერკავკასიის როლის გაზრდის ახალი კონტურები იხაზება, მაგრამ ამ კონტექსტში საქართველო მოიგებს თუ წააგებს, ამაზე ჯერ ვერაფერს გეტყვით. ბუნდოვანია „3+3“ ფორმატის ამბავიც. მართალია, ჩვენმა ქვეყანამ თავიდანვე უარი განაცხადა ამ ფორმატში მონაწილეობაზე და ისიც მართალია, რომ არ ვიცით, რას მოიცავს ეს „3+3“ ფორმატის იდეა, მაგრამ წინასწარვე უარის თქმა იმაზე, რაც არც კი იცი, რა არის, უცოდინარობად და სისულელედ მიმაჩნია.**

ჯერ თურქეთი და შემდეგ უკვე რუსეთი გამოვიდა „3+3“ ფორმატის ინიციატივით, რაც გამოიწვია ირანსა და აზერბაიჯანს შორის ურთიერთობის დაძაბვამ. თეირანმა რამდენიმე საჯარო განცხადება გააკეთა, მესამე სახელმწიფოს სამხედრო ძალა ამიერკავკასიაში არ უნდა ჩაერიოსო და მესამე სახელმწიფოში რუსეთს არ გულისხმობდა. ის გულისხმობდა ისრაელს, ქვეყანას, რომელსაც, ყველასთვის გასაკვირად, ძალიან მჭიდრო ურთიერთობა აქვს აზერბაიჯანთან,

**«3+3» ფორმატი რომ დაიგეგმა, ჩვენთვის, საქართველოსთვის, არავის არაფერი უკითხავს, მაგრამ მიგვანიშნეს, მოდით და დასხედით მოლაპარაკების მაგიდასთან, გადავწყვიტოთ პრობლემები და კონკრეტულ შედეგებამდე მივიდეთო, მაგრამ ჩვენი ქვეყნის ხელმძღვანელობამ კატეგორიული უარი განაცხადა და თანაც ისე, რომ ფორმატის შინაარსშიც არ გარკვეულა. ვფიქრობ, დასავლეთმა ათქმევინა საქართველოს საგარეო უწყებას «3+3» ფორმატში შეხვედრაზე უარი, ჩვენ და ჩვენნაირი ქვეყნები დამოუკიდებლად გადაწყვეტილებას ვერასდროს იღებენ**



რომელიც სამხედრო ტექნიკის უდიდეს ნაწილს ისრაელისგან ყიდულობს. **ეს ფაქტი ძალიან ანერვიულებს ირანს. ისინი ამბობენ, რომ ეს ღალატია, რადგან ამიერკავკასიაში აზერბაიჯანს კიდევ ერთი მოთამაშე შემოჰყავს. ირანისთვის ეს აბსოლუტურად მიუღებელია, ამიტომ ინიციატივა რუსეთმა გამოიჩინა და გადაწყვიტა „3+3“ ფორმატში მოლაპარაკების მაგიდასთან დამსხდარიყვნენ.**

ლავროვის ეს ინიციატივა მთავარი სტიმული იყო ამიერკავკასიისა და დანარჩენი სამი ქვეყნისთვისაც. სომხეთი და აზერბაიჯანი დათანხმდნენ ლავროვის შეთავაზებაზე და ვიცით, რომ სომხეთმა გზა გაუხსნა აზერბაიჯანს ნახიჭევანისკენ, იქვე ითქვა, რომ საქართველოც მზად იყო, მოლაპარაკების მაგიდასთან დამჯდარიყო, მაგრამ ჩვენებმა უმალვე უარი განაცხადეს.

**„3+3“ ფორმატს აქვს წინააღმდეგობა და მისი მომავალიც ბუნდოვანია, მაგრამ ფაქტია, რომ რუსეთმა ამიერკავკასიაში დაიწყო ახალი, ასე ვთქვათ, დიპლომატიური პასიანსის გათამაშება, რომელიც აუცილებლად გამოიწვევს სერიოზულ, გეოსტრატეგიულ ცვლილებებს. რუსეთის წინადადებები ყველასთვის მიმზიდველია, საქართველოს გარდა.**

ის ფორმატი, რომელიც ლავროვმა შესთავა ამ ექვს სახელმწიფოს შედგება თუ არა, მნიშვნელობა არ აქვს, მიიღებს საქართველო ამ ყველაფერში მონაწილეობას თუ არა, არც ამას აქვს მნიშვნელობა დანარჩენი ხუთი სახელმწიფოსთვის, რადგან რაღაც შეთანხმებაზე ყველანი წავლენ და ჩვენი ქვეყანა დარჩება თამაშგარე მდგომარეობაში.

თუკი საქართველო უარს აცხადებს რეგიონში მიმდინარე პროცესებში მონაწილეობაზე, მაშინ ჩვენ უნდა გვქონდეს ალტერნატიული წინადადება, უნდა ვიცოდეთ, რომ უდავოდ, უეჭველად მიგვიღებენ ევროკავშირში, მაგრამ ეს ხომ გამორიცხულია?!

**„3+3“ ფორმატში ჩართვაზე რომ განაცხადოს თანხმობა ჩვენმა ქვეყანამ, სადაც არიან: რუსეთი, აზერბაიჯანი, თურქეთი და ირანია მორალურად დაშორდებიან ევროპას, რომელიც ამის გარეშეც არაფერს გიკეთებს. ასე რომ, ქართული დიპლომატიის წინაშე ძალიან სერიოზული ამოცანა დგას...**

**— ევრაზიის კონტინენტზე მიმდინარე პროცესებს ვინც თვალყურს ადევნებს, ხედავს, რომ რუსეთის ფედერაცია აშკარად დომინანტია. დაკვირვებული თვალი იმასაც შეამჩნევს, რომ მთელი ევროპა „პრორუსული“ გახდა...**

— ევროპა სუსტდება, ამას ვხედავთ. შესაბამისად, ძლიერდება ევრაზია და ბუნებრივიცაა. ევროპას ნავთობისა და ბუნებრივი აირის სერიოზული კრიზისი აქვს და მათი მხსნელი, არც მეტი, არც ნაკლები, რუსეთის პრეზიდენტი **ვლადიმერ პუტინია.** ამას იმიტომ ვამბობ, რომ ევროპას საქართველოსთვის არ სცალია და კიდევ დიდხანს ვერ მოიცლის. რუსეთი ძლიერდება ევროპაშიც და საქართველოს შანსი, რომ ევროკავშირში მიგვიღონ, ეფემერული ხდება.

რუსული დიპლომატია, გარდა შესაძლებლობებისა და ბერკეტებისა, არის უაღრესად პროფესიონალური. საქართველოს წინაშე უამრავი გამოწვევაა. მიუხედავად იმისა, რომ ჯერჯერობით მხოლოდ კონტურებია გამოსახული იმ გეგმებისა და ფორმატების, რომლებსაც რუსეთი გეგმავს ამიერკავკასიაში, საქართველოს განზე გადგომა არ არის სწორი. საქართველო კარგად უნდა გაერკვეს, რას ნიშნავს „3+3“ ფორმატი. სრულიად წარმოუდგენელი და მიუღებელია დიპლომატიისთვის, რომ ჯერ უცნობ პროექტზე უარი განაცხადო.

**«ძალიან დიდი პოლიტიკური დანაკლისია, როდესაც ფუნქციას კარგავს ქვეყანა, აქ არ არის საუბარი ეკონომიკურ დანაკლისზე, რომელიც მართლაც უდიდესი იქნება. ყოველგვარი ეკონომიკური აქტივობა პოლიტიკასთანაა დაკავშირებული. საქართველოსთვის, ენერგორესურსების გამტარი ქვეყნისთვის, ძალიან მნიშვნელოვანია ტრანზიტი, ის ერთგვარი პოლიტიკური იარაღია, რომლითაც სულ უმნიშვნელო გავლენის მოხდენა მაინც შეგვიძლია ამა თუ იმ ქვეყანაზე, მაგრამ, თუ ამასაც დავკარგავთ, დავკარგავთ სუვერენულობის იმ მცირე ხარისხსაც, რომელიც დღეს ვითომ გაგვაჩნია»**

ჩვენი ქვეყნის ხელისუფლებასა და დიპლომატებს შეეძლოთ ეთქვათ, — ჩვენ ყურადღებით ვაკვირდებით მოვლენათა განვითარებას და ეროვნული ინტერესებიდან გამომდინარე ვიმოქმედებთო. ეს სიტყვები დიპლომატიაში სტანდარტია და ძველი რომიდან მოდის. ეს ნეიტრალური განცხადებაა და ვერც ვერავინ შემოგედავება.

**წინასწარვე უარის განცხადებას უმალვე უნდა მოჰყოლოდა, ოღონდ ქართველი ხალხის და მერე დანარჩენი ქვეყნების გასაგონად, განმარტება — რის იმედზე ვართ, რა გვაქვს გეგმაში, თუკი არ მივიღებთ მონაწილეობას რეგიონში მიმდინარე ძალიან მნიშვნელოვან პროექტში, თან განსაკუთრებით მაშინ, როდესაც შენი მეზობელი სომხეთი და აზერბაიჯანი შენ საწინააღმდეგო ბანაკში აღმოჩნდნენ.**

რატომ ვამბობთ უარს იმაზე, რაც ჯერ უცნობია, რაც არ ვიცით?! პროექტის წინააღმდეგ რამე ბერკეტი არ გაგვაჩნია, პირიქით, ჩვენ გვჭირდება რუსეთი! ახლა შემოდგომაა და ჩვენი ქვეყნის მთელი მოსავალი რუსეთშია გასატანი. მხოლოდ იმიტომ, რომ ამ პროექტში რუსეთი მონაწილეობს და ამისთვის განაცხადო უარი ისეთ მნიშვნელოვან პროექტში მონაწილეობაზე, როგორიც „3+3“ ფორმატია, სიმდაბლე და სისულელეა.

ბავშვი არ დაბადებულა და აბრამს არქმევდნენო, ქართველი დიპლომატების საქმე ეგრეა. ჯერ ისიც არ გაურკვევიათ, რა ხდება, რას აპირებს სერგეი ლავროვი, როდესაც ექვს ქვეყანას მოლაპარაკების მაგიდასთან დაჯდომას სთავაზობს, და ჩვენი ქვეყანა თავშივე უარს აცხადებს...

მოამზადა
**ეკა ნასყიდაშვილმა**

**„სომხეთი, აზერბაიჯანი და თურქეთი ერთმანეთთან ასწლეულების განმავლობაში არ ურთიერთობდნენ, მაგრამ გადააბიჯეს უთანხმოებას, იფიქრეს სახელმწიფოებრივად, ქვეყნის საკეთილდღეოდ, წმინდა ეკონომიკური და პოლიტიკური სარგებლის მიზნით. საქართველოს კი, აშკარაა, რომ ე.წ. დასავლელი პარტნიორები არ აძლევენ გასაქანს, ნებას თუ, რაც გინდათ, ის დაარქვით, მაგრამ ფაქტია, რომ ჩვენს რეგიონში პროცესები ჩვენგან დამოუკიდებლად მიმდინარეობს, აკრძალული გვაქვს რუსეთთან ყოველგვარი ურთიერთობა და აშკარაა, რომ რეგიონში ჩვენი პასიურობაც ამის მიზეზია. თუკი მტრად ქცეულმა ქვეყნებმა შეძლეს ერთმანეთთან ურთიერთობის რაღაც ფორმით მაინც მოგვარება, ჩვენ რატომ ვერ ვაგვარებთ ურთიერთობას რუსეთთან?! ამის პასუხი ერთია: დასავლეთი გვიკრძალავს“**

**P.S. საგაზეთო მასალა დასაბეჭდად უკვე მზად იყო, როდესაც საქართველოს ოფიციალური ვიზიტით აშშ-ის თავდაცვის მინისტრი ლოიდ ოსტინი ეწვია. მის ჩამოსვლისას საყურადღებო სიახლე გამოვლინდა ორი მიმართულებით:**

**პირველი: ჟურნალისტის შეკითხვაზე, მზად არის თუ არა საქართველო, ნატოს წევრი გახდეს, აშშ-ის თავდაცვის მინისტრმა პასუხს თავი აარიდა და „თავდაცვისა და დემოკრატიის განვითარებაში მხარდაჭერის“ ზოგადი ფრაზით შემოიფარგლა. ამით, ფაქტობრივად, ნატოს თემა დახურულად გამოგვიცხადა.**

**მეორე: „3+3“ ფორმატთან დაკავშირებით მან გვითხრა: „სჯობს, სამხრეთ კავკასიის ქვეყნებმა ითანამშრომლონ და გააძლიერონ რეგიონული თანამშრომლობა. „3+3“ ფორმატზე აღვნიშნავდი, რომ რუსეთი, რომელსაც საქართველოს ტერიტორიების 20 პროცენტი აქვს ოკუპირებული, უნდა სცემდეს პატივს 2008 წლის ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმებით გათვალისწინებულ ვალდებულებებს, სანამ რაიმე ახალ პლატფორმაზე ისაუბრებს“. წინამორბედებისგან განსხვავებით, ამერიკელ ჩინოსანს რუსეთთან დიალოგში (თუნდაც მრავალმხრივში) მათი მონაწილეობა-შუამავლობა აღარ დაუჩემებია და, თუ გინდათ, ითანამშრომლეთ, ჩვენ ეგ აღარ გვაინტერესებსო, დიპლომატიურიდან უბრალო ენაზე რომ ვთარგმნოთ, ასე ისმის მისი ნათქვამი.**

აქცენტი
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**თუ გვინდა, ისეთი თაფლი გვქონდეს, რომლითაც ევროპას გავაოცებთ, მთელი საქართველოს მასშტაბით საკანალიზაციო სისტემა უნდა ავაწყოთ, რასაც რამდენიმე მილიარდიც არ ეყოფა. გამოდის, აქაური თაფლით ისევ ჩვენ თუ გამოვიკვებებით.**

# ევროამერიკული რეკომენდაციებით მომხდარი «ქართული ეკონომიკური სასწაული»

## ბაყაყები, ლოკოკინები, ამერიკული სიმინდი და ვაშლის ჯიში, რომელსაც 8-ჯერ შეწამვლა სჭირდება

**ევროპელების მიერ დაფინანსებული სოფლის მეურნეობის პროგრამები მოსახლეობას პირველად „ნაციონალური მოძრაობის“ ზეობის ხანაში მოხვდა ყურში. მიხეილ სააკაშვილი გვიმტკიცებდა: ბაყაყებია ჩვენი საშველი და ფოთში ბაყაყების ფერმა უნდა ავაშენოთო, შემდეგ — შავი მოცვიო, მერე — ნუშიო... ტემპი არც ამჟამინდელმა ხელისუფლებამ დააგდო და, მართალია, ბაყაყებს შეეშვა, აქცენტი ლოკოკინებზე გააკეთა და სამეგრელოში ახლაც მუშაობს ლოკოკინების ფერმა, მაგრამ ისე ჩანს, დიდი გასავალი არ უნდა ჰქონდეს, წინააღმდეგ შემთხვევაში, ლოკოკინების ფერმები წალეკავდა საქართველოს. ჩვენ ხომ ასე ვიცით — თუ რამე ამართლებს, შემდეგ ყველა მის წამოწყებას ცდილობს.**

ცოდვა გამხელილი ჯობიაო და, როცა 4 წლის წინათ ითქვა, ევროპა სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან ერთად კენკროვანი კულტურის გაშენებას დააფინანსებსო, მეც დავინტერესდი. ლაპარაკი, ძირითადად, იყო ჟოლოსა და უეკლო მაყვალზე, რომელსაც სოლიდური მოსავალი უნდა მოეცა. ჟოლოცა და მაყვალიც საქართველოში ველურ პირობებში ხარობს და, თუ ხელს შეუწყობ, უფრო მოსავლიანი იქნება. მე გამიმართლა, რადგან, როცა პროგრამის გასაცნობად და 70%-იანი დაფინანსების მისაღებად მივედი, მეგობარი დამხვდა, რომელმაც ამიხსნა, რომ ჩემ მიერ მოწეული მაყვალი და ჟოლო ბაზარზე იმ შემთხვევაში იქნებოდა ღირებული, თუ ჩემი ნაკვეთი ცენტრალური გზიდან, სულ ცოტა, 4 კმ-ით იქნებოდა დაშორებული. ასეთი ნაკვეთი კი არ მქონდა და ამ იდეაზე ხელი ავიღე. სამაგიეროდ, სხვებმა არ აიღეს ხელი, აიღეს მილიონობით კრედიტი და სოფლის მეურნეობისა და ევროპელების თანადაფინანსებით რამდენიმე ათეულ ჰექტარზე გააშენეს ჟოლო და უეკლო მაყვალი. **პირველი დარტყმა მაშინ მიიღეს, როცა სამი წლის თავზე პირველი მოსავალი, ევროპულ ფასებში კი არა, ჩვეულებრივ ადგილობრივ საბაზრო ფასში ძლივს ჩააბარეს. მაშინ იყო, სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილე გიორგი ხანიშვილმა რომ თქვა: ხარისხი არ ვარგა, გზასთან ახლოს არის ძირითადი ნარგავები და ამიტომ არ იყიდებაო. სამაგიეროდ, სხვებმა „ჭკუა ისწავლეს“ და ისეთ ნაკვეთებზე დაიწყეს კენკრის გაშენება, რომლებიც გზასთან ახლოს არ იყო.**

„საქართველოში ჟოლოსა და მაყვლის ღია ცის ქვეშ გაშენების ტენდენცია შეინიშნება, რაც კენკრის ახალი ბაზრისთვის ცუდი არჩევანია. ღია გრუნტის კენკრა მხოლოდ გადამამუშავებელ სექტორში იყიდება და ახალი ბაზრისთვის უვარგისია, რადგან გარე კულტივირება ნაყოფის სხვადასხვა დაავადებასა და მზისგან დამწვრობას იწვევს. ყველა ეს კლიმატური პრობლემა წარმოების შესაძლებლობებსა და მოგებას ამცირებს. ახალი ბაზრის კენკრა სპეციალურ გვირაბებში უნდა მოიყვანონ, რათა წვიმისგან, მზის პირდაპირი სხივებისგან, მავნებლებისა და დაავადებებისგან იყოს დაცული“, — ეს განცხადება პორტუგალიელმა აგრონომმა და კენკრის წარმოების სპეციალისტმა **ჟორჟე დუარტემ** გააკეთა, რომელიც საქართველოში სწორედ ამ გაშენებული ბაღების სანახავად ჩამოვიდა.

**რა გამოდის? ახლა ამ ათეულ ჰექტარ ბაღსა და კრედიტებს კიდევ ახალი კრედიტი უნდა მივაშველოთ და სპეციალური ბადეები ან გვირაბები გავაკეთოთ? იდეალური იქნებოდა სათბურის მოწყობა, მაგრამ ერთ ჰექტარ ფართობზე თანამედროვე სათბურის გაკეთება 300 ათას ლარზე მეტი ჯდება. ჰო, დუარტემ ისიც თქვა: აქ როგორც გაქვთ კენკრა დარგული, ევროპასა და ამერიკაში ასე 20-30 წლის წინათ რგავდნენ, ახლა ტექნოლოგიები შეიცვალაო.**

როცა ამ პროექტით დაინტერესებულმა მოსახლეობამ კრედიტი აიღო, თავი ვალების ყულფში გაყო, მაშინ სად იყავით? ახლა ეუბნებით, რომ ევროპასა და ამერიკას 20 წლით ჩამორჩებიან?! ანუ, მათ ზუსტად იცოდნენ, რომ არასწორად ვაკეთებდით, რომ ეს ყველაფერი გუშინდელი დღეა, მაგრამ მაინც გაგვაკეთებინეს და გაგვაკეთებინეს იმიტომ, რომ ყოველთვის 20-30 წლით უკან ვიყოთ დასავლეთზე და ყოველთვის ჭკუა დაგვარიგონ. ეს იცით, რას ჰგავს? სახლის აშენებაში რომ გეხმარებიან, ბოლოში რომ გახვალ და მერე გეტყვიან: ეს სახლი დაგენგრევა, მაგრამ არ იდარდო, ახალი ტექნოლოგია ვიცი, იმით ავაშენებთ და აღარ დაინგრევაო.

სამაგიეროდ, **დუარტეს წამოსცდა ის, რასაც ქართველი პოლიტიკოსები და სოფლის მეურნეობის სამინისტრო ცოცხალი თავით არ აღიარებენ. პორტუგალიელმა სპეციალისტმა მკაფიოდ განაცხადა, რომ ქართული პროდუქციის რეალიზაციისთვის იდეალურია ისეთი მეზობლის ყოლა, როგორიც რუსეთია, რადგან რუსეთის უზარმაზარ ბაზარზე პროდუქტის რეალიზაციის პრობლემა არ იქნება. გამოდის, უცხოელიც კარგად ხედავს იმას, რისი დანახვაც ჩვენ არ გვინდა ან გვინდა და ხმამაღლა თქმას ვერ ვბედავთ.**

საქართველოს გადამრჩენელ ბაყაყებთან, მოცვსა და ახლა კენკროვანებთან ერთად, როგორ არ გავიხსენოთ ქართული თაფლით „გადარეული“ უცხოელები. თაფლიც სოფლის მეურნეობის პროექტი იყო და ლამის ყველა ოჯახში ფუტკარი გაჩნდა. ერთი მხრივ, ეს, რა თქმა უნდა, კარგია, თაფლს რა სჯობს, მით უმეტეს ქართული ფუტკრის თაფლს, მაგრამ ბევრმა, ვინც ამ საქმეში არაერთი ათასი და საცხოვრებელიც კი ჩადო, გვარიანად იზარალა, რადგან




**როცა ამ პროექტით დაინტერესებულმა მოსახლეობამ კრედიტი აიღო, თავი ვალების ყულფში გაყო, მაშინ სად იყავით? ახლა ეუბნებით, რომ ევროპასა და ამერიკას 20 წლით ჩამორჩებიან?! მათ ზუსტად იცოდნენ, რომ არასწორად ვაკეთებდით, რომ ეს ყველაფერი გუშინდელი დღეა, მაგრამ მაინც გაგვაკეთებინეს და გაგვაკეთებინეს იმიტომ, რომ ყოველთვის 20-30 წლით უკან ვიყოთ დასავლეთზე და ყოველთვის ჭკუა დაგვარიგონ**

გაირკვა, რომ დასავლეთს ქართული თაფლი არ სჭირდება. მიზეზი მარტივია — ჩეჩმა! თურმე მარილიან წყალს ფუტკარი სწორედ სოფლებში გარეთ მდგარი საპირფარეშოებიდან იღებს და ეს ყველაფერი თაფლს ერევა, ამიტომ, **თუ გვინდა, ისეთი თაფლი გვქონდეს, რომლითაც ევროპას გავაოცებთ, მთელი საქართველოს მასშტაბით საკანალიზაციო სისტემა უნდა ავაწყოთ, რასაც რამდენიმე მილიარდიც არ ეყოფა. გამოდის, აქაური თაფლით ისევ ჩვენ თუ გამოვიკვებებით.**

ახლა ის ვთქვათ, რა გვირჩიეს ევროპელებმა, რა გავაკეთეთ და რამ გაამართლა. რჩევით მართლაც ბევრი რამ გვირჩიეს და ჩვენც ყველაფერი ავიტაცეთ, მაგრამ ჯერჯერობით ვერაფერმა ვერ გაამართლა, რადგან ამ მადლიან მიწაზე მოყვანილ პროდუქტს ხან ერთი მინუსი მოუნახეს, ხან — მეორე და ასე ნაბიჯ-ნაბიჯ გვაჩვევენ იმ აზრს, რომ ქართული პროდუქცია ევროპაში დომინანტი ვერასოდეს ვერ გახდება. შესადარებლად გეტყვით: ნიდერლანდები, რომელსაც ჩვენზე ნაკლები მიწა აქვს და მასზე ჩვენზე ლამის ხუთჯერ მეტი ადამიანი ცხოვრობს, მსოფლიოში ჯანსაღი პროდუქტების წარმოებით პირველ ადგილზეა. ნიდერლანდელებმა იციან, მიწის მცირე ფართობზე რა და როგორ მოიყვანონ, თანაც ისე, რომ მსოფლიოში პირველები იყვნენ. **ვიღაცას სააკაშვილის მიერ საქართველოში ჩამოსახლებული ბურები გაახსენდება, რომლებიც სამხრეთ აფრიკიდან ჩამოგვიყვანა, აქაოდა, ეგენი ძირძველი ნიდერლანდელები არიან, გამოცდილებას გაგვიზიარებენო. მათაც გაგვიზიარეს — სახელმწიფოსგან მუქთად მიცემული ათიათასობით ჰექტარი საქართველოს მოქალაქეებს მიაქირავეს და ახლა წელიწადში ერთხელ ჩამოდიან „ბაჟის“ ასაკრეფად, იდებენ ჯიბეში რამდენიმე ათეულ ათას დოლარს და მიდიან სამშობლოში.** წინა ხელისუფლების მიერ ჩამოსახლებული ბურებიდან მხოლოდ სამმა ოჯახმა მოიკიდა აქ ფეხი და დაიწყო წარმოება, დანარჩენებმა კი მიწები გაიფორმეს და შემდეგ ეს მიწები ადგილობრივებს მიაქირავეს. წლებია, ამის თაობაზე სასამართლო დავები გრძელდება, მაგრამ გამოსავალი არ ჩანს — უცხოელებს, თანაც ინვესტორების სახელით შემოსულებს, მიწას ვერავინ ართმევს, რადგან სააკაშვილის ხელისუფლებამ დაუკანონა.

ვინც არ იცის, ვეტყვით, რომ **შიდა ქართლში ვაშლის ახალი ჯიშების დარგვა დაიწყო. ქართული ჯიშები თურმე მოსავლიანი არ არის და ეს მაშინ, როცა შიდა ქართლი, მხოლოდ საქართველოს კი არა, ნახევარ რუსეთს ამარაგებს. ერთი ეგაა, იმ ახალ ჯიშებს მოსავლის მიღებამდე რვაჯერ შეწამვლა უნდა და რვაჯერ შეწამლული ევროპის ბაზარზე რომ არ დაიშვება, ადვილი მისახვედრია. ევროპის კი არა, შესაძლოა, ასეთი პროდუქტი ქართულმა ბაზარმაც არ მიიღოს.** რატომღაც გვგონია, რომ ეს ყველაფერი ქართული ჯიშების გადაშენებას ემსახურება და, ვინც შეთქმულების თეორიის განვითარებაში დაგვდებს ბრალს, სიმინდს გავახსენებთ. **გახსოვთ, ამერიკულ სიმინდს რომ უნდა გადავერჩინეთ და მოსავალი გასამმაგებულიყო? შედეგად მივიღეთ ის, რომ, ძირითადად, სწორედ ამერიკული „პიონერი“ ითესება, ქართული ჯიშები კი ნელ-ნელა ნადგურდება და ამ ტენდენციით მალე საერთოდ გაქრება. ქართულ სიმინდთან ერთად გაქრება ღომი, მჭადი... იმიტომ, რომ ამერიკული სიმინდით არც ღომი კეთდება და არც მჭადი ცხვება, თანაც, ეგ მარცვალი სათესლედ არ ვარგა, თესლი ყოველ ჯერზე ამერიკელებისგან უნდა ვიყიდოთ.** სხვა, აბა, რა გითხრათ? ეჭვი გვაქვს, მომავალ გაზაფხულზე ახალი პროგრამა ექნება სოფლის მეურნეობის სამინისტროს და ახალი მსურველებიც გამოჩნდებიან, მაგრამ შემდეგ ისევ აღმოჩნდება, რომ ამ პროგრამით მიღებული მოსავლის რეალიზაცია ევროპაში შეუძლებელია. ყოველ შემთხვევაში, ჯერჯერობით განხორციელებულმა პროექტებმა სწორედ ეს დაგვანახვა — კარგია, მაგრამ ბოლოს აღარ ვარგა.

**ბესო ბარბაქაძე**

**ჩვენ არ გვაქვს იმდენი მიწა, რომ ჩვენი სამყოფი ხორბალი მოვიყვანოთ, მაგრამ, რაც გვაქვს, იმის დამუშავების შემთხვევაში, სერიოზული შეღავათი გვექნება. ამისთვის კი, სახელმწიფო პროგრამასთან ერთად, მონდომება და სურვილია საჭირო, მაგრამ... თუ საქართველოში ხორბლის წარმოება დაიწყება და საერთო ბაზრის 15%-ს მაინც ადგილობრივი პროდუქტით ავითვისებთ, ფქვილის შემომტანებს დააკლდებათ ის 15% და ამ შემთხვევაში საუბარი რამდენიმე მილიონზეა, ამიტომ მათ არ უღირთ ადგილობრივი წარმოების გაძლიერება.**

სოფლის მეურნეობის პრობლემები

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**შემოდგომაზე, მოსავლის აღების გარდა, აუცილებელია, წინ გავიხედოთ და მიწის ის ნაკვეთები დავამუშაოთ, რომელზეც ხორბალი დაითესება, რათა გაზაფხულზე მოსავალი მივიღოთ. მსოფლიო ბაზარზე ხორბლის რეკორდულმა გაძვირებამ ყველა ქვეყანა დააფიქრა ადგილობრივ წარმოებაზე, რათა რაც შეიძლება ნაკლები ხორბალი ჰქონდეს საყიდელი. დღევანდელი რეალობის გათვალისწინებით, ხორბლის გაიაფება, პრაქტიკულად, გამორიცხულია და ამიტომაა მნიშვნელოვანი საკუთარი რესურსი და წარმოება. შესადარებლად გეტყვით: შარშან ადგილობრივ წარმოებას პროდუქტის მოცულობაზე გავლენა არ მოუხდენია, რადგან დაახლოებით 2% იყო და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ ზაფხულში პირობა დადო, დაუმუშავებელ მიწებს თითქმის სრულად აითვისებდა და ადგილობრივი წარმოების წილი 15%-მდე გაიზრდებოდა, რაც შესაძლებლობას მოგვცემდა, პურის ფქვილზე ფასი დაგვეჭირა. აგერ შემოდგომა და აგერ დაუმუშავებელი მიწის ნაკვეთები — მათთვის ხელი არავის უხლია.**

# ხელისუფლებას არც სოფლის მეურნეობა და დასათესი ნაკვეთები ახსოვს, არც ეკონომიკა და გაძვირებული პროდუქტები

## ასე თუ გაგრძელდება, გვერწმუნეთ, ქუჩაში გამოსულ ოპოზიციას დანარჩენი საქართველოც შეუერთდება და «მიშა, მიშას» ნაცვლად, ამ სიტყვაში ასოებს გადაანაცვლებს და «მშია, მშიას» დაიძახებს. მშიერი ხალხი კი ყველაფერზე საშიშია



შარშანდელი გვალვების გათვალისწინებით, ის ფერმერები, რომლებიც აქცენტს ხორბლის მოყვანაზე აკეთებდნენ, ახლა თავს იკავებენ, რადგან ჯერ შარშანდელი ზარალიდან ვერ ამოსულან, გარისკვა კი არ სურთ. როცა სოფლის მეურნეობის ერთ-ერთ მაღალჩინოსანს შევახსენეთ პირობა და ვკითხეთ, რატომ არ ითესებოდა აუთვისებელ მიწებზე ხორბალი, გვიპასუხა: საჩქარო არაფერია, არსებობს ხორბლის ახალი ჯიშები, რომლებიც შეიძლება გაზაფხულზე დაითესოს და ზაფხულში არნახული მოსავალი იქნებაო. სამწუხაროდ, უნდა აღვნიშნოთ, რომ **ხორბლის ის ჯიში, რომელზეც სამინისტროს მაღალჩინოსანმა ასე ამაყად გვითხრა, საფურაჟეა და პურის ფქვილის დასამზადებლად არ ვარგა. ცუდია, ძალიან ცუდი, როცა სოფლის მეურნეობის მაღალჩინოსანმა ეს არ იცის და თავის წინამორბედებზე ქილიკობს, მამალ ძროხებს გაიძახდნენო.**

საშემოდგომო სამუშაოები ხელისუფლებას მარტივი მიზეზის გამო არ ახსოვს — ძალაუფლებაა შესანარჩუნებელი და შესანარჩუნებელია ნებისმიერ ფასად, ამიტომ **ხელისუფლებას არც სოფლის მეურნეობა და დასათესი ნაკვეთები ახსოვს, არც ეკონომიკა და არც გაძვირებული პროდუქტები.** ახლა მთავარია, **სააკაშვილის** ჩამოსვლით ატეხილი აჟიოტაჟი როგორმე ჩააცხრონ და ეს თემა მიაძინონ. რა თქმა უნდა, ეს ყველაფერი ჩვენს ხარჯზე ხდება, უფრო ზუსტად, ჩვენი კეთილდღეობის ხარჯზე. თუ ვინმეს ჰგონია, რომ ერთი ან მეორე მხრიდან გამართული აქციები არ ფინანსდება და დიდძალი თანხა არ ჯდება, ძალიან შემცდარა. უხეში დათვლით, მხოლოდ საწვავი რომ ვიანგარიშოთ, **14 ოქტომბრის აქცია „ნაციონალურ მოძრაობას" მეოთხედი მილიონი მაინც დაუჯდებოდა და არავინ დაიწყოს იმის მტკიცება, რომ სამარშრუტო ტაქსების მძღოლებმა ხალხი დედაქალაქში საკუთარი ხარჯით ჩამოიყვანეს.** ეს არჩევნები არანორმალურად ძვირი დაუჯდა როგორც ხელისუფლებას, ისე ოპოზიციას და ახლა დათმობა ამ თანხის დაკარგვასაც ნიშნავს, რაც არც ერთ მხარეს არ სურს. **ექსპერტები იმასაც ამბობენ, წინასაარჩევნოდ ორივე მხარის მიერ დარიგებულმა ფულმა ამოასუნთქა ხალხი, თორემ შეუძლებელი იქნებოდა, ასე გაძვირებული პროდუქტების პირობებში მოსახლეობას თავი გაეტანაო. ეს კი იმას ნიშნავს, რომ დარიგებული ფული მალე გამოილევა და ხალხი კვლავ შიმშილის საფრთხის წინაშე დადგება...**

**ისევ სოფლის მეურნეობას დავუბრუნდეთ.**

სანქციებისგან შეწუხებულმა რუსეთმა გამოსავალი ხორბლის წარმოებაში მონახა და ბოლო 5 წლის განმავლობაში ყოველწლიურად ზრდის იმ ფართობებს, რომლებზეც ხორბალს თესავს. გარდა იმისა, რომ ხორბლის ფასი ყოველდღიურად მატულობს და მისი წილი რუსულ ეკონომიკაში ძალიან დიდია, რუსეთი გახდა ერთ-ერთი ძირითადი მოთამაშე ბაზარზე. რაც ყველაზე საინტერესოა, კონკურენტებს ხარისხით სჯობს (სიტყვამ მოიტანა და, ხორბლის ჯიშების ერთ-ერთი წამყვანი სელექციონერი რუსეთში ქართველი ბაგრატ სანდუხაძეა, აკადემიკოსი; "საქართველო და მსოფლიო" თავის დროზე წერდა ამის შესახებ). რა თქმა უნდა, **ჩვენ არ გვაქვს იმდენი მიწა, რომ ჩვენი სამყოფი ხორბალი მოვიყვანოთ, მაგრამ, რაც გვაქვს, იმის დამუშავების შემთხვევაში, სერიოზული შეღავათი გვექნება. ამისთვის კი, სახელმწიფო პროგრამასთან ერთად, მონდომება და სურვილია საჭირო, მაგრამ... თუ საქართველოში ხორბლის წარმოება დაიწყება და საერთო ბაზრის 15%-ს მაინც ადგილობრივი პროდუქტით ავითვისებთ, ფქვილის შემომტანებს დააკლდებათ ის 15%, ამ შემთხვევაში საუბარი რამდენიმე მილიონზეა, ამიტომ მათ არ უღირთ ადგილობრივი წარმოების გაძლიერება.**

სხვათა შორის, ანალოგიურს ვამბობდით კვერცხზე, როცა ადგილობრივი წარმოების მხოლოდ 17% იყო და დანარჩენი შემოგვქონდა. როგორც კი

**დაუფასებელია გლეხის შრომა და, წესით, მას ფასი სახელმწიფომ უნდა დაადოს, მაგრამ სახელმწიფოს ახლა არ სცალია, მეორე ტურით არის დაკავებული, ძალაუფლება უნდა შეინარჩუნოს და მერე... მერე ან ისე იქნება, ან ასე, ან როგორც ყოფილა თუ არ ყოფილა, მაგაზე ადარდე ახლა ხელისუფალი**

მონოპოლია აიკრძალა და მონოპოლისტი ჩაიხსნა, ქართულმა კვერცხმა ერთ თვეში 98%-ით აითვისა ბაზარი, თუმცა საყოველთაო გაძვირების პროცესში კვერცხიც გაძვირდა და, როცა მიზეზი ვიკითხეთ, გვიპასუხეს, რომ ქათმების სპეციალური საკვები, რომელიც შემოგვაქვს, გაძვირდა და, არაერთი თხოვნის მიუხედავად, სახელმწიფო ამ მიმართულებით საბაჟო გადასახადზე შეღავათის დაწესებას არ აპირებსო. ერთი მხრივ, სახელმწიფოსიც გვესმის, ბიუჯეტი ხომ უნდა შეივსოს, მაგრამ, მეორე მხრივ, ხალხს საკვები ხომ უნდა ჰქონდეს?! როცა „ქართული ოცნება" ხელისუფლების სათავეში მოდიოდა, ერთ-ერთი დაპირება სწორედ სოფლის მეურნეობის აღორძინება იყო. ამ სფეროში ფული თითქოს ჩაიდო. ციფრებს რომ გადავხედოთ, ორ მილიარდს კარგად გავცდებით, მაგრამ ბოლომდე რომ ჩავყვეთ, ვნახავთ, რომ ეს 2 მილიარდზე მეტი დაიხარჯა ერთადერთ რამეში — არაფერში! წინ მავანთა ცარიელი თავები უძღოდა ამ ფულს და გზაზე მათივე უძირო ჯიბეები დახვდა და იმიტომ. ცუდი ის არის, რომ ამაზე პასუხს არავის სთხოვენ და დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, არც მომავალში მოსთხოვენ. ამიტომ დაუსჯელობის სინდრომი კიდევ ერთი ბიძგია იმისა, რომ შემდგომშიც ფული, უბრალოდ, არაფერში დაიხარჯოს. მართლა ვერ ვიხსენებთ, რომელი დაპირება შეასრულა ხელისუფლებამ ასი პროცენტით! ახლა არ თქვათ, სააკაშვილი დაიჭირაო. არა, ვერ დაიჭირა, ის თავისი ნებით ჩამოვიდა და ციხეში ჩაჯდა ერთადერთი მიზნით — იქაურობა რაც შეიძლება მალე დატოვოს და გმირის მანტია მოისხას. სწორედ სააკაშვილის მმართველობის პერიოდში ებარათ მამალი ძროხების მცოდნეებს სოფლის მეურნეობა (ეხლა დედალი ხარების მცოდნეებს აბარიათ) და ყველაფერი ქართული უცხოურით ჩანაცვლდა. შედეგიც მივიღეთ — აგრარული ქვეყანა თავზე ჩამოგვემხო და სოფლის მეურნეობა აღარ არსებობს. არსებობა არ ჰქვია იმას, ვიღაც თავისთვის რომ მოიყვანს პროდუქციას და ცოტაოდენ ნამატს გაყიდის.

იცით, რომ საქართველოდან ექსპორტზე გატანილ სოფლის მეურნეობის პროდუქტებს შორის ატამი ლიდერობს? მეორე ადგილზეა ვაშლი, მესამეზე — მანდარინი. ისიც ვთქვათ, რომ სამივე შემთხვევაში საქმე ახალდაკრეფილ პროდუქტთან გვაქვს, ანუ ვყიდით სეზონზე და ვყიდით ჩალის ფასად. ის თუ იცით, რომ **ჩვენ მიერ გაყიდული ვაშლი სომხეთიდან ისევ ჩვენ შემოგვაქვს ოღონდ ზამთარში? 40-50 თეთრად წაღებულ ვაშლს სამაცივრე მეურნეობებში ინახავენ ჩვენი მეზობლები და ზამთარში 3-4 ლარად ისევ ჩვენზე ყიდიან. ჭკუითაც გვჯობნიან, მონდომებითაც და მოხერხებულობითაც. იგივე ითქმის ყურძენზე, გარგარზე... ჰო, საქართველოს — ყურძნისა და ღვინის ქვეყანას — ზამთარში მოხმარებული ყურძნის 95%-ზე მეტი სომხეთიდან შემოაქვს.**

ძალიან მძიმე ზამთარი გველოდება წინ. მომაკვდინებელ ვირუსს ჩვეულებრივი, სეზონური ვირუსებიც დაერთვება და მდგომარეობა გაუსაძლისი იქნება. კიდევ გავიმეორებთ, რომ სახელმწიფო ვერ გარისკავს ლოკდაუნის გამოცხადებას და იძულებული იქნება, რეალობას შეეგუოს, ათეულობით მიცვალებული აიტანოს ყოველდღიურად და ვერც ვერაფერი მოიმოქმედოს. **2015 წელს ნაძალადევის გამგეობამ 28-ათასიანი ტენდერი გამოაცხადა 100 კუბოს შეძენაზე და მაშინ ეს იმით ახსნეს, რომ შეჭირვებულ ოჯახებს საჭიროების შემთხვევაში უფასოდ გადასცემდნენ. ათეულობით კუბო გადის ყოველდღიურად საქართველოს მოსახლეობის ოჯახებიდან და ამას ყურადღებას არავინ აქცევს...**

თუ გახსოვთ, პანდემიის პირველი ტალღის დროს მოსახლეობა სოფლებში გაიხიზნა და მაშინ ითქვა: ამდენი მიწა, კარგა ხანია, საქართველოში არ დამუშავებულაო. ქალაქელები სოციალურ ქსელში სიამაყით აზიარებდნენ მამა-პაპისეულ მიწაზე მოწეულ მოსავალს და უხაროდათ, მაგრამ ბიზნესად ეს 1%-საც კი არ უქცევია, ვითარების დასტაბილურების შემდეგ ყველა ქალაქს დაუბრუნდა და კვლავ ბაზარში ყიდულობს მწვანილსაც და ბაღჩეულსაც. **ამაზე თუ გიფიქრიათ, რატომ არ დაინტერესდა არავინ მიწით? იმიტომ, რომ სოფელში ძნელია, იმიტომ, რომ ყოველდღიური თანხა თუ არ გაქვს, ქალაქელისთვის ჯოჯოხეთი იწყება და ამიტომ აქ, ქალაქებში, სადაც მეტ-ნაკლებად არის ხელის გასანძრევი, ყოფნა ურჩევნიათ, ვიდრე სოფელში იყვნენ და თვიდან თვემდე ელოდონ ხან წვიმას, ხან მზეს და ხანაც შესაფერის კლიენტს.** დაუფასებელია გლეხის შრომა და, წესით, მას ფასი სახელმწიფომ უნდა დაადოს, მაგრამ სახელმწიფოს ახლა არ სცალია, მეორე ტურით არის დაკავებული, ძალაუფლება უნდა შეინარჩუნოს და მერე... მერე ან ისე იქნება, ან ასე, ან როგორც ყოფილა თუ არ ყოფილა, მაგაზე ადარდე ახლა ხელისუფალი...

ასე თუ გაგრძელდება, გვერწმუნეთ, ქუჩაში გამოსულ ოპოზიციას დანარჩენი საქართველოც შეუერთდება და „მიშა, მიშას" ნაცვლად, ამ სიტყვაში ასოებს გადაანაცვლებს და „მშია, მშიას" დაიძახებს. მშიერი ხალხი კი ყველაზე და ყველაფერზე საშიშია.

**ბესო ბარბაქაძე**

გრიგოლ ონიანის საავტორო გვერდი
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



**სტალინი პოლიტიკური რეალიზმის მამაა, რომელმაც რეალობად აქცია უტოპიური სოციალიზმის მამების ფანტასტიკას მიახლოებული აზრები დედამიწის 1/6-ზე. სტალინი არა მხოლოდ მშობელია პოლიტიკური რეალიზმისა, არამედ მისი აღმზრდელიცაა. ამ პოლიტიკურმა რეალიზმმა იხსნა კაცობრიობა კატასტროფისაგან და ადამიანი გაათავისუფლა მეორე ადამიანის ექსპლოატაციისაგან.**

# სტალინი — პოლიტიკური რეალიზმის შემოქმედი

დასასრული. დასაწყისი იხ. №33-36, 2021 წ.

იენის უნივერსიტეტში არც-თუ შორეულ წარსულში ჩატარდა საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია, რომელიც მიეძღვნა მხოლოდ ერთ საკითხზე მსჯელობას — „სტალინი და „ცივი ომი". მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის გამოჩენილმა ისტორიკოსებმა გამოთქვეს აზრი, ვინ იყო სტალინი, რომელსაც „რაც უფრო ვშორდებით, მით გვიახლოვდება". ვინ იყო იგი სინამდვილეში? — ბოროტი გენია თუ მსოფლიო რევოლუციის რომანტიკოსი? ის რუსეთის სახელმწიფოებრიობის რიგითი გამგრძელებელი კი არა, ისტორიაში ჯერ არნახული და არ გაგონილი სახელმწიფოს შემქმნელი გახლდათ. **ლენინმა** ქვეყნის მომავლის ბუნდოვანი მონახაზი დატოვა, სტალინმა კი სრულიად ახალ რელსებზე შეაყენა ქვეყნის განვითარება და მაქსიმალურად დააჩქარა. ჩემმა ერთმა ძველმა მეგობარმა, სახელმწიფო მოღვაწემ, ცოტა ხნის წინათ საუბარში სინანულით მითხრა: „სამწუხაროა, რომ სტალინს არათუ სსრ კავშირის მრავალეროვანი ხალხები არ იცნობდნენ, არამედ მის გენიას ახლო გარემოცვაც კი ვერ ჩასწვდა". ჩემი მეგობარი მართალი იყო. როგორ შეიძლებოდა ორკლასდამთავრებული **ხრუშჩოვი** ან **ჟუკოვი** სტალინის ღრმა ფილოსოფიურ აზრებს ჩასწვდომოდნენ?! ასეთები იყვნენ სხვებიც, ზოგიერი გამონაკლისის გარდა, რომლებიც შეგნებულად უპირისპირდებოდნენ სტალინს.

იენის უნივერსიტეტში ჩატარებული კონფერენციის მონაწილეთა საყურადღებოდ უნდა განვაცხადო, რომ მსოფლიოს რევოლუციის რომანტიკოსებსა და ფანატიკოსებთან ბრძოლას მიუძღვნა სტალინმა თავისი შეგნებული ცხოვრება და კაცობრიობას დღევანდელი დღე მთელი თავისი მანკიერებით უფრო ადრე დაუდგებოდა, სტალინს რომ არ შეეჩერებინა იგი.

**სტალინი სულითა და ხორცით თავისი ქვეყნისა და ხალხის შვილი იყო. მან თავისი ქვეყანა თავის სისხლსა და ხორცთან გააერთიანა და ერთ მოცემულობად აქცია. ჩამოიყალიბა შინაგანი რწმენა: გაიმარჯვებს თვითონ — გაიმარჯვებს ხალხი და ქვეყანა. და, თუ დამარცხდება, მასთან ერთად დამარცხდება ხალხიც და ქვეყანაც. ეს რწმენა მტკიცედ ჩაინერგა თვითონ და სურდა, სცოდნოდა სხვებსაც, რათა სხვებიც ყოფილიყვნენ სამშობლოსთან გათანაბრებულნი ისე, როგორც თვითონ ჰქონდა წარმოდგენილი.**

1918 წელს ცარიცინიდან ლენინისთვის მიწერილი წერილი, რომ ვერ შეაჩერებდა ტროცკის ნაკუწი ქაღალდის უქონლობა, პირველი ხელთათმანია, რომელიც სტალინმა საბჭოთა ხელისუფლებაში მყოფ მასონთა ლოჟას ესროლა. ამ ხელთათმანს უნდა გადაეწყვიტა, აშენდებოდა თუ არა ქვეყანაში სოციალიზმი; უნდა გადაეწყვიტა, მარქსის მოძღვრების საწინააღმდეგოდ გაიმარჯვებდა თუ არა ყველაზე ღარიბ ქვეყანაში რევოლუცია; უნდა გადაეწყვიტა, იარსებებდა თუ არა დედამიწის 1/6-ზე ნაციონალური კულტურები; გააგრძელებდა თუ არა არსებობას სახარება XX საუკუნის შემდეგ.

ბრძოლაში „ერთი ყველას წინააღმდეგ" შემოქმედმა გამარჯვებულად სტალინი ცნო და სწორედ შემოქმედია იმის შემოქმედიც, რომ იენის კონფერენციის მონაწილეებს ათქმევინა: **„რაც უფრო ვშორდებით სტალინს, მით უფრო გვიახლოვდება იგი".**

**ვლადიმერ პეჩატნოვი** თავის შესანიშნავ გამოკვლევაში „შტრიხები სტალინის პორტრეტისათვის" წერს: **„ჩვენ არ ვიცით, წაკითხული ჰქონდა თუ არა სტალინს ფრენსის ბეკონის „ახალი ორგანონი", რომელშიც ინგლისელმა მოაზროვნემ სახელმწიფო მოღვაწეების „დიდების კიბე" წარმოგვიდგინა. მის ზედა საფეხურზე იდგნენ უდიდესი სახელმწიფოებისა და იმპერიების შემქმელნი — რომულუსი, კიროსი, ცეზარი, ოსმანი, ისმაილი; მაგრამ ვფიქრობთ, რომ სტალინის ფსიქიკის ბნელ უფსკრულებში გზის მანათობელ ვარსკვლავად უნდა ყოფილიყო სწორედ უდიდესი სახელმწიფოს შემქნელის ეს განუზომელი, უკვდავი სიდიადე და არა მისთვის უცხო მატერიალური ინტერესები ან ძალაუფლების წყურვილი, როგორც ასეთი. მით უმეტეს, რომ ძლევამოსილების საზომით თუ მივუდგებით, რუსეთი მისი მეთაურობით მართლაც დიადი გახდა. ტყუილად კი არ ამბობდა ჩერჩილი, რომ სტალინმა „კავიანი რუსეთი ჩაიბარა და ატომური ბომბით დატოვა".** როგორც მესამე მოქმედებაა კულმინაცია შექსპირის ტრაგედია „ოტელოში", ისეა სტალინის შემოქმედებაში დიდი სამამულო ომი მისი გენიის ელვარების მწვერვალი. **კლიმენტ ვოროშილოვი** სტალინის დაბადების 70-ე წლისთავზე წერდა: „ათი სტალინური დარტყმა დარჩება საერთაშორისო ომების ისტორიაში, როგორც ბრძოლის კლასიკური ნიმუში". დიდი სამამულო ომი იყო კვანძის გახსნა ყველა იმ საიდუმლოებისა, რომლებმაც კაცობრიობა იხსნა კატასტროფისაგან. **კოლექტივიზაციას შეწირული ადამიანები, ტროცკისტი ნაძირალები თუ სამხედროების შეთქმულება ხელისუფლების წინააღმდეგ ომის წინა პერიოდში, იმხანად თეატრალიზებულად მონათლული სასამართლო პროცესები, ყველა ერთად გახსნა და სინათლეზე გამოიტანა დიდმა სამამულო ომმა. მსოფლიომ დაინახა სტალინის შორსმჭვრეტელობა, ნათელმხილველობა და აზრის სიცხადე. სამრეკლოდან გამოტყორცნილ ექოსავით ისმოდა ომის დამთავრებისთანავე ჟდანოვის სიტყვები: „რამდენად მართალი იყო ამხანაგი სტალინი".**

1933-1944 წლებში აშშ-ის ელჩმა საბჭოთა კავშირში — **კორდელ ჰალმა,** რომელიც თითქმის ყველა გახმაურებულ სასამართლო პროცესს ესწრებოდა, 1961 წელს განაცხადა: „რა გულუბრყვილონი ვყოფილვართ ჩვენ და როგორი ბრძენი — სტალინი, როდესაც 1937 წლებში მავნებელთა სასამართლო პროცესებს ეჭვის თვალით ვუყურებდით და ვიხილავდით. რომ არა სტალინის რკინისებური ხელი, სსრკ 1941 წელშივე დამარცხდებოდა". 1942 წლის 5 აგვისტოს ჩერჩილმა კაიროდან შეატყობინა სტალინს მოსკოვში თავისი ვიზიტის შესახებ. 12 აგვისტოს, 17 საათზე, ჩერჩილის თვითმფრინავი მოსკოვის ერთ-ერთ სამხედრო აეროდრომზე დაეშვა. საპატიო სტუმარს ხვდებიან საბჭოთა კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე, საგარეო საქმეთა სახალხო კომისარი **ვიაჩესლავ მოლოტოვი** დიპლომატიური კორპუსის თანხლებით და მაღალი რანგის გენერლების ჯგუფი. ჩერჩილს უმართავენ ბრწყინვალე სამხედრო აღლუმს წითელი არმიის ყველა სახეობის ჯარების მონაწილეობით. იგი აღფრთოვანებას ვერ მალავს აღლუმის მონაწილეთა უზადო ჩაცმულობისა და წრთობის მაღალი ტექნიკის ხილვით. სრულდება სამი დიდი სახელმწიფოს ჰიმნები. ჩერჩილს პატაკს აბარებს საპატიო ყარაულის უფროსი.

ყველაფერი მიანიშნებს იმაზე, რომ საბჭოთა კავშირის სახელმწიფო ძლიერების სიმბოლო ამ მისთვის უმძიმეს დღეებშიც ინარჩუნებს თავის ბრწყინვალებას. ჩერჩილი მოკლე სიტყვას წარმოთქვამს და მოლოტოვის თანხლებით მიემართება მოსკოვის მახლობლად მისთვის გამოყოფილ რეზიდენციაში, ე.წ. სახელმწიფო აგარაკ 7-ში. სტუმრის განკარგულებაშია საათზე ცოტა მეტი — 7 საათზე დანიშნულია შეხვედრა სტალინთან, მსოფლიო პროლეტარიატის დიდ ბელადთან, რომლის სახელი, ბოლო ორი ათეული წელია, პირზე აკერია დედამიწაზე მცხოვრებ ყველა ადამიანს — დიდსა და პატარას, ქალსა და კაცს, მოხუცსა და ახალგაზრდას, სამხედრო მოსამსახურეს, დიპლომატსა თუ სახელმწიფო მოღვაწეს; შეხვედრა პიროვნებასთან, რომელსაც იმედის თვალით შესცქერის მთელი პლანეტა, დარწმუნებული იმაში, რომ მხოლოდ მას შესწევს ძალა, აღკვეთოს „ყავისფერი ჭირის" ტრიუმფი დედამიწაზე; ადამიანთან, რომელიც სათავეში უდგას მსოფლიოში უძლიერეს წითელ არმიას, არის მისი უმაღლესი მთავარსარდალი... ასეთ ფიქრებში გართულ ინგლისის პრემიერს მასპინძლები სუფრასთან იწვევენ.

**ჩერჩილმა სახელდახელოდ ისაუზმა, დაისვენა... იგი გაკვირვებულია საბჭოური კომფორტით, რუსული სტუმართმოყვარეობით, მასპინძელთა გულუხვობით. მოაღწია კრემლში გამგზავრების დრომ. ჩერჩილს მიართმევენ მანქანას... ფიქრებით დატვირთული გრძნობს, რომ ძალიან ღელავს. არ ასვენებს უხერხულობის განცდაც, რომელიც განპირობებულია იმით, რომ სტალინს შეხვედრის პირველივე წუთებში უნდა უთხრას არასასიამოვნო ფრაზა: „არ იქნება ფრონტი 1942-ში", ეს კი იმას ნიშნავს, ფიქრობდა ჩერჩილი, რომ „ჩრდილოეთ პოლუსზე წაიღო დიდი ყინულის ლოდი".** ერთი გარემოება ანუგეშებს პრემიერს, მას რეზერვში აქვს ერთი სასიამოვნო ინფორმაცია, ე.წ. ოპერაცია „ტორჩი". ეს ოპერაცია ითვალისწინებდა გერმანელებისა და მისი მოკავშირეების განადგურებას ჩრდილოეთ აფრიკაში 1942 წლის შემოდგომაზე. „თავდაპირველად, — იხსენებდა შემდგომ ჩერჩილი, — მეგონა, ჩემმა ინფორმაციამ ვერ დატოვა სათანადო შთაბეჭდილება სტალინზე და ვიფიქრე, რომ იგი ვერ ჩასწვდა ამ ოპერაციის სიღრმეს, მაგრამ არ გასულა რამდენიმე წუთი და სტალინმა გამოთქვა თავისი მოსაზრება:

**„პირველი** — ეს ოპერაცია ზურგიდან დაარტყამს გენერალ რომელს.

**მეორე** — იგი შეაშინებს ესპანეთს.

**მესამე** — იგი გამოიწვევს ბრძოლების გამწვავებას გერმანელებსა და ფრანგებს შორის საფრანგეთში.

**მეოთხე** — იგი დააყენებს იტალიას უშუალო დარტყმის წინაშე".

**სტალინის ანალიზმა გააოცა დიდი ბრიტანეთის პრემიერი, რომლის შესახებაც იგი მოგვიანებით დაწერს: „ამ შესანიშნავმა განცხადებამ ჩემზე ღრმა შთაბეჭდილება მოახდინა. ის მიუთითებდა იმაზე, რომ რუსი დიქტატორი სწრაფად და სრულად ჩასწვდა პრობლემას, რომელიც აქამდე ახალი იყო მისთვის. დედამიწაზე არ მეგულება მეორე ადამიანი, რომელიც რამდენიმე წუთში გაერკვეოდა იმ ნააზრევში, რომელზეც ჩვენ თვეების განმავლობაში ვიტეხდით თავს. ყოველივე ეს მან ელვისებური სისწრაფით შეაფასა".**

ისტორიკოსების აზრით, „ცივი ომის" დასაწყისად უნდა ჩაითვალოს 1946 წლის 5 აპრილს ჩერჩილის გამოსვლა ფულტონში, რაც არასწორად მიმაჩნია. „ცივი ომის" დასაწყისად 1945 წლის 18 აგვისტო უნდა ჩაითვალოს, როდესაც სტალინმა **ტრუმენის** თავხედურ მოთხოვნას ცივი წყლი გადაასხა — ტრუმენმა სტალინს მოულოდნელად მოსთხოვა კურილის ერთ-ერთ კუნძულზე აშშ-ის სამხედრო-საჰაერო ძალებისთვის ბაზირების უფლება. სტალინმა თავისი ხელით დაწერილ წერილში სარკაზმით უპასუხა: **„ამგვარ მოთხოვნებს, ჩვეულებრივ, დამარცხებულ ქვეყანას წაუყენებენ ხოლმე ან ისეთ მოკავშირე სახელმწიფოს, რომელსაც არ ძალუძს თავისი ტერიტორიის ამა თუ იმ ნაწილის დაცვა და ამის გამო მზად არის, ის მოკავშირეს დაუთმოს. არა მგონია, საბჭოთა კავშირი ასეთი სახელმწიფოების რიგს მიეკუთვნებოდეს".**

სტალინი არა მხოლოდ თვითონ ხდებოდა შეუვალი, როდესაც საქმე ქვეყნის პრესტიჟს ეხებოდა, არამედ დაჟინებით მოითხოვდა თანამებრძოლებისაგან, გაეტარებინათ მსგავსი პოლიტიკა. 1946 წელს ცენტრალური კომიტეტის მდივანმა **კუზნეცოვმა** ცკ-ში ჩატარებულ თათბირზე შეახსენა საგარეო პროპაგანდის მუშაკებს სტალინის მითითება: „ომის შედეგებზე დაყრდნობით ჩვენ, როდესაც კიდევ უფრო ძლიერი სახელმწიფო გავხდით, ყველგან და ყოველთვის უნდა გავატაროთ დამოუკიდებელი აქტიური საგარეო პოლიტიკა. ელჩებსაც მიეცით მითითება, თავი არავის გაუყადრონ და უფრო თამამად მოიქცნენ". იმავე 1946 წელს საფრანგეთში მოლოტოვმა დემონსტრაციულად დატოვა სამხედრო აღლუმი, რადგან მას საპატიო სტუმრების მეორე რიგში მიუჩინეს ადგილი. „სწორად მოიქეცით, — უდეპეშა სასწრაფოდ სტალინმა თავის მოადგილეს პარიზში. — სსრ კავშირის ღირსება წვრილმანებშიც უნდა დავიცვათ".

**1948 წლის შემოდგომაზე ხანძარი გაჩნდა თბომავალ „პობედაზე", რომელმაც აშშ-დან სომეხი რეპატრიანტები ჩამოიყვანა. სახელმწიფო უშიშროების სამინისტროს ვერსია, რომ ამერიკელებმა ჯერ კიდევ ნიუ-იორკში მოათავსეს გემზე „აალებადი ნივთიერება", სტალინის აზრით, არასაკმარის სიფხიზლეზე მიუთითებდა („მაშინ რატომ ადრევე არ გაჩნდა ცეცხლი?"). მან ბრძანა, ამერიკელი მზვერავები რეპატრიანტებს შორის ეძებნათ; „მათი მთავარი მიზანი, — წერს იგი,** ▶



**აი, რას წერდა სტალინს ბუხარინი 1937 წლის ნოემბერში: «ვიცი, რომ ეჭვიანი ხარ და ხშირად ძალიან ბრძენიც ამ ეჭვიანობაში. შენ არ ბერდები. რკინისებრი გამძლეობა გაქვს. მთავარსარდლად ხარ დაბადებული და კიდევ მოგიწევს ჩვენი არმიების გამარჯვებული წინამძღოლის როლის შესრულება»**

**ჩერჩილმა სახელდახელოდ ისაუზმა, დაისვენა... იგი გაკვირვებულია საბჭოური კომფორტით, რუსული სტუმართმოყვარეობით, მასპინძელთა გულუხვობით. მოაღწია კრემლში გამგზავრების დრომ. ჩერჩილს მიართმევენ მანქანას... ფიქრებით დატვირთული გრძნობს, რომ ძალიან ღელავს. არ ასვენებს უხერხულობის განცდაც, რომელიც განპირობებულია იმით, რომ სტალინს შეხვედრის პირველივე წუთებში უნდა უთხრას არასასიამოვნო ფრაზა: „არ იქნება ფრონტი 1942-ში“, ეს კი იმას ნიშნავს, ფიქრობდა ჩერჩილი, რომ „ჩრდილოეთ პოლუსზე წაიღო დიდი ყინულის ლოდი“.**

გრიგოლ ონიანის საავტორო გვერდი
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**— ნავთობსარეწებისათვის ცეცხლის გაჩენა იყო“.** ჯობია, ალყაშემორტყმულ ციხესიმაგრეში გადამეტებული სიფრთხილე და ეჭვიანობა გამოიჩინო, ვიდრე თავს მოდუნების უფლება მისცე. სტალინის პირადმა თვისებებმა მკაცრი აუცილებლობის სახე მიიღო მისი იდეური ოპონენტების თვალშიც კი, რომლებიც ერთმანეთის მიყოლებით ხდებოდნენ მისი ეჭვიანობის მსხვერპლნი. **აი რას წერდა სტალინს ბუხარინი 1937 წლის ნოემბერში, როცა უკვე გრძნობდა მსოფლიო და პირადი კატასტროფის მოახლოებას: „ვიცი, რომ ეჭვიანი ხარ და ხშირად ძალიან ბრძენიც ამ ეჭვიანობაში. შენ არ ბერდები. რკინისებრი გამძლეობა გაქვს. მთავარსარდლად ხარ დაბადებული და კიდევ მოგიწევს ჩვენი არმიების გამარჯვებული წინამძღოლის როლის შესრულება“.** სახელმწიფო მესვეურთათვის მინდობლობა და ზერელობა ყველაზე უარესი მანკიერებაა სტალინისეულ ფასეულობათა სიაში და სწორედ ამის გამო შავ დღეს აყრიდა თანამებრძოლებს, დიპლომატებსა და მზვერავებსაც კი, რომლებსაც მიამიტობის, „გამჭრიახობის“ უქონლობის გამო არ ძალუძდათ მტრის ბოროტი ზრახვების გამოცნობა. ამის შესახებ სტალინის ერთ-ერთი გამოსვლა გაზეთ „პრავდის“ მაშინდელმა რედაქტორმა **პოსპელოვმა** ჩაწერა 1949 წლის 30 მარტს პოლიტბიუროს სხდომაზე: „სად იმალება მთავარი საფრთხე? პატიოსან სულებსა და ბრმებში. ასეთი პატიოსანი, მაგრამ ბრმა ადამიანების გამო შეიძლება დაიღუპოს ჩვენი ქვეყანა... განა დათვი (კრილოვის იგავიდან) პატიოსანი არ იყო? სწორედ ასეთი სულელების ხელით ქმნიან მტრები თავიანთ პოლიტიკას. მაშ ასე, მტერი, ყველგანმსუფევი, ძლიერი და ვერაგია; საბჭოთა ადამიანები კი — რბილები, ზარმაცები და გულუბრყვილოები. ხელმძღვანელთა შორისაც კი უამრავი „პატიოსანი სულელია“. რა უნდა ვუყოთ ასეთ ხალხს?“ არ არის სადავო და ვუდასტურებ მკვლევარ ისტორიკოსებს, რომ **სტალინის ეპოქაში არსებობდა შიში — დანაშაულის, ბოროტებისა და არაკაცობის ჩადენის შიში. არც ერთ მაღალჩინოსანს შიშის განცდა დაკარგული არ ჰქონდა, რადგან სტალინის თვალსა და ყურს არაფერი გამოეპარებოდა. სტალინი ფლობდა უზარმაზარ ინფორმაციას, მას ჰქონდა ფენომენური მეხსიერება და ამ ყველაფრის მეშვეობით კონტროლის მექანიზმს ყოველდღიურად ამუშავებდა.** სულელ პატიოსნებსაც კი სტალინის შიში ჰქონდათ, რადგან დავალების შეუსრულებლობა შიშის გამო არ ხსნიდა მათ პასუხისმგებლობას, ამიტომ არც ერთი ადამიანი თავს უსაფრთხოდ არ მიიჩნევდა, თვით ნომენკლატურის ჩათვლით, რომელიც დროდადრო კარგად უნდა შეენჯღრიათ. 1933 ზაფხულში სტალინი მოლოტოვს წერდა:

„ფინანსთა სამინისტროში ყველაფერი რიგზე არ უნდა იყოს. მგონი, საჭიროა მთელი აპარატის შემოწმება და სერიოზულად შეფუცხუნება“. ითქვა და გაკეთდა კიდეც. რა იყო სტალინის მეორე ძირითადი პოსტულატი? — წრთობა. სტალინმა იცოდა წრთობის ფასი, რადგან თვითონაც ცეცხლის ქურაში გამოიწვა, ყველა ხიფათი და განსაცდელი გამოიარა. ბევრმა ჭირთათმენამ მისი ხასიათი ფოლადად გამოაწრთო. ამას სტალინის ცხოვრების წლები დასჭირდა, ამიტომ ის ადამიანებს ახალგაზრდობიდანვე წვრთნიდა, აწრთობდა. საკავშირო სამინისტროს 5 სახალხო კომისრიდან არც ერთი არ იყო მიღწეული 52 წელს — მარშალი **უსტინოვი** (27 წლის) შეიარაღების მინისტრი იყო; **მალიშევი** (28 წლის) — საავიაციო მრეწველობის სახალხო კომისარი; **ვინოგრადოვი** (30 წლის) — სოფლის მეურნეობის მინისტრი... 23 წლის მფრინავმა, რომელსაც სსრ კავშირის გმირობა მიანიჭეს და გახარებული შინ მიემართებოდა, სადარბაზოსთან სიბნელეში ქალზე მოძალადე მამაკაცი დაინახა. შეყვირებით რომ ვერაფერს გახდა, ახალგაზრდა მფრინავმა იარაღი ამოიღო და ისროლა. საუბედუროდ, გასროლილმა ტყვიამ მოძალადე მამაკაცი იმსხვერპლა. სტალინს დაუყონებლივ მოახსენეს გმირის ტრაგიკული შემთხვევის ამბავი. მან კი სასწრაფოდ გენერალური პროკურორი გამოიძახა და დახმარების გზების მოხსენება უბრძანა. პროკურორმა უთხრა, რომ, პირველ რიგში, თავდებობა უნდა გაფორმებულიყო, შემდეგ კი ძიებაში გაირკვევოდა საქმის ვითარება.

— სად უნდა გაფორმდეს თავდებობა? — იკითხა სტალინმა

— იქ, სადაც ბრალდებულია დაკავებული.

სტალინმა დაკავებულის ადგილმდებარეობა დააზუსტა, მანქანის გამოძახება ბრძანა და ბრალდებულთან გაემგზავრა. სტალინმა თხოვნით მიმართა რაიონის პროკურორს, მისი პასუხისმგებლობის ქვეშ გაეშვათ სასამართლოდან ახალგაზრდა მფრინავი, რომელმაც მძიმე დანაშაული ჩაიდინა. თავდებობა წესების სრული დაცვით განხორციელდა და ახალგაზრდა მფრინავმა, მკერდზე მოკიაფე ოქროს ვარსკვლავით, დაკავების ოთახი დატოვა. მფრინავი შინ არ მისულა. სასამართლოდან აეროპორტში გაეშურა და თავის ნაწილში ამოჰყო თავი. მისვლისთანავე თვითმფრინავის საჭეს მიუჯდა და სამხედრო დავალების შესასრულებლად ცაში აიჭრა. 7 გერმანული ბომბდამშენი ალმოდებული დაანარცხა დედამიწას. როცა მისი თვითმფრინავი დაზიანდა, ქვევიდან სასწრაფოდ დაშვება უბრძანეს, მაგრამ გმირმა მფრინავმა ყურად არ იღო უფროსის ბრძანება. მე-8 გერმანულ ბომბდამშენზე წასულმა ერთხელ ჩასძახა მიკროფონში: За Сталина! და შავ ღრუბელს გამოდევნებული 23 წლის გმირი მფრინავი ნაწილებად გაიფანტა ბრძოლის ველზე... ეს სტალინური წრთობის ნათელი მაგალითია...

სტალინს მოახსენეს, რომ ადმირალი ისაკოვი მძიმედ დაიჭრა და ჰოსპიტალში ფეხის ამპუტაცია გაუკეთეს. სტალინმა სასწრაფოდ ისაკოვის საწოლთან პირდაპირი ტელეფონის დადგმის განკარგულება გასცა. მალე ზარიც გაისმა:

— რომელი ფეხი დაკარგეთ, ამხანაგო ისაკოვ?

— მარცხენა, ამხანაგო სტალინ.

— თუ იკადრებთ, მე ვიქნები თქვენი მარცხენა ფეხი.

ისაკოვისათვის უფეხობას ხელი არ შეუშლია და იგი ყოველთვის იყო უმაღლეს სამხედრო მოხელეთა შორის. სტალინის მესამე პოსტულატი იყო საზოგადოებისა და მით უმეტეს, ახალგაზრდობის იდეურ-პოლიტიკური აღზრდის საქმე. რაც უნდა დიდი ავტორიტეტი ჰქონოდა სტალინს, მან კარგად იცოდა, რომ ერთეულთა ურთიერთპატივისცემა ვერ შეაკავშირებდა მრავალეროვან საბჭოთა ხალხს, ამიტომ მისი მუდმივი საზრუნავი იყო ადამიანების იდეურ-პოლიტიკური აღზრდა, რასაც მოწმობს სტალინის სიტყვა 1946 წლის ოქტომბერში კრემლში გამართულ აგიტმუშაკთა თათბირზე: **„კერპთაყვანისმცემლებს ვზრდით იმის მაგივრად, რომ ხალხს ცნობიერება გავუღვიძოთ“.** მან შექმნა პროპაგანდის უზარმაზარი მანქანა, რომელმაც უზრუნველყო ადამიანთა შორის ძმობისა და მეგობრობის აღმშენებლობის მტკიცე საფუძვლის ჩაყრა. დედამიწის 1/6-ზე გადაჭიმული 300-მილიონიანი იმპერია არანაირი შურითა და მტრობით, სამაგიეროდ, რელიგიური შემწყნარებლობით აშენებდა ბედნიერი სოციალიზმის ნათელ შენობას. დიახ, **სტალინი პოლიტიკური რეალიზმის მამაა, რომელმაც რეალობად აქცია უტოპიური სოციალიზმის მამების ფანტასტიკას მიახლოებული აზრები დედამიწის 1/6-ზე. სტალინი არა მხოლოდ მშობელია პოლიტიკური რეალიზმისა, არამედ მისი აღმზრდელიცაა. ამ პოლიტიკურმა რეალიზმმა იხსნა კაცობრიობა კატასტროფისაგან და ერთი ადამიანი გაათავისუფლა მეორე ადამიანის ექსპლოატაციისაგან.** ოცნების რეალურობად გადაქცევას მოჰყვა ქვეყნის რყევა და სისხლი, სამართლიანი თუ უსამართლო, მაგრამ კაცობრიობამ თავისი თვალით ნახა, როგორ უნდა იცხოვროს მომავალ ცივილიზაციებში ადამიანმა. ალბათ, ამისთვის ღირდა კიდეც ეს დანაკლისი.

**სტალინი სულითა და ხორცით თავისი ქვეყნისა და ხალხის შვილი იყო. მან თავისი ქვეყანა თავის სისხლსა და ხორცთან გააერთიანა და ერთ მოცემულობად აქცია. ჩამოიყალიბა შინაგანი რწმენა — გაიმარჯვებს თვითონ, გაიმარჯვებს ხალხი და ქვეყანა. და, თუ დამარცხდება, მასთან ერთად დამარცხდება ხალხიც და ქვეყანაც. ეს რწმენა მტკიცედ ჩაინერგა თვითონ და სურდა, სცოდნოდა სხვებსაც, რათა სხვებიც ყოფილიყვნენ სამშობლოსთან გათანაბრებულნი ისე, როგორც თვითონ ჰქონდა წარმოდგენილი**



**ვლადიმერ პეჩატნოვი თავის შესანიშნავ გამოკვლევაში „შტრიხები სტალინის პორტრეტისათვის“ წერს: „ჩვენ არ ვიცით, წაკითხული ჰქონდა თუ არა სტალინს ფრენსის ბეკონის „ახალი ორგანონი“, რომელშიც ინგლისელმა მოაზროვნემ სახელმწიფო მოღვაწეების „დიდების კიბე“ წარმოგვიდგინა. მის ზედა საფეხურზე იდგნენ უდიდესი სახელმწიფოებისა და იმპერიების შემქმელნი — რომულუსი, კიროსი, ცეზარი, ოსმანი, ისმაილი; მაგრამ, ვფიქრობთ, რომ სტალინის ფსიქიკის ბნელ უფსკრულებში გზის მანათობელ ვარსკვლავად უნდა ყოფილიყო სწორედ უდიდესი სახელმწიფოს შემქნელის ეს განუზომელი, უკვდავი სიდიადე და არა მისთვის უცხო მატერიალური ინტერესები ან ძალაუფლების წყურვილი, როგორც ასეთი. მით უმეტეს, რომ ძლევამოსილების საზომით თუ მივუდგებით, რუსეთი მისი მეთაურობით მართლაც დიადი გახდა. ტყუილად კი არ ამბობდა ჩერჩილი, რომ სტალინმა „კავიანი რუსეთი ჩაიბარა და ატომური ბომბით დატოვა“**





**ყურადღება!**

**„ბიბლუსის“ მაღაზიათა ქსელში შეგიძლიათ შეიძინოთ საერთაშორისო საზოგადოება „სტალინის“ თავმჯდომარის, ბატონ გრიგოლ ონიანის წიგნ „სტალინის“ მე-6 ტომი, რომელშიც თავმოყრილია ფაქტობრივი მასალები კაცობრიობის ისტორიაში უდიდესი პოლიტიკოსის, დიპლომატისა და მხედართმთავრის შესახებ.**

## ავი მუსაიფი

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



**რუსთავის მე-12 პენიტენციურ დაწესებულებასთან შეკრებილმა სააკაშვილის რეჟიმის ზოგიერთმა მსხვერპლმა (ვინც ცოცხალი გადაურჩა ჯალათ რეჟიმს) და ზოგიერთი მსხვერპლის (ვინც ნაცჯალათებმა სიცოცხლეს გამოასალმეს) ოჯახის წევრებმა, ისე, რომ გვარ-სახელები არ დაუსახელებიათ, ხელისუფლებას დამნაშავეთა დასჯის მოთხოვნით მიმართეს, რაც უპერსპექტივო საქმეა, რადგან ყველაფერი, რაც ზემოთ ითქვა და რაც კი რამ ცუდი (კარგსაც ნუ დავუკარგავთ) ხდება საქართველოში, ყველაფერი ბიძინა ივანიშვილის ბრალია, ბიძინაა ყველაფერში დამნაშავე.**

# ყველაფერი შენი ბრალია, ყველაფერში დამნაშავე შენა ხარ!

## ღმერთი არ გაგიწყრეთ და მიშიკო დროზე ადრე არ გამოუშვათ ან კიევს არ გადასცეთ, თორემ...

**ბოლო ხანს „ფეისბუკთან“ მწყრალად ვარ — ყელში ამომივიდა მის გვერდებზე უაზრო „ბლა-ბლა-ბლა“, ანუ ფუჭი „პოსტაობა“; ფუჭი, რადგან, როგორც ახლაღა, სიბერეში მივხვდი, „ფეისბუკიც“ ერთგვარი, რომ იტყვიან, ორთქლის გამოსაშვები საშუალებაა და ამიტომაც იშვიათად ვაქვეყნებ ხოლმე პოსტებს, მით უმეტეს, ისედაც ბევრი „საპოსტაო“ მაქვს „საქართველო და მსოფლიოში“ ჩემი „ავი მუსაიფის“ სახით.**

ტელევიზიებიდანაც, ძირითადად, ე.წ. რუსულ პროპაგანდისტულ სატელევიზიო არხებს ვუყურებ, რადგან მიმაჩნია, რომ სწორედ რუსული არხები არიან სხვა ქვეყნებთან (პირველ რიგში, საქართველოსთან) მეტ-ნაკლებად ობიექტური მაუწყებლები. ყოველივე ზემოთქმულის გამო აღმოვჩნდი საინფორმაციო „ოფსაიდში“ და რუსთავში, მე-12 პენიტენციურ დაწესებულებასთან გასამართი, „ფეისბუკით“ დაანონსებული აქციის შესახებ არაფერი ვიცოდი, „თორემ“... ამჯერად ბრჭყალები იმის ხაზგასასმელად დამჭირდა, რომ ჩემი წინა „ავი მუსაიფი“ სწორედ ამ სიტყვით დავამთავრე, რომელიც წინადადებაში ისე „ჩაჯდა“, რომ იმ სტატიის დასასრული, რუსთავის ციხესთან გამართული გრანდიოზული აქციის გათვალისწინებით, წინამდებარე „ავი მუსაიფის“ სათაურად გამოდგებოდა. თავად განსაჯეთ — „ღმერთი არ გაგიწყრეთ და, მიშიკო დროზე ადრე არ გამოუშვათ, თორემ“...

იმის გამო, რომ ვითარება შეიცვალა და ჩვენი „მეგობარი“ უკრაინა სულ უფრო დაჟინებით მოითხოვს თავისი მოქალაქის, **მიხეილ სააკაშვილის,** ექსტრადიციას, ზემოხსენებული წერილის ფინალი, კიევის დამატებით, სტატიის ქვესათაურად გამოვიყენე. იქნებ უკვე თავი მოგაბეზრეთ „ბრჭყალების“ მნიშვნელობაზე საუბრით, როგორც ადრე სიტყვა „მაგრამ“-ზე და რატომ იცით? ამ სასვენ ნიშანსა და სიტყვას აქვს ის მაგიური ძალა, რომელსაც ყველაფრის თავდაყირა დაყენება შეუძლია — გააჩნია ადგილს, ვითარებას, პიროვნებას და, რაც მთავარია, კონტექსტს, რომელშიც გამოიყენება ეს მაგიური სიტყვა და სასვენი ნიშანი.

პირველი მუქარა, რომლითაც დავამთავრე ბოლო „ავი მუსაიფი“, 14 ოქტომბერს ნაცების მიერ მიშას გათავისუფლების მოთხოვნით ორგანიზებული გრანდიოზული აქციით გამოწვეული შიშის არა, მაგრამ, გარკვეულწილად არცთუ უსაფუძვლო შეშფოთების შედეგი იყო — **9 წლის განმავლობაში ე.წ. კოლექტიური დასავლეთის მაღალჩინოსნების აშკარა წნეხის შემდეგ „ქართული ოცნება“ ისე გაფარჩაკდა, რომ ყველა დიდ ქალაქში მეორე ტური დაინიშნა, ეს ერთი და მეორე — ქართველი საზოგადოება დაღალა „ჩვენ თუ არ მოგვცემთ ხმას, მიშა მოვა“-მ. ამ მოწოდებამ წელს ისე აღარ იმუშავა, როგორც ბოლო 9 წლის განმავლობაში ჩატარებულ ყველა არჩევნებში. სოციალური პრობლემებით, უკიდურესად შეჭირვებული საშუალო სტატისტიკური ქართველი იმ ზომამდე მიიყვანა, რომ გაქსუებული ქოცების შემხედვარემ, ერთი ქოც-ნაცების დედაცო და მივიღეთ დღევანდელი ვითარება.** ამას დავუმატოთ ის, რომ 9 წლის განმავლობაში ამაოდ ელოდნენ სამართლიანობის აღდგენასაც, რომელსაც ვერ ეღირსა სააკაშვილის ფაშისტური რეჟიმის მსხვერპლი მოსახლეობა და ზემოთ ჩემ მიერ ხსენებული შეშფოთების საფუძველი ცხადი შეიქნება. რომ არა ნაციონალების პარტაქტივის აქციის მეორე დღეს რუსთავის ციხესთან სპონტანურად ჩატარებული აქცია, წინამდებარე წერილის უიმედო სათაურად ილიას მცირედ პერიფრაზირებული ნათქვამი მქონდა მზად: **ჩვენისთანა ქინძისთავი, განა არის სადმე ერი?..**

მიშარასტების მიერ მოწყობილი აქცია (რომლის გასამართავად ნაცების მთელი პარტაქტივი და ფინანსები იყო მობილიზებული, მაგრამ 20 ათასზე მეტი ადამიანის გამოყვანა მაინც ვერ შეძლეს), რუსთავის ციხესთან გამართულ აქციასთან შედარებით, გრანდიოზული იყო, მაგრამ იმის გათვალისწინებით, რომ რუსთავის ციხესთან სოციალურ ქსელში ერთ დაძახებაზე სააკაშვილის უვადო პატიმრობის მოთხოვნით 3-4 ათასი კაცი გამოვიდა, მაშინ რუსთავის აქცია უფრო გრანდიოზული იყო.

რუსთავის მე-12 პენიტენციურ დაწესებულებასთან შეკრებილმა სააკაშვილის რეჟიმის ზოგიერთმა მსხვერპლმა (ვინც ცოცხალი გადაურჩა ჯალათ რეჟიმს) და ზოგიერთი მსხვერპლის (ვინც ნაცჯალათებმა სიცოცხლეს გამოასალმეს) ოჯახის წევრებმა, ისე, რომ გვარ-სახელები არ დაუსახელებიათ, ხელისუფლებას დამნაშავეთა დასჯის მოთხოვნით მიმართეს, რაც უპერსპექტივო საქმეა, რადგან ყველაფერი, რაც ზემოთ ითქვა და რაც კი რამ ცუდი (კარგსაც ნუ დავუკარგავთ) ხდება საქართველოში, ყველაფერი ბიძინა ივანიშვილის ბრალია, ბიძინაა ყველაფერში დამნაშავე, მაგრამ...

მართლაც და, **რა გახდა ასეთი სააკაშვილის რეჟიმის მთავარი იდეოლოგისა და არქიტექტორის, ინტერპოლის წითელი ცირკულარით ძებნილი ზურაბ ადეიშვლის პოვნა „მეგობარ“ უკრაინაში და ყურით ჩამოთრევა? რეჟიმის მთავარი ჯალათი დათა ახალაიაც იქვე ახლოს არის საძებნი, მაგრამ ამ 9 წლის განმავლობაში ბიძომ ისეთი გოგლიმოგლი ათქვიფა, კაცი ველარ გაარკვევს, ვინ ნაცი იყო და ვინ — „გნაცი“...**

ამ ყველაფერს პირში რომ მივახლიდი ბატონ ბიძინას, რომელსაც ჩემი ინდივიდუალური „პერფორმანსები“ თუ არ უნახავს, მათ შესახებ სმენია მაინც, რეიგანის ძეგლის შეღებვით დაწყებული, ფილარმონიაში, რუსთაველის თეატრში და ა.შ დამთავრებული, არათუ ტრაბახში ჩამომართმევს, არამედ აღიარებს, რომ **დავით (ჯვებე) მხეიძე (ხეცია)** არ იყიდება. მიუხედავად იმისა, რომ ამ ფაქტს ჩემთვის მატერიალურ ასპექტში არაფერი მოუტანია.

დღიდან დაარსებისა, „საქართველო და მსოფლიოს“ და ე.წ. წინააღმდეგობის მოძრაობის ერთგული გახლავართ და არ ვხტუნაობ აქეთ-იქეთ, როგორც ნათელაშვლის ფანჩატურში სავლედ ქცეული პავლეები, რომელთა სახელი ლეგიონია...

რუსთავის ციხესთან აქციის შემდეგ, როდესაც ერთ-ერთ სატელევიზიო ეთერში პარლამენტარ **გია ვოლსკის** უთხრეს, მომხდარში ქართველი საზოგადოება ხელისუფლებასაც ადანაშაულებსო, ისე შეიცხადა, ვითომ უსაფუძვლო იყო ეს საყვედური და ბიძინას ციტირებით უპასუხა ოპონენტს: **„ჩვენ ნაცებს ისე კი არ მოვექცევით, როგორც იმსახურებენ, არამედ ისე, როგორც ქართველ ხალხს, მის კულტურას ეკადრება“**-ო. ვერაფერს იტყვი, სასკოლო სახელმძღვანელოში შესატანი ციტატაა. ოღონდ, სანამ ამ „საშვილიშვილო საქმეს“ გააკეთებდეთ, მანამდე იმ 300 ათას პრობაციონერებს, სააკაშვილის ჯოჯოხეთური გულაგგამოვლილ ცოცხლად დარჩენილებს ან სიკვდილს ვერგადარჩენილთა ჭირისუფლებს ჰკითხეთ და ისინი გეტყვიან, რა ეკადრება მაღალკულტურულ ქართველ ერს. ამ ფილოსოფიით „მოღვაწე“ ხელისუფლების ხელში ბოლომდე ვერასოდეს აღდგება სამართლიანობა, იმიტომ, რომ, როგორც ზემოთ აღვნიშნე, გოგლიმოგლივით არიან ნაცები და ქოცები ერთმანეთში ათქვეფილები.

ამიტომ არც ქოცი და არც ნაცი! მაშ, ვინ?

ვინ და საჭროა მესამე ძალა, რომლის ჩამოყალიბება რუსთავის ციხესთან მისული ხალხის ინტელექტუალური რესურსის ბაზაზე სავსებით რეალურად მიმაჩნია!

**დავით მხეიძე**

**P.S. შემდეგ ნომერში ე.წ. შემოქმედებითი ინტელიგენციისა და იმ მეუფე ყანდურებისთვის მოვიცლი, რომლებიც მიშას გათავისუფლებას მოითხოვენ.**



**9 წლის განმავლობაში ე.წ. კოლექტიური დასავლეთის მაღალჩინოსნების აშკარა წნეხის შემდეგ «ქართული ოცნება» ისე გაფარჩაკდა, რომ ყველა დიდ ქალაქში მეორე ტური დაინიშნა, ეს ერთი და მეორე — ქართველი საზოგადოება დაღალა «ჩვენ თუ არ მოგვცემთ ხმას, მიშა მოვა»-მ. ამ მოწოდებამ წელს ისე აღარ იმუშავა, როგორც ბოლო 9 წლის განმავლობაში ჩატარებულ ყველა არჩევნებში. სოციალური პრობლემებით უკიდურესად შეჭირვებული საშუალო სტატისტიკური ქართველი იმ ზომამდე მიიყვანა, რომ, გაქსუებული ქოცების შემხედვარემ, ერთი ქოც-ნაცების დედაცო, და მივიღეთ დღევანდელი ვითარება**

**რა გახდა ასეთი სააკაშვილის რეჟიმის მთავარი იდეოლოგისა და არქიტექტორის, ინტერპოლის წითელი ცირკულარით ძებნილი ზურაბ ადეიშვლის პოვნა «მეგობარ» უკრაინაში და ყურით ჩამოთრევა? რეჟიმის მთავარი ჯალათი დათა ახალაიაც იქვე ახლოს არის საძებნი, მაგრამ ამ 9 წლის განმავლობაში ბიძომ ისეთი გოგლიმოგლი ათქვიფა, კაცი ველარ გაარკვევს, ვინ ნაცი იყო და ვინ — «გნაცი»**

**ამჯერადაც გაიყიდა სამართალი „წითელ თუმნიანებზე“, თორემ ვინ ოხერი გამოვიდოდა დამნაშავე პრეზიდენტყოფილის გათავისუფლების მოთხოვნით: სასწრაფოდ გამოუშვით, ეგ არის ჩვენი ღმერთი, ეგ გვიშველის მხოლოდ და გაგვაბედნიერებს ქართველებსო. იმ ხალხმრავალ აქციაზე, რომელიც დედაქალაქში, თავისუფლების მოედანზე 14 ოქტომბერს გაიმართა, რეგიონებიდან ჩამოსულ საქართველოს რიგით მოქალაქეებთან გასაუბრებამ ეს ეჭვი არათუ განგვიმტკიცა, არამედ უცილობელ ჭეშმარიტებად გვიქცია.**

მწვანე სიმართლე
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**რუბრიკას უძღვება დარეჯან ანდრიაძე**

# ბრმად მიმნდობი, მათ შორის ბევრი, ალბათ, პატიოსანი ადამიანი ნაციონალებმა ქვეყნისთვის მთავარ საფრთხედ აქციეს

**გიორგი ლეონიძის „ნატვრის ხეს“ თუ გავიხსენებთ და წარმოვიდგენთ, რომ მარიტა სიმბოლურად საქართველოა, რომელსაც არც ერთი მის გარშემო მყოფი არაფერს ეკითხება და მისგან დამოუკიდებლად წყვეტს მის ბედს, სწორედ ეს მომენტი უდგას დღეს ჩვენს მრავალჭირგამოვლილ ქვეყანას, მრავალჯერ გაყიდულს, გაძარცვულს, აოხრებულს და, საბედნიეროდ, დროდადრო ფენიქსივით განახლებულს.**

ამჯერადაც გაიყიდა სამართალი „წითელ თუმნიანებზე“, თორემ ვინ ოხერი გამოვიდოდა დამნაშავე პრეზიდენტყოფილის გათავისუფლების მოთხოვნით: სასწრაფოდ გამოუშვით, ეგ არის ჩვენი ღმერთი, ეგ გვიშველის მხოლოდ და გაგვაბედნიერებს ქართველებსო. იმ ხალხმრავალ აქციაზე, რომელიც დედაქალაქში, თავისუფლების მოედანზე 14 ოქტომბერს გაიმართა, რეგიონებიდან ჩამოსულ საქართველოს რიგით მოქალაქეებთან გასაუბრებამ ეს ეჭვი არათუ განგვიმტკიცა, არამედ უცილობელ ჭეშმარიტებად გვიქცია და აი რატომ:

— მიშა არის ჩვენი მხსნელი, მაგის გარეშე საქართველო გაქრება რუკიდან!

— უკეთესი ცხოვრება მინდა და მიტომ ვარ აქ!

— თუ ვინმე აწამეს მიშას დროს, ღირსი იქნებოდა!

**აქაც და ქვემოთაც კომენტარისთვის დიდ ილიას მოვიშველიებ: „როგორ გგონიათ, ყოველივე ამის ლაღად მთქმელს სად უნდა ამოაყოფინოთ თავი, თუ ქვეყანაზედ სამართალია? განა ჭკვათამყოფელმა კაცმა, მინამ ამას იტყოდეს, ყველაზედ უწინარეს თავის ადამიანობაზედ ხელი არ უნდა აიღოს!.. ყოველივე მოვალეობა თავის ქვეყნის წინაშე არ უნდა დაივიწყოს და ქვემძრომსავით მარტო მიწა არ უნდა ჰლოკოს“.**

— ისე გამოვედი, უბრალოდ, რა, არ მაქვს უფლება?! ვსეირნობ.

— საერთოდ არ გამიგია, მიშას დროს ვინმე აწამეს, იგონებენ ყველაფერს!

**„გაგიგონიათ ვისმე ისე პირმოხეული ურცხვობა? ...თუ კაცს ღმერთი გასწყრომია და ყური დახშული აქვს სმენისათვის, თვალთახედვის უნარი სად ჯანდაბაშიღა დაჰკარგვია, რომ თავის გარშემო ველარა ჰხედავს“?!**

— აქ ვინც ვართ, ყველა გაჭირვებული ხალხი ვართ ჩამოსული!

და ა.შ. და ა.შ.

ახლა საკითხავი ის არის, ეს გაჭირვებული ხალხი, რომელსაც საარსებოდ საკმარისი შემოსავალი არ აქვს, დედაქალაქში როგორ ჩამოვიდა; მგზავრობის საფასური ხომ უნდა გადაეხადა?! ამას დავუმატოთ კვების ხარჯიც... ცხადია, ვიღაცამ დააფინანსა; იმდენი ფული გადაუხადა, რომ, ალბათ, ცოტა ხანს ეყოფა თავის გასატანად და ეს ბრმად მიმნდობი, მათ შორის ბევრი, ალბათ, პატიოსანი ადამიანი ქვეყნისთვის მთავარ საფრთხედ იქცევა. ასეთი პატიოსანი, მაგრამ ბრმა ადამიანების გამო შეიძლება დაიღუპოს ჩვენი ქვეყანა...

რომ შემოეხარჯებათ ნაცების მხარდაჭერის სანაცვლოდ აღებული გასამრჯელო, მერე რა იქნება? მერე უგულავა რომ ხინკალს შეჭამს, როგორც თვითონ თქვა, ჭიპებს არ გადასანსლავს და...

და კიდევ ერთხელ თვალსაჩინო გახდება, რომ ჩვენ შორის უამრავი „პატიოსანი სულელია“.

რა უნდა ვუყოთ ასეთ ხალხს? ისევ და ისევ ერის მამის, დიდი ილიას ნააზრევის აწონ-დაწონვასა და დღევანდელ რეალობასთან პარალელის გავლებას შევთავაზებთ:

**„ქვეყანაზედ მრავალგვარი ავკაცობაა, მრავალგვარი სულდაბლობა და სალახანაობა. ხოლო ყველაზედ უარესი, ყველაზედ საზიზღარი, ყველაზედ ჩირქიანი ურცხვობაა.** ქურდს, მაგალითებრ, ზოგჯერ ქურდობა ეპატიება, ავაზაკს ავაზაკობა, ზოგჯერ მკვლელს კაცისკვლასაც-კი შეუნდობენ ხოლმე, ამისი არა ერთი და ორი მაგალითია. ამ შემთხვევაში ქურდსა თუ ავაზაკს ზოგჯერ იმისთანა მიზეზები მოეპოვება, რომ ადამიანის გულშემატკივარობას გამოიწვევს ხოლმე და ავკაცობას დამნაშავისას ცოტად თუ ბევრად შესაწყნარებლადა ჰხდის და ზოგჯერ სრულად მისატევებლადაც.

**ურცხვობა-კი იმისთანა რამ არის, რომ არასოდეს ადამიანის გულს თავისაკენ სიბრალულით ვერ მოახედებს. იგი იმოდენად მყრალია, იმოდენად ბიწიერია, იმოდენად საზიზღარი, რომ კაცს, ურცხვობის მნახავს, ვერასგზით ვერ მოინადირებს და ვერ შეირიგებს. იგი მძოვრსა ჰგავს და რამოდენადაც ახლო მიუხვალ, უფრო ჰყარს, და თუ ხელიც ახელი, უფრო ასეთს სუნს ამოუშვებს, რომ ცხვირის დაცობა თუ უშველის ადამიანს, თორემ სხვა ვერაფერი.**

ბიწს ურცხვობისას საზღვარი არა აქვს. **რაკი ერთხელ კაცმა ურცხვობისათვის პირი გაიხია, იმას აღარა დააყენებს-რა,** თუნდა ათასი ალაყი გაუკეთო და ათასი ნალო გამოაბა. **ნუ გგონიათ-კი, რომ ურცხვობა უღონო რამ იყოს. არა, იგი ძლიერია მარტო მით, რომ ურცხვობაა, და რაკი ურცხვობაა, იმის ხელთ ბარაქიანი ტყუილიც არის, ზორბა უნამუსობაც, სამარცხვინო სულელობაც, საზიზღარი ცილისწამებაც, ერთის სიტყვით — ყოველივე თავს-ლაფგადასასხმელი უწმინდურობა ადამიანისა“.**



**აი ურცხვობის, თვალთმაქცობისა და უნამუსობის საუკეთესო ნიმუშიც — ეს არის** რუსთავის მე-12 პენიტენციური დაწესებულების ბინადარი პრეზიდენტყოფილის წერილი, რომლითაც ხალხს მიმართა: „კიდევ ერთი რევანში და შურისძიება მორალურად გაანადგურებს ჩვენს საზოგადოებას და საბოლოოდ დაანგრევს ჩვენს ქვეყანას. ჩვენ წინ დიდი ცვლილებები გველის, მაგრამ ამისთვის ყველანაირი წყენა უნდა დავივიწყოთ. განზე გადავდოთ ჩვენი ნეგატიური ემოციების ტვირთი, რადგან ამის მოშორების გარეშე ქვეყანა წინ ვერ წავა...“

**როგორც ილია ამბობს, ურცხვი და უნამუსო კაცი „ოღონდ თავისი გაიტანოს და ყოველგვარს საძაგლობას ჰკადრულობს, ყოველგვარს უკადრის იარაღს ხელსა ჰკიდებს. რას უნდა ეკრძალებოდეს და ერიდებოდეს!**

ყოველ ამით ურცხვი კაცი უფრო ღონიერია, უფრო შემძლებელია პატიოსან და მორცხვს კაცზედ, რომელიც მარტო შეუგინებელ და პატიოსანს ფარ-ხმალს ჰკადრულობს სახმარებლად მტერთან და სხვა ყოველი სამართლიანად ეთაკილება, ეზიზღება. **ურცხვი კაცი ღონიერიაო, რომ ვსთქვით, — ეგ იმას არა ჰნიშნავს, რომ გამარჯვებულიც იგია, და თუნდ გამარჯვებულიც იყოს, სამარცხვინო გამარჯვებას ისევ პატიოსანი დამარცხება სჯობია, როგორც ნაძრახს სიცოცხლეს — სახელოვანი სიკვდილი“.**

იქვე ილია დასძენს, **„ვიცით, რომ ამ სახარებას მგლის თავზედ ვკითხულობთ და ამიტომ ამ საგანზედ გრძლად ლაპარაკი, სჯობია, შევწყვიტოთო“. შესაძლოა, ამჯერად ჩვენც მგლის თავზე ვკითხულობთ სახარებას, მაგრამ ხომ გაგიგონიათ, ცდა ბედის მონახევრეაო.**

დღეს ერთადერთი, რაც შეიძლება შეგშურდეს „პატიოსანი სულელების“, მათი ენთუზიაზმია, რომელიც დამოუკიდებელი სახელმწიფოს ხელისუფლებებმა ერთმანეთზე მიყოლებით ამ წლების განმავლობაში ნელ-ნელა დაგვაკარგვინეს. **შედეგიც სახეზეა — 2 ოქტომბრის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებისთვის სულ 3 497 345 ამომრჩეველი იყო რეგისტრირებული, მაგრამ, ცესკოს ინფორმაციით, არჩევნებში მონაწილეობა მხოლოდ 1 815776-მა მიიღო, რაც ამომრჩევლების საერთო რაოდენობის 51,92%-ია. ალბათ, არც ამდენი მივიდოდა საარჩევნო უბნებზე, „ფოჩიანი კანფეტებით“ რომ არ მიეტყუებინათ.**

**მაგრამ ამ ფაქტს არც პოზიცია და არც ოპოზიცია არ შეუწუხებია, მთელი მათი გულისყური მხოლოდ იქითკენაა მიპყრობილი, როგორმე დაწესებულ ზღვარს გადააბიჯონ და გაიმარჯვონ.**

**ასე და ამრიგად, არავის დაუსვამს „უხერხული“ კითხვა: ვინ არის ის ხალხი, არავის რომ არ უჭერს მხარს და რას ელოდება — ციდან მანანა როდის ჩამოცვივდება?**

**თქვენ წარმოიდგინეთ და, ბევრი იმედგაცრუებული და მრავალგზის მოტყუებული ადამიანი ციდან მანანის ჩამოცვენის იმედად არა, მაგრამ უფლის იმედად კი არის, უფალს შესთხოვს ქვეყნის გადარჩენას, რადგან ამ ქვეყანაში ხელისუფალნი მშობელი ხალხის მაჯისცემას კი არ უსმენენ, არამედ მხოლოდ სხვის დაკრულზე ცეკვას ახერხებენ.**

**რა უნდა ვუყოთ ასეთ ხალხს? ისევ და ისევ ერის მამის, დიდი ილიას ნააზრევის აწონ-დაწონვასა და დღევანდელ რეალობასთან პარალელის გავლებას შევთავაზებთ: «ქვეყანაზედ მრავალგვარი ავკაცობაა, მრავალგვარი სულდაბლობა და სალახანაობა. ხოლო ყველაზედ უარესი, ყველაზედ საზიზღარი, ყველაზედ ჩირქიანი ურცხვობაა»**






**«ნუ გგონიათ-კი, რომ ურცხვობა უღონო რამ იყოს. არა, იგი ძლიერია მარტო მით, რომ ურცხვობაა, და რაკი ურცხვობაა, იმის ხელთ ბარაქიანი ტყუილიც არის, ზორბა უნამუსობაც, სამარცხვინო სულელობაც, საზიზღარი ცილისწამებაც, ერთის სიტყვით — ყოველივე თავს-ლაფგადასასხმელი უწმინდურობა ადამიანისა»**

იმედგაცრუება
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**გამორიცხული არ არის, რომ ბოლო ინფორმაცია, რომელმაც ამერიკელების მოთმინების ფიალა აავსო, იყო ოფშორულ ზონებში ვლადიმერ ზელენსკის ანგარიშების შესახებ. და ეს არ არის უკრაინის პრეზიდენტის მხრიდან ბიუჯეტისთვის შემოსავლების დამალვის მცდელობა. ბრალდება უფრო სერიოზულია, ამ ანგარიშების მეშვეობით თეთრდებოდა და თეთრდება ოლიგარქ კოლომოისკის ბინძური ფული.**

# ვიქტორია ნულანდმა უკრაინა ნამცხვრისა და მურაბის გარეშე დატოვა

## ვიზიტის შედეგები მოულოდნელი და შოკისმომგვრელი იყო უკრაინელი პოლიტიკოსებისა და ექსპერტებისთვის

**უკრაინა ყურადღებით უნდა დააკვირდეს მოსკოვში აშშ-ის სახელმწიფო მდივნის, ვიქტორია ნულანდის, რამდენიმე დღისწინანდელი ვიზიტისას უკრაინის საკითხის განხილვის შედეგებს.**

**ვიქტორია ნულანდისგან,** „მაიდნის“ რევოლუციის მშობელი დედისგან, რომელიც საკუთარი ხელით აჭმევდა ნამცხვრებს მაიდნის აქციის მონაწილეებს, ზურგში ასეთ დარტყმას კიევი ნამდვილად არ ელოდა. ნულანდის ვიზიტამდე ცოტა ხნით ადრე უკრაინის ბევრი მედიასაშუალება იმედოვნებდა, რომ ქალბატონი ვიქტორია „კრემლში იბრძოლებდა“ თავისი ღვიძლი (ყველა მნიშვნელობით) შვილებისთვის და დაიცავდა მათ ინტერესებს მოსკოვთან კამათში. კიევს ოპტიმიზმის საფუძველს აძლევდა უკრაინის პრეზიდენტის, **ვლადიმერ ზელენსკისა,** და მისი ამერიკელი კოლეგის, **ჯო ბაიდენის,** თეთრ სახლში შეხვედრა, როცა მათ ერთობლივ დოკუმენტში ნათქვამი არაფერი იყო არც დონბასის განსაკუთრებულ სტატუსზე და არც მინსკის ხელშეკრულებაზე; ხოლო კიევის მიერ ვაშინგტონისთვის შეთავაზებაზე, ჩართულიყო „ნორმანდიისეულ ფორმატში“, მასპინძელს არც არა უთქვამს და არც დიახ, ამიტომ ზელენსკის ოფისში ალაპარაკდნენ ამ ფორმატში საიმედო მფარველის გამოჩენაზე აშშ-ის სახით.

მაგრამ **ნულანდი მოსკოვში დიდი დღის წესრიგით ჩაფრინდა და მისი საუბარი რუსეთის პრეზიდენტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მოადგილე დიმიტრი კოზაკთან, რომელიც უფლებამოსილი იყო, ნულანდთან უკრაინის საკითხები განეხილა, სხვაგვარად წარიმართა.**

მოლაპარაკებების შედეგებზე საუბრისას **დიმიტრი კოზაკმა** განაცხადა: **„მოლაპარაკებების მიმდინარეობისას დადასტურდა ჟენევაში აშშ-ის მიერ გაცხადებული პოზიცია, რომ ავტონომიის სამომავლო პარამეტრების (სხვა სიტყვებით, უკრაინის შემადგენლობაში დონბასის განსაკუთრებული სტატუსის) შეუთანხმებლად კონფლიქტის რეგულირებაში პროგრესი თითქმის შეუძლებელია“.** მხარეებმა, აგრეთვე, დაადასტურეს, რომ უკრაინის სამხრეთ-აღმოსავლეთში კონფლიქტის მოგვარების ერთადერთი საფუძველი არის მინსკის შეთანხმება. „ნორმანდის ფორმატში“ ვაშინგტონის ჩართვაზე კი საუბარი არ ყოფილა. ამ საკითხში მხარეების თვალსაზრისების დამთხვევაზე მოწმობს ის, რომ მათ მოილაპარაკეს, განაგრძონ კონსულტაციები უკრაინის თემაზე. ეს ნიშნავს იმას, რომ „საუბარი საჭიროა სუზერენთან და არა ვასალთან“. ნულანდს არ უარუყვია კოზაკის ნათქვამი და, საერთოდ, თავიდან აირიდა კომენტარი. როგორც ჩანს, მას სირცხვილის ნატამალი მაინც შერჩა „მიტოვებული ხლოპცების“ (უკრ. ბიჭების — გ. გ.) მიმართ.

**ნულანდმა კიევის ინტერესების დაცვას შემოდგომის ფერებით მოხატული მოსკოვის დათვალიერება ამჯობინა. ეს ერთადერთი ცუდი ამბავი არ არის კიევისთვის. თეთრ სახლში განაცხადეს, რომ საბოლოოდ ამბობენ უარს „ჩრდილოეთის ნაკადი-2“-ის წინააღმდეგ სანქციების დაწესებაზე. ამასთანავე, მსოფლიო სავალუტო ფონდი უკრაინისთვის განკუთვნილ 2,7 მლრდ-იან ტრანშს მნიშვნელოვნად შეამცირებს — წლის ბოლომდე უკრაინას 1 მლრდ-ზე ცოტა მეტ თანხას გამოუყოფენ. ეს ქვეყნის ეკონომიკისთვის კატასტროფაა, რადგან ადრე გამოცხადებული 2,7 მლრდ დოლარი უკვე ჩადებულია მომავალი წლის ბიუჯეტში, ხოლო ბუნებრივ აირზე მომატებული გადასახადის გათვალისწინებით ბიუჯეტში უზარმაზარ ხვრელს მთავრობა ვერაფრით ამოავსებს.** უკრაინაში ამ ზამთარს ფინანსური გამყინვარებაც შეიძლება დაიწყოს. და, რადგან ცნობილია, რომ მსოფლიო სავალუტო ფონდს აშშ აკონტროლებს, ბუნებრივია, ჩნდება კითხვა — რატომ ასეთი სიმკაცრე „საიმედო სატელიტის“ მიმართ კიევის სახით?

საქმე ის არის, რომ **ზელენსკის საიმედოობა დიდ ეჭვს იწვევს ვაშინგტონში.** და ეს, ალბათ, დაკავშირებული არ არის იმ სპეკულაციებთან, **რომ თეთრ სახლს განზრახული აქვს, უკრაინის გაცვლა მოსკოვის უარზე, პეკინთან შექმნას კავშირი.** ასეთი „გაცვლა“ ამორალური და არატოლფასი იქნებოდა. ასეთ წინადადებას მოსკოვში „ვაშინგტონელი ბრძენების“ მორიგ პროვოკაციად მიიჩნევდნენ. თანაც, უკრაინაზე, როგორც რუსეთის დასუსტების ინსტრუმენტზე, ვაშინგტონი უარის თქმას, ალბათ, არ აპირებს.

**გამორიცხული არ არის, რომ ბოლო ინფორმაცია, რომელმაც ამერიკელების მოთმინების ფიალა აავსო, იყო ოფშორულ ზონებში ვლადიმერ ზელენსკის ანგარიშების შესახებ. და ეს არ არის უკრაინის პრეზიდენტის მხრიდან ბიუჯეტისთვის შემოსავლების დამალვის მცდელობა. ბრალდება უფრო სერიოზულია, ამ ანგარიშების მეშვეობით თეთრდებოდა და თეთრდება ოლიგარქ კოლომოისკის ბინძური ფული.** ჯერჯერობით გამოვლენილია 40 მლნ დოლარი. აშშ-ში კოლომოისკი ოდიოზური ფიგურაა, რადგან მას ამერიკაში ჩაჰქონდა არა მხოლოდ მოპარული ფული, როგორც სხვა „კეთილსინდისიერ“ საქმოსნებს, არამედ ამერიკელებსაც ძარცვავდა. მის წინააღმდეგ აშშ-ში სისხლის სამართლის დევნაა დაწყებული, ამიტომ თეთრ სახლს, როცა ზელენსკის „ოლიგარქებისკენ ბრძოლისკენ“ მოუწოდებს, უწინარესად, მხედველობაში ჰყავს კოლომოისკი და შემდეგ — **ვიქტორ მედვედჩუკის** ტიპის მოღვაწეები, და არა პირიქით. **იმის გაგებამ, რომ ზელენსკი დღემდე კოლომოისკის მარიონეტია, ვაშინგტონი შოკში ჩააგდო.**

აღსანიშნავია, რომ მოსკოვში ნულანდის ვიზიტის წინა დღეებისგან განსხვავებით, როცა უკრაინული მასმედია უამრავ კომენტარსა და პროგნოზს აქვეყნებდა ვიზიტის შედეგებზე, ახლა ძირითადი უკრაინული გამოცემები არაფერს აღარ წერენ.

როგორც ჩანს, **ნულანდის ვიზიტის შედეგები მოულოდნელი და შოკისმომგვრელი იყო უკრაინელი პოლიტიკოსებისა და ექსპერტებისთვის.** მხოლოდ არც ისე გონიერმა პოლიტიკურმა შამანმა და შეთავსებით სამმხრივი საკონტაქტო ჯგუფის უკრაინული დელეგაციის სპიკერმა, **ალექსეი არესტოვიჩმა,** დაინახა მოსკოვში ნულანდის ვიზიტის შედეგებში რაღაც სასარგებლო უკრაინისთვის, მაგრამ მას ყველგან და ყველაფერში მხოლოდ „პერემოგა“ (უკრ. — გამარჯვება — გ.გ.) ელანდება.

სხვა ანალიტიკოსები კი ყველას აფრთხილებდნენ: **მსოფლიოს ცენტრი არ არის უკრაინა. აშშ-ს ბევრი ინტერესი აქვს და ამერიკის საერთაშორისო დღის წესრიგში უკრაინა პირველ ადგილზე არ დგას.**

ერთ-ერთი უკრაინელი პუბლიცისტი წერს: უკრაინის საგარეო პოლიტიკა მიმდინარე წელს საბოლოოდ შევიდა სტრატეგიულ ჩიხში.

2021 წელს გაჩნდა დაუფარავი გაღიზიანება და იმედგაცრუება, რომელიც გამოვლინდა მაისში სახელმწიფო მდივნის, **ენტონი ბლინკენის,** კიევში ვიზიტსა და ივნისში **პუტინ-ბაიდენის** ჟენევის სამიტის შემდეგ. ერთიანი დასავლეთი, როგორც ასეთი, უკვე აღარ არსებობს. არის მხოლოდ ცალკეული ბლოკები, რომლებთანაც ცალ-ცალკე მუშაობაა საჭირო. აშშ-თან ურთიერთობაში კი უკრაინამ პიკს მიაღწია. სწორედ ამის შესახებ იყო ნულანდის ვიზიტი მოსკოვში.






ნულანდი მაიდანზე კიევში — „აიღეთ, აიღეთ, კიდევ მოგიტანთ!“ არ მოუტანა



რუსეთის პრეზიდენტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელი დიმიტრი კოზაკი, უკან ვიქტორია ნულანდი




ზელენსკი ახალი სახე არ არის, ის კოლომოისკის ნიღაბია



ვლადიმერ ზელენსკი

**fondsk.ru-ზე გამოქვეყნებული მასალის მიხედვით მოამზადა**
**გიორგი გაჩეჩილაძემ**

**ამერიკელი მშობლების პრეტენზია სულაც არ არის უაზრო ახირებები იმ დედებისა და მამებისა, რომლებმაც არ იციან, რით დაკავდნენ. ისინი ნამდვილად წუხან საკუთარ შვილებზე, მაგრამ რეჟიმმა იმის ნაცვლად, რომ შეშფოთებული მშობლები დაამშვიდონ, ისინი მყისვე ხალხის მტრებად გამოაცხადა.**

ჰუმანობა დემოკრატიის სახელით
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ამერიკის შეერთებული შტატების რეჟიმმა, მას შემდეგ, რაც საერთაშორისო ტერორიზმს ვერ გაუმკლავდა, ტერორისტების ძებნა თავის ტერიტორიაზე დაიწყო. გაგიკვირდებათ, მაგრამ ბოროტმოქმედებს მაშინვე მიაგნეს, თანაც — უამრავს.**

# ამერიკელი ძალოვანები, რომლებმაც, ოცი წელიწადია, ვერ გაარკვიეს, ვინ იყო 11 სექტემბრის ორგანიზატორი, ახლა ამერიკელ დედებს მიადგნენ

## თუ წინააღმდეგი ხარ, რომ შენი შვილი გეიპროპაგანდით გარყვნან, მაშინ, როგორც შიდა ტერორისტს, თავს ციხეში გიკრავენ





ზაფხულში **ჯო ბაიდენის** ადმინისტრაციამ მთავარი ტერორისტების სიაში ერთბაშად ჩაწერა ყველა თეთრი „სუპრემასისტი“ (სუპრემასიზმი — რწმენა, რომ გარკვეული რასა, მემკვიდრეობა ეთნიკური ჯგუფი, რელიგია, სქესი, საზოგადოებრივი მდგომარეობა ან კულტურა უპირატესია სხვებზე და მათზე დომინაციისა და მართვის უფლებას იძლევა — ნ.ბ. ), ახლახან კი „შინაური ტერორისტების“ ნუსხაში ამერიკელი სკოლის მოსწავლეების დედები და მამებიც მოხვდნენ. რა თქმა უნდა, ყველა არა, მხოლოდ ისინი, ვისაც არ მოსწონს თანამედროვე დღის წესრიგი, მთელი მისი ახირებული გადახრებით — თეთრების სიძულვილით დაწყებული, ლგბტ კულტით დამთავრებული. **ეს ადამიანები კონტროლზე პირადად აშშ-ის გენერალურმა პროკურორმა აიყვანა.**

ახლა **ასეთ მშობლებს თვალყურს მიადევნებს გამოძიების ფედერალური ბიურო (გფბ). როგორ მიადევნებს? როგორ და ჩხრეკით, დაკავებით, ინტენსიური დაკითხვებით. კარგია, თუ რომელიმე აქტიური მშობელი „თვითმკვლელი“ არ აღმოჩნდება: სხვაგვარად მოაზროვნეებს აშშ-ში ეს საკმაოდ ხშირად ემართებათ.** საქმე ის არის, რომ ჯერ კიდევ 2020 წელს, ტრამპის მმართველობისას, აშშ-ის დემოკრატიულმა პარტიამ სკოლებში თავისი „გადახდისა და მონანიების“ პროპაგანდის აქტიურად დანერგვას მიჰყო ხელი. **დღის წესრიგის გამავრცელებელ არხად იქცა ოლქების სასკოლო საბჭოები. მათი თანამშრომლების უმეტესობა დემოკრატიული პარტიის ინტერესებს ემსახურებოდა. მათი მეშვეობით სასკოლო წესდებებში შეიტანეს ისეთი გამაოგნებელი რამეები, როგორიცაა შეღავათები ლგბტ და ტრანსგენდერი მოსწავლეებისთვის.**

ამასთანავე, უნდა გვესმოდეს, რომ აშშ-ის სახელმწიფო სკოლაში წესდება, უბრალო ფურცელი კი არა, მკაცრი ინსტრუქციაა. მისი მცირე დარღვევის გამო მასწავლებელს სამსახურს დაატოვებინებენ, მოსწავლეს გარიცხავენ, ხოლო მის მშობლებს ძალოვანი უწყებების თანამშრომლები მიაკითხავენ. სასკოლო საბჭოების ძალაუფლება 50 მილიონ მოსწავლეზე, პრაქტიკულად, შეუზღუდავია. მათი ინსტრუქციების გაკრიტიკება კი ჯერ არავის უცდია. **ახლა უკვე ყველასთვის გასაგებია, რას წარმოადგენს დემოკრატიული დღის წესრიგი: ქრისტეფორე კოლუმბი ცუდი ადამიანი იყო, ამერიკის ისტორია უაზრო დანაშაულების სერიაა, თეთრი ამერიკელები პრაქტიკულად ახორციელებენ სისტემურ რასიზმს, შავკანიანებს კი ნაირნაირი ბონუსი ერგებათ. შავი უმცირესობების თემას ემატება სექსუმცირესობები და ბავშვებს პირდაპირ სთავაზობენ საკუთარ თავში ამ მრავალფეროვნების აღმოჩენას. ამ ბრიყვულ და უხამს აბდაუბდას ოთხი-ხუთი წლის მცირეწლოვნებს ტვინში უნერგავენ და ისინიც დადიან დემონსტრაციებზე პლაკატებით Fuck the Police. ბატიფეხურით წერენ თხზულებებს ჯორჯ ფლოიდის მძიმე ხვედრზე. ჭამოზრდილები კი, მოწიფულ ასაკში, საკუთარ თავში მოულოდნელად აღმოაჩენენ რომელიღაც ორმოცდამეთოთხმეტე გენდერს და ითხოვენ ჰორმონულ აბებს.**

რა დამოკიდებულება აქვთ მასწავლებლებს ამ ყველაფრისადმი? რა უნდა ქნან, ისინი ხომ სხვისი მონა-მორჩილნი არიან, პროფკავშირის წევრები? ეს ორგანიზაცია დემოკრატების განუყოფელი ნაწილია. მცირე რყევა დემოკრატიული პარტიის ხაზის წინააღმდეგ და მასწავლებელს გააძევებენ პროფკავშირიდანაც და პენსიას, სოცპაკეტსაც და ყველა სხვა ბონუსსაც დაემშვიდობება, ამიტომ ყველაზე პატიოსნები დუმან და ითმენენ, უფრო ეშმაკები კი დაუოკებელი ვნებით ერთვებიან დღის წესრიგში.

შედეგად, **აშშ-ის სახელმწიფო სკოლები, სულ რაღაც, ერთ წელიწადში გადაიქცა რაღაც პირქუშ ბალაგანად. ახლახან მრავალშვილიანმა დედამ, სტეისი ლენგტონმა, სკოლის საბჭოს სხდომაზე გამოსვლისას აუდიტორიას აჩვენა ორიოდე წიგნი იმ სკოლის ბიბლიოთეკიდან, რომელშიც მისი ოთხი შვილი სწავლობს. ესაა დასურათებული წიგნები პატარა ბიჭებისა და მოწიფული მამაკაცების სექსუალური ურთიერთობების შესახებ. ამ უგვანობის ციტირება სრულებით შეუძლებელია. ეს არის აშკარა პორნოგრაფია, რომლის გავრცელებაც ბავშვებს შორის, წესით, თავისუფლების აღკვეთით უნდა ისჯებოდეს.** წიგნები ფეირფაქსის ოლქის სასკოლო ბიბლიოთეკებში ყველასთვის ხელმისაწვდომი იყო და გაიცემოდა ბავშვებზე უკვე მეშვიდე კლასიდან, ანუ, როცა ბავშვებს თორმეტი წელი შეუსრულდებოდათ. საინტერესოა, რომ, როდესაც სტეისი ლენგტონმა ამ „ბესტსელერებიდან“ ციტატების კითხვა დაიწყო, სტუდენტური საბჭოს თავმჯდომარემ უყვირა: „შეწყვიტეთ, მემ! აქ ბავშვები არიან!“ შემდეგ ლენგტონმა თქვა, რომ მოსწავლეთა მშობლები მსგავსი შინაარსის მასალებს ქვეყნის ყველა კუთხიდან უგზავნიან. სტეისი ლენგტონი თავის ექვს შვილთან ერთად ვირჯინიაში ცხოვრობს. შტატი პროგრესული და დემოკრატიულია. ერთ-ერთ ოლქში **სკოლის საბჭომ ხმა მისცა ტრანსგენდერი მოსწავლეებისთვის სასკოლო ტუალეტებისა და გასახდელების საკუთარი შეხედულებისამებრ გამოყენებას იმ გენდერის მიხედვით, რომელსაც დილიდან თავი მიაკუთვნეს. მშობლებმა ამ გადაწყვეტილების გაპროტესტება სცადეს, მაგრამ სკოლის საბჭომ პოლიცია გამოიძახა და პოლიციელებმა მშობლები მიტყიპეს.**

სხვა დედამ, რომელმაც უცებ გაითქვა სახელი, **კიშა კინგმა,** სკოლებში კრიტიკული რასობრივი თეორიის პროპაგანდის წინააღმდეგ გამოსვლა გაბედა. სტეისი ლენგტონივით თეთრკანიანი რომ ყოფილიყო, ჩვენ შორის აღარ იქნებოდა, მაგრამ კიშა ინტელიგენტი შავკანიანი ქალბატონია და კატეგორიულად არ მოსწონს რასათა შორის სიძულვილის პროპაგანდა, რომლითაც მისი შვილის მასწავლებლები არიან დაკავებულნი. კინგი კონსერვატიულ ფლორიდაში ცხოვრობს, სადაც მშობლები უკვე ცდილობენ, შექმნან რაღაც გაერთიანებები, რომლებიც მემარცხენე გადახრის სასკოლო განათლებისთვის იბრძვიან, მაგრამ საკუთარი წარმატების თვითონაც არ სჯერათ. **კიშა დღეს ყველას მოუწოდებს, უბრალოდ, დატოვონ საჯარო სკოლები თავიანთი დღის წესრიგიანად და ბავშვები კერძო საგანმანათლებლო დაწესებულებებში გადაიყვანონ. იქ ისინი ასე მკაცრად არ კონტროლდებიან და მოსწავლეებს მართლაც აქვთ შანსი, ბავშვობა ნორმალურად გაატარონ, ითამაშონ ბეისბოლი, წაიკითხონ მარკ ტვენი და გასახდელში რასობრივად შეწუხებულ ტრანსგენდერებს არ გადააწყდნენ,** მაგრამ ამასაც აქვს სირთულეები. ამერიკელი ბავშვების მხოლოდ მეათედი სწავლობს კერძო სკოლებში, რადგან ეს საკმაოდ ძვირი სიამოვნებაა. სწავლის წლიური საფასური ათი ათასი დოლარიდან იწყება „დაწყებითებისთვის“ და თხუთმეტი ათასიდან — უფროსი კლასებისთვის. მრავალშვილიან მშობლებს არანაირი შეღავათი არ ეკუთვნით. განათლების ხარისხის გარანტიასაც არავინ იძლევა. ერთადერთი გამოსავალი, ალბათ, შინ სწავლაა. მოკლედ, **ჩვენ ვხედავთ, რომ ამერიკელი მშობლების პრეტენზია სულაც არ არის იმ დედებისა და მამების უაზრო ახირებები, რომლებმაც არ იციან, რით დაკავდნენ. ისინი ნამდვილად წუხან საკუთარ შვილებზე, მაგრამ რეჟიმმა იმის ნაცვლად, რომ შეშფოთებული მშობლები დაამშვიდონ, ისინი მყისვე ხალხის მტრებად გამოაცხადა.** არა, ეს სულაც არ არის მეტაფორა. აშშ-ის გენერალურმა პროკურორმა **მერიკ გარლანდმა** გამოსცა მემორანდუმი „სკოლის თანამშრომლებისა და მასწავლებლების მიმართ საფრთხეების წინააღმდეგ“. ახლა **მშობლებს, რომლებიც გაბედავენ ხმის ამოღებას სკოლის საბჭოს სხდომაზე, ხელისუფლება „შიდა ტერორისტებად“ შერაცხავს. გენპროკურორი მათ გფბ-ში დასმენის რეკომენდაციას იძლევა და უკვე ქმნის ძალოვან სტრუქტურას, რომელიც დაკავდება ურჩი მამებითა და დედებით. მასში შედიან გფბ-ს, ეროვნული უსაფრთხოების თანამშრომლები და სისხლის სამართლის საქმეთა გამომძიებლები.**

„მე მიყვარს მერიკ გარლანდი“, — ბღავის ცნობილი იურისტი **ალან დერშოვიცი,** „მაგრამ ძალის გამოყენება საჭიროა არა მხოლოდ მემარჯვენე, არამედ მემარცხენე აქტივისტების წინააღმდეგაც“. ამერიკაში ყველამ ჩინებულად იცის, რომ მშობლებთან შეხვედრებზე სკანდალებისა და შეხლა-შემოხლის უმეტესობას სწორედ მემარცხენეები — Antifa-სა და Black Lives Matter-ის წარმომადგენლები — აწყობენ. **სოცქსელები სავსეა ვიდეორგოლებით, რომლებშიც ბოდიპოზიტიური შავკანი მამაკაცები და ქალები აგინებენ თეთრ საზოგადოებას, რასისტების იარლიყს აწებებენ, საზოგადოება კი დუმს. ამ შავკანიანებს გენპროკურორი ტერორისტებად არ მიიჩნევს.**

აი სტეისი ლენგტონისა და კიშა კინგის მსგავს ადამიანებს კი, შესაძლოა, სერიოზული პრობლემები შეექმნეთ. **ლეგენდარული ამერიკელი ძალოვანები, რომლებმაც, ოცი წელიწადია, ვერ გაარკვიეს, ვინ იყო 11 სექტემბრის ორგანიზატორი, ახლა ამერიკელ დედებს მიადგნენ. თუ წინააღმდეგი ხარ, რომ შენი შვილი გეიპროპაგანდით გარყვნან, მაშინ, როგორც შიდა ტერორისტს, თავს ციხეში გიკრავენ...**

**ria.ru-ზე გამოქვეყნებული მასალის მიხედვით მოამზადა**
**ნინო ბერიძემ**

გეოპოლიტიკა
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ინგლისის დამარცხებისა და შეერთებული შტატებისგან გამოყოფის გარეშე ევროპული ინტეგრაციის ცენტრის წარმოქმნა არარეალურია. ნებისმიერი ევროპელი ინტეგრატორი ომის მდგომარეობაში აღმოჩნდება ორ ან სამ ფრონტზე. რუსეთი კი მხარს დაუჭერს ამას, რადგან ვითარება, როდესაც ერთი სახელმწიფო დომინირებს ევროპაში (არ აქვს მნიშვნელობა, ინგლისი, გერმანია თუ საფრანგეთი) საპირწონეებისა და შემაკავებლების გარეშე, რუსეთისთვის მიუღებელია.**

# შეუძლია თუ არა ევროპას აშშ-ის მეურვეობისგან თავის დაღწევა

**რომელი ფაქტორები აქცევს ევროპას ეკონომიკურ გიგანტად და, ამასთანავე, პოლიტიკურ ჯუჯად? როგორ შეიძლება ევროკავშირმა დაძლიოს ეს დილემა? იმის გასარკვევად, შეუძლია თუ არა ევროპას, თავი დააღწიოს აშშ-ის მეურვეობას და იქცეს დამოუკიდებელ მოთამაშედ, უპირველეს ყოვლისა, აუცილებელია, დავაზუსტოთ, რომ საუბარია ევროკავშირზე მის ამჟამინდელ კონფიგურაციაში, პლუს ბრიტანეთზე, რომელმაც ცოტა ხნის წინათ დატოვა ევროკავშირი, მაგრამ ზეგავლენას ახდენს ევროპული სასაქონლო ექსპორტის სიდიდეზე.**



**დაქუცმაცებულ ევროპას სჭირდება აშშ-ის არბიტრაჟი, რადგან დამოუკიდებლად კონსოლიდაციის უნარი არ შესწევს. რუსეთს ამით რომ არ ესარგებლა, ევროპამ სუვერენიტეტი აშშ-ს დაუთმო. ევროპის ამჟამინდელი ამბივალენტურობა არის მისივე პოლიტიკური სისუსტის წყარო. შეუძლებელია, დარჩე მრავალვექტორულად მსოფლიოს დაპირისპირებულ ბანაკებად დაყოფის ეპოქაში და ევროპაც ირჩევს აშშ-ის ბანაკს. მასთან ერთად აღდგება და მასთან ერთად დაიღუპება. რუსული მილსადენების მეშვეობით ამერიკულ და ჩინურ სკამებს შორის წონასწორობის დაცვის მცდელობა ევროპას, შესაძლოა, ძალიან ძვირი დაუჯდეს**

ევროპა ყოველთვის იყო მსოფლიო პოლიტიკის ცენტრი და, მისი პოტენციალის თვალსაზრისით, ყველაზე ძლიერი რეგიონი, მაგრამ ისტორიული დაქსაქსულობა ხელს უშლიდა ამ პოტენციალის გამოყენებაში. ევროპის ბირთვის შესახებ, რომელიც შედგება ექვსი ქვეყნისგან **(გერმანია, ნიდერლანდები, საფრანგეთი, იტალია, ბრიტანეთი, ბელგია),** შეგვიძლია ვთქვათ, რომ არა მხოლოდ გერმანია, არამედ თითოეული მათგანი სხვადასხვა ხარისხით არის ეკონომიკური გიგანტი და პოლიტიკური ჯუჯაც. ეს მახასიათებელი ასევე ეხება ევროკავშირსაც, რომელსაც დამფუძნებლებმა გადასცეს საერთო ეკონომიკური სიძლიერე და ინდივიდუალური პოლიტიკური სისუსტე.

სინამდვილეში **ევროპის პოტენციალი, თუნდაც ევროკავშირის სახით, საკმაოდ დიდია აშშ-ის ჩრდილიდან გასასვლელად. კრიზისის მიუხედავად, ევროკავშირის საგარეო სავაჭრო ბალანსი დადებით სალდომდეა დასული, ექსპორტ-იმპორტის მაჩვენებლები კი ყველაზე მაღალია მსოფლიოში.**

ევროკავშირი აკონტროლებს საქონლით საერთაშორისო ვაჭრობის 1/3-ს, ხოლო ჩრდილოეთ ამერიკის თავისუფალი ვაჭრობის ასოციაციასთან შედარებით (NAFTA) უპირატესობა აქვს: 33,4% და 32,6% — ეს ევროკავშირის წილია მსოფლიო სასაქონლო ექსპორტსა და იმპორტში 13,7%-ისა და 18,3% -ის წინააღმდეგ NAFTA-ს ანალოგიური მაჩვენებლების წინააღმდეგ, სადაც სავაჭრო ბალანსი, დიდი ხანია, შემცირდა უარყოფით სალდომდე, თანაც აშშ-ის ბლოკის ლიდერი კვლავ ინარჩუნებს საგარეო ვაჭრობის ქრონიკულ დეფიციტს. **საგარეო სავაჭრო კავშირების განვითარების თვალსაზრისით, ევროკავშირის მაჩვენებლები ამერიკის შეერთებული შტატებისაზე უკეთესია. სწორედ ესაა აშშ-ის დაინტერესების ერთ-ერთი მიზეზი, ჩართოს ევროკავშირი რუსეთისა და ჩინეთის წინააღმდეგ სანქციების პოლიტიკაში — სურვილი, შეანელოს თავისი პოტენციური კონკურენტის ეკონომიკური განვითარების ტემპი.** ევროკავშირის შემადგენლობიდან დიდი ბრიტანეთის გასვლისას, მისი მთლიანი ექსპორტის მაჩვენებელი 7,5-8,5%-ით შემცირდა და შეადგენს 31%-ს, მაგრამ დიდი ბრიტანეთის გარეშეც კი ევროკავშირი შეინარჩუნებს წამყვან პოზიციას სასაქონლო ექსპორტში.

ევროკავშირის ექსპორტი 2019-2020 წლებში წილების მიხედვით ასე გამოიყურებოდა: აშშ — 22%, დიდი ბრიტანეთი — 13%, ჩინეთი — 10,5% და 11%, შვეიცარია — 7,44%, რუსეთი — 4,09%, თურქეთი — 3,65%, იაპონია— 2,76%, ნორვეგია — 2,5%, სამხრეთი კორეა — 2,34%, კანადა — 1,73%, ანუ აშშ რჩება ევროკავშირის პროდუქციის გაყიდვის მთავარ ბაზრად, რომელსაც ამჟამად ალტერნატივა არ აქვს. **ევროკავშირის ექსპორტი აშშ-ში 400 მლრდ დოლარს, ხოლო ჩინეთში 230 მლრდ დოლარს შეადგენს. ესაა ამერიკის შეერთებულ შტატებზე ევროპის დამოკიდებულების ეკონომიკური მიზეზი.**

ევროკავშირის ეკონომიკური პოტენციალი ქმნის შესყიდვისუნარიანობის დიდ მოცულობას ევროპული ბაზრისთვის. საერთაშორისო სავალუტო ფონდის მონაცემებით, 2018 წელს ევროკავშირის მშპ-ს მოცულობამ 18.4 ტრილიონი დოლარი შეადგინა (აშშ-ში — 19.4 ტრილიონი დოლარი), მაგრამ PPP-ის (მსყიდველუნარიანობის პარიტეტი) გაანგარიშებით, ევროკავშირის მთლიანი შიდა პროდუქტი შეადგენს 21.1 ტრილიონ დოლარს, ანუ მსოფლიო მშპ-ის 26,6%-ს, ხოლო ამერიკის შეერთებული შტატებისა — 19,5 ტრილიონ დოლარს, ანუ 15,3%-ს. ევროკავშირის მოსახლეობა 512,6 მილიონზე მეტი ადამიანია, რაც 1,6-ჯერ მეტია აშშ-ის მოსახლეობაზე, მაგრამ ერთ სულ მოსახლეზე მშპ-ის მოცულობით, ევროკავშირი ოდნავ ჩამორჩება აშშ-ს — 41.1 ათასი დოლარი 59.6 ათასი დოლარის წინააღმდეგ.

ამრიგად, **ევროპისა და ამერიკის შეერთებული შტატების ეკონომიკური და დემოგრაფიული პოტენციალის შედარებისას შეიძლება ითქვას, რომ, თუ ევროპა პოლიტიკურად კონსოლიდირებული იქნება, მას შეეძლება, თავი დააღწიოს აშშ-ის მეურვეობას და გახდეს გლობალური ძალის დამოუკიდებელი ცენტრი, რომლის პროეცირებაც მის ინტერესებში შემავალ ნებისმიერ რეგიონშია შესაძლებელი, მაგრამ პოლიტიკურად გაყოფილი ევროპა, საკუთარი გლობალური ფინანსური ინსტიტუტების, ელიტის კონსოლიდაციის მექანიზმების არარსებობისა და ამერიკის შეერთებულ შტატებზე სამხედრო დამოკიდებულების გამო, ახლო მომავალში ვერ მოახერხებს ვაშინგტონის დიქტატისგან გათავისუფლებას.** ასეთი კონსოლიდაციისთვის ევროპას, უპირველეს ყოვლისა, სჭირდება ბრიტანეთის პოლიტიკური იზოლაცია, ხოლო მისი ჩართულობა ევროპის ეკონომიკაში ამას შეუძლებელს ხდის. ბრიტანეთის საკითხის გადაწყვეტის გარეშე ევროპის სუვერენიტეტი შეუძლებელია.

**ევროპის ისტორია მისი სახელმწიფოების ეროვნული ელიტების მტრობაა. ერთიანი ევროპული პროექტის შეუძლებლობა საშუალებას არ აძლევს გერმანულ-ფრანგულ-იტალიურ ბლოკს, შეძლოს ბრიტანეთის იზოლირება მის კუნძულზე. ჰიტლერი ნაპოლეონის შემდეგ ერთადერთი იყო, ვინც მჭიდროდ მიუახლოვდა ინგლისის იზოლაციისა და ევროპის კონსოლიდაციის საკითხის გადაწყვეტას გერმანიის ეგიდით.**

თუმცა „გლობალური გერმანიის“ პროექტს არ ჰქონდა ფინანსური შემადგენელი, იგი ეყრდნობოდა დოლარს (გერმანიის სამხედრო კრედიტები ამერიკის შეერთებული შტატებისგან, რომელთა მეშვეობითაც შესაძლებელი იყო გერმანული მარკის სტაბილიზაცია, ჰიპერინფლაციის შეჩერება და ეკონომიკური აღმასვლის დაწყება), აგრეთვე, გერმანული და ანგლო-ამერიკული ფინანსური და ინდუსტრიული ხელმძღვანელობის კავშირებს ჰოლანდიისა და შვეიცარიის მონაწილეობით. აშშ-მა აქ წამყვანი როლი ითამაშა და ამიტომაც სუვერენული გერმანული ფინანსური პროექტის არარსებობამ არ მისცა რეალიზების საშუალება ევროპის ოკუპაციის კვალდაკვალ. **ჰიტლერი ფინანსური საკითხის გადაწყვეტას გერმანიის სამხედრო გამარჯვების შემდეგ აპირებდა, მაგრამ ეს ასე არ მოხდა, რადგან კოლონიები, რომლებიდანაც შესაძლებელი იყო რესურსების ამოქაჩვა გაჭიანურებული ომისთვის, ეკუთვნოდა ინგლისს, საფრანგეთსა და აშშ-ს. რუმინეთის ნავთობის საბადოები და ჩეხეთის ქარხნები საკმარისი არ აღმოჩნდა. გერმანია ეკონომიკურად სუსტი იყო გლობალური დომინაციისთვის და ეს სისუსტე ვერ კომპენსირდებოდა სამხედრო საშუალებებით.**

ისტორიამ აჩვენა, რომ შეუძლებელია ევროპის კონსოლიდაცია ერთი რომელიმე ევროპული ქვეყნის სიძლიერეზე დაყრდნობით, რადგან ბრიტანეთი ეყრდნობა ამერიკის შეერთებული შტატების ძლიერებას. **ინგლისის დამარცხებისა და შეერთებული შტატებისგან გამოყოფის გარეშე ევროპული ინტეგრაციის ცენტრის წარმოქმნა არარეალურია. ნებისმიერი ევროპელი ინტეგრატორი ომის მდგომარეობაში აღმოჩნდება ორ ან სამ ფრონტზე. და რუსეთი მხარს დაუჭერს ამას, რადგან ვითარება, როდესაც ერთი სახელმწიფო დომინირებს ევროპაში (არ აქვს მნიშვნელობა, ინგლისი, გერმანია თუ საფრანგეთი) საპირწონეებისა და შემაკავებლების გარეშე, რუსეთისთვის მიუღებელია.** შედეგად, ევროპის ინტეგრაცია გაგრძელდა ამერიკის შეერთებული შტატების მხარდაჭერით. ევროს ფინანსური სიძლიერე დამოკიდებულია აშშ-ის დოლარსა და მის საერთაშორისო ინსტიტუტებზე, ხოლო მსოფლიო ვაჭრობა, რომელიც ევროპას ეკონომიკურ გიგანტად აქცევს, ხორციელდება ზღვით და კონტროლდება შეერთებული შტატების მიერ. სწორედ ეს წარმოაჩენს ევროპას პოლიტიკურ ჯუჯად.

**ევროპისთვის სახმელეთო ალტერნატივა შესაძლებელია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ჩინეთი და შეერთებული შტატები ამოწურავენ თავიანთი დაპირისპირების პოტენციალს და ცხადი იქნება, რამდენად წარმოიქმნება ევროპისთვის ამერიკული ბაზრისა და სამხედრო „ქოლგის“ ალტერნატივა. ბოლო ხანებამდე ევროპა თავს არიდებდა სამხედრო ხარჯების გაზრდას და ამას შეერთებულ შტატებს აკისრებდა.**

ჩინეთი და რუსეთი ევროკავშირისა და აშშ-ის გეოპოლიტიკური მოწინააღმდეგეები არიან, რაც უბიძგებს ევროკავშირს შეერთებულ შტატებთან ალიანსისკენ. აშშ-თან დაპირისპირება უფრო მეტად ასუსტებს ევროკავშირს, ვიდრე აძლიერებს, ვინაიდან ევროკავშირს ჯერ კიდევ არ შეუძლია, შეავსოს ამერიკული ძალის ვაკუუმი ერთიანი პოლიტიკური და სამხედრო ინსტიტუტების არარსებობის გამო. ევროპის პოლიტიკური ელიტა აშშ-მა ჩამოაყალიბა მეორე მსოფლიო ომის შედეგად და ევროპაში ნებისმიერი ანტიამერიკანიზმი მარგინალიზებული იქნება. **ამრიგად, მიუხედავად ევროპის პოტენციური მზადყოფნისა, თავი დააღწიოს აშშ-ის მეურვეობას, ეს არ მოხდება ევროპაში ანგლო-ამერიკული ბლოკის კრახისა და ევროპული ბიზნესის უნარის გარეშე, ალტერნატივა გამოუძებნოს ამერიკულ ბაზარს. რუსეთისა და გერმანიის ბუნებრივი აირის პროექტები აახლოებს ამ შესაძლებლობას, მაგრამ გერმანიასაც კი არ შეუძლია პროამერიკული ლობის იზოლირება საკუთარ თავში.**

სანამ ევროპა ემზადება რუსეთთან საბრძოლველად (თუნდაც ნატოს სახით, აშშ-ის ხელით), ის ვერ მიაღწევს სუვერენიტეტს. თუკი სუბიექტობა შესაძლებელი იქნება ევროკავშირში, მაშინ მხოლოდ გერმანია უხელმძღვანელებს ასეთ მოძრაობას. ეს კი ნიშნავს, რომ მისი მთავარი მტრები უნდა იყვნენ არა რუსეთი და ჩინეთი, არამედ ინგლისი და საფრანგეთი. აღმოსავლეთში ეს იქნება პოლონეთი, ბალტიის ქვეყნები, ჩეხეთი და უკრაინა, ანუ ანგლო-ამერიკელთა ყველა ამჟამინდელი ვასალი, რომელთა ელიტაც სენიორების კრახს პირად კრახად აღიქვამს. სანამ გერმანია წყვეტს ჰიტლერის პრობლემას: ვინ არის მისი მთავარი მტერი — რუსეთი თუ ინგლისი, და მიდრეკილია ინგლისთან ალიანსისკენ რუსეთის წინააღმდეგ, ევროპა ვერ იქნება სუვერენული და კონსოლიდირებული ამერიკის შეერთებული შტატების გარეშე. რუსეთისგან მომავალი საფრთხე ერთადერთი საშუალებაა, ევროპა აშშ-მა დაიმორჩილოს.

**დაქუცმაცებულ ევროპას სჭირდება აშშ-ის არბიტრაჟი, რადგან დამოუკიდებლად კონსოლიდაციის უნარი არ შესწევს. რუსეთს ამით რომ არ ესარგებლა, ევროპამ სუვერენიტეტი აშშ-ს დაუთმო. ევროპის ამჟამინდელი ამბივალენტურობა არის მისივე პოლიტიკური სისუსტის წყარო. შეუძლებელია, დარჩე მრავალვექტორულად მსოფლიოს დაპირისპირებულ ბანაკებად დაყოფის ეპოქაში და ევროპა ირჩევს აშშ-ის ბანაკს. მასთან ერთად აღდგება და მასთან ერთად დაიღუპება. რუსული მილსადენების მეშვეობით ამერიკულ და ჩინურ სკამებს შორის წონასწორობის დაცვის მცდელობა ევროპას, შესაძლოა, ძალიან ძვირი დაუჯდეს.**

russtrat.ru-ზე
გამოქვეყნებული მასალის
მიხედვით მოამზადა
**ნინო ბერიძემ**

პანოპტიკუმი
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**იცით თუ არა, რომ ტექსტი ბედნიერებაზე, დაწერილი მთელი გულით, პრაქტიკულად, აკრძალულია და ის ჰიტ-აღლუმების სათავეში არასოდეს მოხვდება? იმიტომ, რომ ყველა „მსოფლიო ვარსკვლავი“ ერთგვარი დახურული კლუბის წევრია და, თუ მათ სურთ საუკეთესოთა შორის ყოფნა, ფული და დიდი აუდიტორია, უნდა შეასრულონ განსაკუთრებული წესები.**

# პოზიტიური ტექსტები ბედნიერებაზე აკრძალულია

**სულაც არ არის შემთხვევითი, რომ სიმღერებში უბედურ სიყვარულზე მღერიან, წერენ საშინელ წიგნებს, იღებენ საზიზღარ ფილმებს, როცა შეიძლება კარგისა და შთამაგონებელის შექმნა. როგორ ფიქრობთ, სიმღერებს გასართობად წერენ თუ გასამრჯელოსთვის?**

იცით თუ არა, რომ ტექსტი ბედნიერებაზე, დაწერილი მთელი გულით, პრაქტიკულად, აკრძალულია და ის ჰიტ-აღლუმების სათავეში არასოდეს მოხვდება? იმიტომ, რომ ყველა „მსოფლიო ვარსკვლავი“ ერთგვარი დახურული კლუბის წევრია და, თუ მათ სურთ საუკეთესოთა შორის ყოფნა, ფული და დიდი აუდიტორია, უნდა შეასრულონ განსაკუთრებული წესები. რატომ არის ეს სფერო ასეთი კონტროლის ქვეშ?

გალექსილი ტექსტი უფრო ადვილად დასამახსოვრებელია და თავისით იწყებს გონებაში ტრიალს. მუსიკა ამატებს განცდებს და ამ ერთობლიობას შეჰყავს ადამიანი განსაკუთრებულ მდგომარეობაში, როცა წარმოთქმული სიტყვები იწყებს მატერიალიზაციას. ამისთვის საჭიროა ტექსტის, სულ ცოტა, სამჯერ გამეორება, ამიტომაცაა, რომ მისამღერი მეორდება სამჯერ და მეტჯერ. რაც უფრო მოგწონთ მუსიკა, მით უფრო სწრაფად აგიხდებათ ამ სიმღერის ტექსტში ჩადებული პროგრამა. უდიდესი ძალა აქვს თვითონ პიროვნებასაც, რომელიც მოცემულ კომპოზიციას ასრულებს, რადგან იგი მსმენელს გადმოსცემს საკუთარ და ავტორების შინაგან მდგომარეობას და ვიბრაციებს. მას შეუძლია ლამაზი სიმღერის შესრულება ნეიტრალური ტექსტითაც, მაგრამ, თუ შემსრულებლის შინაგანი სამყარო დრამითა და ნეგატივითაა სავსე, იგი ამას მსმენელებზეც აფრქვევს. შეიძლება ითქვას რუსულ ჯგუფ „ლასკოვი მაის“ მაგალითზე: სულისშემძვრელ სიმღერებს წერდა ადამიანი, რომელიც გალოთებული იყო და პრობლემები ჰქონდა პირად ცხოვრებაში, ხოლო ამ სიმღერებს ასრულებდა უპატრონო ბავშვთა სახლის აღსაზრდელთა გუნდი. მათ კონცერტებზე გოგოები ტიროდნენ და ისტერიკა ემართებოდათ. დიდი აუდიტორიისთვის შესრულებული სიმღერა მრავალჯერ აძლიერებს აუდიტორიისთვის გადასაცემ პროგრამას და კიდევ უფრო მეტ ძალას სძენს მას. „ლასკოვი მაის“ შემოქმედებაში, პრაქტიკულად, არ არის პოზიტიური სიმღერები, ამიტომაც იყო ამდენი სუიციდი მათ ფანატებს შორის და ბევრს დაენგრა პირადი ცხოვრება. მაგრამ ეს ჯერ კიდევ დასაწყისი იყო. ის, რაც ახლა ხდება, დაკანონებულ სატანიზმს ჰგავს. თითქმის ყველა მსოფლიო დონის მომღერალმა, ასე თუ ისე, აღიარა, რომ სული ეშმაკს მიჰყიდა და მოგვიანებით ინანეს ეს. დიახ, მოიპოვეს პოპულარობა და ფული, მაგრამ, თუ მათ თვალებში ჩახედავთ, მოუნელებელ ტკივილს დაინახავთ. ასეთი ტკივილი და გამოუვალი მდგომარეობა მხოლოდ იმ ადამიანებშია, რომლებმაც სული დაკარგეს და რომლებსაც უკვე არაფერი აღარ უხარიათ. ამას ემატება ის, რომ უკან დასახევი გზა აღარ აქვთ და იძულებულნი არიან, იმღერონ და გამოხატონ მხოლოდ ის, რასაც ბატონი შეუკვეთს. ბატონი უზრუნველყოფს ნახვას და რეიტინგებს, მაგრამ თვითონ მომღერალი უკვე ბუნდოვნად ხვდება, რომ მას მოუწევს პასუხისმგებლობის აღება იმაზე, რამდენი დაიღუპება მისი უშუალო მონაწილეობით. ეს შინაგანი ტკივილი არ აძლევს მათ მოსვენებას, აიძულებს, ალკოჰოლსა და ნარკოტიკებს მიეძალონ, რათა თუნდაც მცირე ხნით დაივიწყონ ყველაფერი. ეს ხელს აძლევს მათ პატრონებსაც. რამდენადაც ეს ავადმყოფური ტრანსლაცია იღვრება ახალგაზრდა ფანატების მყიფე ფსიქიკაზე, — და ეს მიმართულია სწორედ ამ აუდიტორიაზე, — ასნებოვნებს და აბინძურებს მათ სუფთა სულებს. ამიტომაც შემოყარეს ამდენი გეი და ნარკომანი მუსიკის სფეროში, რათა მსმენელთა აუდიტორია ახლა ამ სიმახინჯეებით დაასნებოვნონ. კონტრაქტის გაწყვეტას ვინც ცდილობს, მათ, უბრალოდ, იშორებენ. თითოეულმა უნდა გადავხედოთ დამოკიდებულებას ამ თემის მიმართ, გავიგოთ, რა კოლოსალური მნიშვნელობა აქვს მას. უნდა გვახსოვდეს, რომ სიმღერის ტექსტები შეიძლება ერთი თვის განმავლობაში, ანუ ძალიან სწრაფად აგვიხდეს. საჭიროა, ჩავატაროთ რევიზია და დავივიწყოთ თუნდაც ძალიან ლამაზი და მოსასმენად სასიამოვნო, მაგრამ ნეგატიური შინაარსის სიმღერები, რადგან, როგორც წესი, ყველაზე ტრაგიკული ტექსტები სწორედ ძალიან ლამაზ მუსიკაზეა დადებული. ამის გამო ხომ არ არის თანამედროვე სამყაროში ამდენი სასიყვარულო დრამა და განქორწინება?



ფანატები „ლასკოვი მაის“ კონცერტზე

სიმღერების ტექსტებით, აგრეთვე, ხდება დაპროგრამება ალკოჰოლზე, ნარკოტიკებზე, მრუშობაზე, სიბინძურეზე, სკანდალებზე, დაშორებაზე, ტკივილზე, ტრაგედიაზე, წარმოთვამენ სიტყვებს სულის ეშმაკისთვის მიყიდვაზე და ა.შ. ყოველივე ეს მაგიური შელოცვაა და ასე ხდება კონტრაქტის დადება ეშმაკთან. მაგრამ, როცა იცი, როგორ მუშაობს ეს, მაინც შეიძლება თქვენთვის შესაფერისი პროგრამის მქონე სიმღერის პოვნა და მოსმენა. წაიკითხეთ იმ უცხოური სიმღერების თარგმანიც, რომელიც მოგწონთ. შეიძლება თვითონ დაწეროთ პოზიტიური ლექსი და ასე დააპროგრამოთ თქვენი ცხოვრება წარმატებაზე. კიდევ უფრო კარგია, როცა თვითონ შეგიძლიათ ლამაზი ტექსტებისა და მუსიკის წერა.

# აშშ-ში ლოჯისტიკური კოშმარია

## ჯო ყველაფერში ტრამპს დაადანაშაულებს. ეს უფრო მარტივია, ვიდრე სინამდვილეში რაღაცის გაკეთება

**აშშ-ში სამუშაო ძალის ნაკლებობამ მიწოდებების სფეროში მასობრივი ჩავარდნები გამოიწვია. ბობ ნარდელი, მსოფლიოში სახლის მოწყობისთვის საჭირო საქონლის უმსხვილესი რიტეილერ Home Depot და Chrysler-ის გენერალური დირექტორი, გვაფრთხილებს, რომ პრობლემა შეიძენს ნაციონალური მასშტაბის საგანგებო ვითარების ხასიათს. Fox News-ის ეთერში ნარდელმა წამოაყენა წინადადება, რომ აშშ-ში გამოცხადდეს საგანგებო მდგომარეობა, რაც სამხედროებს მისცემდა საშუალებას, მონაწილეობა მიეღოთ ტვირთების ტრანსპორტირებაში.**

## ამერიკული სოცქსელების მიმოხილვა




* **„ბაიდენი ქმნის კრიზისს ერთმანეთის მიყოლებით. ჩვენ ქვეყანა უნდა მოვიყვანოთ ჯანსაღ მდგომარეობაში და უზრუნველვყოთ ამერიკელი მოქალაქეების რეალური სათანადო წარმომადგენლობა. ესაა ის, რაც ახლა ამერიკას სჭირდება“,** — წერს Tres Perro Noche.

* „შესაძლოა, Home Depot-ი არ უნდა ერეოდეს პოლიტიკაში, მაგალითად, ვირჯინიაში ხმის მიცემის შესახებ კანონის მიღებაში. ბიზნესმა თავისი საქმე უნდა აკეთოს, მთავრობამ კი შორს დაიჭიროს თავი ბიზნესისგან. ვიმედოვნებ, მსხვილი ბიზნესი და საინფორმაციო საშუალებები დატკბებიან იმით, რომ მათ წვლილი შეიტანეს ისეთი ვითარების შექმნაში, როცა მთავრობა აკონტროლებს ყველაფერს. ჩინეთი, რუსეთი, კუბა ხედავენ, როგორ ზის თქვენი ბიზნესი უბრალოდ ოფშორში“, — აღნიშნავს Free2Speak954.

* „ნუ გადაუხდით ადამიანებს იმის გამო, რომ ისინი, უბრალოდ, შინ სხედან. ნუ მისცემთ მათ უფასო ფულს, ადამიანებს დაუტოვეთ არჩევანი — იმუშაონ თუ იშიმშილონ“, — წერს drinkdrankdrunk.

* „კეთილი იყოს თქვენი მობრძანება ქვეყანაში, რომელსაც მართავენ ადამიანები, რომლებმაც არ იციან განსხვავება კაცსა და ქალს შორის“, — აღნიშნავს **incorrect.**

* „ვინ იფიქრებდა, რომ აშშ-ში დადგებოდა განაწილების პრობლემა. ტრანსპორტის მინისტრი გახდა პატარა ქალაქის მერი, რომელსაც არანაირი სამუშაო გამოცდილება არ გააჩნია ტრანსპორტის სფეროში. როგორ შეიძლება, რამე რიგზე არ იყოს?“ – ირონიულ „საგონებელშია“ worldgonemad082.

* „ვიმედოვნებ, რომ, როცა პატარა დემოკრატები ვერ მიიღებენ ყველა სადღესასწაულო საქონელს, რომელიც მათ სურთ, ისინი, ბოლოსდაბოლოს, მიხვდებიან, რომ დიდი შეცდომა დაუშვეს“, — კომენტარს აკეთებს LowKey52.

* „მათ სურთ, რომ სამხედროებმა გააკეთონ ყველაფერი, მტრისგან ამერიკის დაცვის გარდა“, — ხაზს უსვამს happyru.

* „ნუთუ ადამიანები ვერ ხვდებიან, რომ მიზანს წარმოადგენს ეკონომიკის დანგრევა?“ — გაკვირვებულია charliehustleagain.

* „თუ ამას შეხედავთ, მიხვდებით, რომ ბაიდენმა ფარხმალი დაყარა. ტრამპი დაიკაპიწებდა ხელებს და ყველაფერს გამოასწორებდა, სანამ რომელიმე ჩვენგანი გაიგებდა ამის შესახებ“, — თვლის ExposeTheDems.

* „მე თითქმის დარწმუნებული ვარ, რომ ჯო ყველაფერში ტრამპს დაადანაშაულებს. ეს უფრო მარტივია, ვიდრე სინამდვილეში რაიმეს გაკეთება, რათა გადაწყდეს პრობლემა“, — აღნიშნავს daveinwyoming738.

* „რატომ უნდა მოხდეს მთავრობის (შეიარაღებული ძალების) გამოყენება იმ პრობლემის გადასაწყვეტად, რომელიც მთავრობამ გამოიწვია? უბრალოდ, შეაჩერეთ ყველა მანდატი ვაქცინებზე და ყველაფერი თავის ადგილს დაუბრუნდება, მაგრამ ბაიდენს არ სურს უარის თქმა თავის პოლიტიკაზე, რომელიც ქვეყანას ანგრევს“, — მიუთითებს Johnson19088.

* „სამუშაო ძალის ნაკლებობის პრობლემის მარტივ გადაწყვეტას წარმოადგენს უმუშევრობის შემცირება შრომისუნარიანი ადამიანებისთვის თავისუფალი სამუშაო ადგილების არსებობის დროს! კოლეჯის სტუდენტები, რომელთა სწავლასაც სახელმწიფო აფინანსებს, უნდა მუშაობდნენ გამოსასვლელ დღეებში, რათა დაეხმარონ ქვეყანას, შეინახოს მათი ზარმაცი უკანალები“, — რადიკალურად აცხადებს MissouriRichard.

* „მიდი, კაპიტალიზმო, გაათანაბრე მოთხოვნა და მიწოდება!“ — ირონიულად აცხადებს PaPride.

აშშ-ის საცალო ვაჭრობის გიგანტმა PaPride-მ დაიწყო ხომალდების დაქირავება მიწოდების სფეროში გლობალური ჩავარდნების ფონზე, რაც საფრთხეს უქმნის დღესასწაულების სეზონს, რომელზეც დამოკიდებულია საცალო ვაჭრობის წარმატება.

„ხომალდების დაქირავება ინვესტიციების მხოლოდ ერთი მაგალითია, რომელიც გავაკეთეთ, რათა რაც შეიძლება უფრო სწრაფად მოხდეს საქონლის გადატანა“, — განაცხადა **ჯო მეტცგერმა,** Walmart-ის აშშ-ში მიწოდების ჯაჭვის ოპერაციების ვიცე-პრეზიდენტმა. ამ წელს კომპანიამ უკვე რამდენიმე ხომალდი დაიქირავა.

„მიზანი მდგომარეობს იმაში, რომ მოხდეს გადატვირთული პორტების გვერდის ავლა და უზრუნველყოფილ იქნას სივრცე ხომალდებისთვის იმ ფონზე, როცა COVID-19-მა და სავაჭრო დაპირისპირებამ აშშ-სა და ჩინეთს შორის, აგრეთვე, მოწყობილობების ნაკლებობამ გააშიშვლეს მიწოდების გლობალური ხაზების სიმყიფე, რომელსაც ჩვენ ვიყენებთ ყველაფრისთვის — კვების პროდუქტებითა და სამოსით დაწყებული, სასმელითა და პამპერსით დამთავრებული“, — დასძინა მეტცგერმა.

**ჯოზეფ ტერნერი**

# ფოსტა

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**დებატებში ვიწვევ საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრს, ბატონ დავით ზალკალიანს მხოლოდ ერთ თემაზე — მან უნდა დაგვისაბუთოს, მისთვის სათაყვანებელ ნატოს ორგანიზაციაში გაერთიანება საქართველოს რა სარგებლობას მოუტანს, ხოლო მე დავუმტკიცებ ბატონ დავითს, რა უბედურების მომტანია ნატოში საქართველოს გაწევრება.**

# პოლიტიკური მინიატურები





**საქართველოს გეოგრაფიული სივრცის კარნახით მკითხველს განსასჯელად პოლიტიკურ მინიატურებს ვთავაზობ.**

* * *

მე, ლამის 92 წლის ბერიკაცი, ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორი, პოლიტოლოგი და გეოპოლიტიკოსი, ქუთაისის უმაღლეს სასწავლებლებში საზოგადოებრივ-პოლიტიკური დისციპლინების სწავლების 60-წლიანი გამოცდილებით, დებატებში ვიწვევ საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრს, ბატონ **დავით ზალკალიანს** მხოლოდ ერთ თემაზე — მან უნდა დაგვისაბუთოს, მისთვის სათაყვანებელ ნატოს ორგანიზაციაში გაერთიანება საქართველოს რა სარგებლობას მოუტანს, ხოლო მე დავუმტკიცებ ბატონ დავითს, რა უბედურების მომტანია ნატოში საქართველოს გაწევრება. საბედნიეროდ, ნატოს დე იურე წევრად საქართველოს არასოდეს მიიღებენ. ნატოს დე ფაქტო წევრად კი... აშშ-დასავლეთი საქართველოს გეოგრაფიულ სივრცეს, სამწუხაროდ, დიდი ხანია, იყენებს, რამაც თავზე ბევრი უბედურება დაგვატეხა. რას ნიშნავს საქართველოს დე ფაქტო წევრობა ნატოში — ამის შესახებ მკითხველს „საქართველო და მსოფლიოს" ა.წ. 14 ივლისის ნომერში ვესაუბრე. იმედი უნდა ვიქონიო, რომ ბატონი დავითი დებატებზე დამეთანხმება. ვთხოვ „საქართველო და მსოფლიოს" სარედაქციო კოლეგიას, დაგვითმოს გაზეთის გვერდი დებატების მასალის გასაშუქებლად.

**პროკურატურას ერთი სიტყვითაც არ უხსენებია სააკაშვილის ყველაზე მასშტაბური დანაშაული, როგორიცაა 2008 წლის 8 აგვისტოს ცხინვალში შეჭრა და საომარი მოქმედების გაჩაღება. სააკაშვილისა და მისი ნაცების ამ ავანტიურამ ზვარაკად შეიწირა ჩვენი ჯარისკაცები, მშვიდობიანი მოსახლეობა, ჩახოცეს იქ გაეროსა და ეუთოს ეგიდით ჩაყენებული რუსი მშვიდობისმყოფელები, რასაც შედეგად მოჰყვა რუსეთის აგრესია; ათიათასობით ქართველი ლტოლვილად იქცა, დავკარგეთ ქვეყნის ტერიტორიის 20 პროცენტი**

* * *

1 ოქტომბერს, საზოგადოებრივი მაუწყებლის საინფორმაციო გადაცემა „მოამბის" 21 საათის გადაცემაში საქართველოს გენერალურმა პროკურატურამ **სააკაშვილის** მიერ ჩადენილი დანაშაულების სია წარმოადგინა. საოცარი იყო ის, რომ **პროკურატურას ერთი სიტყვითაც არ უხსენებია სააკაშვილის ყველაზე მასშტაბური დანაშაული, როგორიცაა 2008 წლის 8 აგვისტოს ცხინვალში შეჭრა და საომარი მოქმედების გაჩაღება. სააკაშვილისა და მისი ნაცების ამ ავანტიურამ ზვარაკად შეიწირა ჩვენი ჯარისკაცები, მშვიდობიანი მოსახლეობა, ჩახოცეს იქ გაეროსა და ეუთოს ეგიდით ჩაყენებული რუსი მშვიდობისმყოფელები, რასაც შედეგად მოჰყვა რუსეთის აგრესია; ათი ათასობით ქართველი ლტოლვილად იქცა, დავკარგეთ ქვეყნის ტერიტორიის 20 პროცენტი, როგორ შეიძლება პროკურატურა ყოველივე ამაზე დუმდეს?!** დუმს პროკურატურა, დუმს „ოცნების" ხელისუფლებაც — ესენი ძია სემმა აიძულა, სააკაშვილის უმძიმეს დანაშაულზე პირი აეკრათ, შედეგად კი მივიღეთ ის, რომ დღეს სააკაშვილი და მისი ნაცები უკიდურესად თავხედობენ. ეს იმას ნიშნავს, რომ ისტორია არ გვაპატიებს ფაქტების მიჩქმალვას — გააცნობიერეთ ეს ჭეშმარიტება, ხელისუფალნო!

**გივი გურეშიძე**
**ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორი, პოლიტოლოგი ქუთაისიდან**

## რეპლიკა



ომარ მარგველაშვილი

### ახლა შეგიძლიათ ისიამოვნოთ ბუღაძისეული პერფორმანსით

**უბადრუკი ვაიინტელიგენციის ხელმოწერები ფსქიკაშერყეული ჯალათის გათავისუფლების მოთხოვნით, წლების წინათ „წითელი ინტელიგენციის" მიერ თვითმფრინავის ბიჭების დახვრეტის მოთხოვნის წერილზე ხელმოწერების ამბავს მაგონებს.**

**ახლა შეგიძლიათ აფურთხოთ ერთმანეთს, ისიამოვნოთ ბუღაძისეული პერფორმანსით.**

**ომარ მარგველაშვილი**



# შემზარავი ტრაგედია ბათუმში




**სიტყვის ოსტატი არ ვარ და სხვანაირად ვერ შევძელი ამ წერილის დასათაურება, ემოციურად რომ მეჩვენებია ის განცდა, ფიქრი თუ სულიერი ტკივილი, რომელიც ბათუმში 8 ოქტომბრის ნგრევის მსხვერპლთა ტრაგედიამ განმაცდევინა სრულიად საქართველოსთან ერთად.**

ჭეშმარიტად შექების ღირსია საზოგადოებრივი მაუწყებელი, მისმა ჟურნალისტებმა უწყვეტ ნაკადად სადღელამისო გადაცემა გვაჩვენეს მომხდარი ტრაგედიის გარშემო. ტელეეკრანზე ვიხილეთ მაშველთა ნამდვილად გმირული, თავდადებული და ხშირად საფრთხის შემცველი შრომა, ნანგრევებიდან ადამიანების გამოყვანისათვის რომ გაწიეს; ისინი ღირსეულ პატივგებას იმსახურებენ ავტოკრანებისა თუ სატვირთო ავტომობილების მომსახურე პერსონალთან ერთად.

ბათუმში მომხდარი ტრაგედია ისეთი მასშტაბური, შინაარსით ძალზე მტკივნეული და ბევრის მთქმელია, რომ იგი დავიწყებასა და არქივში გადანაცვლებას ვერ დაექვემდებარება. ის მარად დაუვიწყარ მწარე გაკვეთილად უნდა დარჩეს. გამოვთქვამ სურვილს:

დიდად სასარგებლო იქნება, თუ ორ სერიად მოვამზადებთ დოკუმენტურ სატელევიზიო ფილმს სახელწოდებით „2021 წლის 8 ოქტომბრის ტრაგედია ბათუმში". ფილმს საფუძვლად დაედება ის სიუჟეტი, რომელიც დაწვრილებით გვაჩვენეს საზოგადოებრივი მაუწყებლის შესანიშნავმა ჟურნალისტებმა. საჭირო იქნება მხოლოდ პროფესიონალი კინორეჟისორი, რომელიც ჟურნალისტების მიერ მიწოდებულ მდიდარ მასალას კინოფილმად აქცევს. ასეთ ფილმში ლაპარაკი უნდა იყოს მიზეზებზე, რომლებმაც გამოიწვია აღნიშნული ნგრევა-კატასტროფა, ვის მიუძღვის ბრალი და ა.შ.

შექმნილი დოკუმენტური ფილმი პერიოდულად უნდა ვუჩვენოთ საზოგადოებას, რათა მსგავსი რამ აღარასოდეს განმეორდეს.

დაბეჯითებით დავასკვნი: ბათუმის 8 ოქტომბრის ტრაგედია დავიწყებასა და არქივში გადანაცვლებას არ ექვემდებარება!

**გივი გურეშიძე,**
**ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორი,**
**პოლიტოლოგი ქუთაისიდან**

# 1,7 მლრდ დოლარი 9 თვეში — ფულადი გზავნილები რეკორდულ მაჩვენებლებზეა

## ყველაზე მეტი კვლავ რუსეთიდან გადმოირიცხა




**საქართველოში ფულადი გზავნილების მოცულობამ კვლავ მოიმატა. 2021 წლის სექტემბერში უცხოეთიდან ქვეყანაში 209,7 მლნ დოლარი გადმოირიცხა, რაც 8,8%-ით მეტია წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით. შარშან, სექტემბერში, საქართველოში 192,7 მლნ დოლარი გადმოირიცხა. საქართველოს ეროვნული ბანკის მონაცემებით, 2021 წლის იანვარ-სექტემბერში ფულადი გზავნილების მოცულობამ 1,7 მლრდ დოლარი შეადგინა. ეს თითქმის 28%-ით მეტია გასული წლის 9 თვესთან შედარებით, 2020 წლის იანვარ-სექტემბერში ქვეყანაში 1.334 მლრდ დოლარი გადმოირიცხა.**

2021 წლის სექტემბერში საქართველოში უცხოეთიდან გადმოირიცხა 209,7 მლნ დოლარი, ყველაზე მეტი ისევ **რუსეთიდან** — 38,570 მლნ დოლარი.

10 ქვეყანა, რომლებიდანაც სექტემბერში ყველაზე მეტი ფული გადმოირიცხა:

**რუსეთის ფედერაცია** — 38,570 მლნ დოლარი
**იტალია** — 34,070 მლნ დოლარი
**აშშ** — 24,514 მლნ დოლარი
**საბერძნეთი** — 19,994 მლნ დოლარი
**ისრაელი** — 15,428 მლნ დოლარი
**გერმანია** — 10,864 მლნ დოლარი
**თურქეთი** — 9,913 მლნ დოლარი
**უკრაინა** — 7,962 მლნ დოლარი
**აზერბაიჯანი** — 7,814 მლნ დოლარი
**ყაზახეთი** — 5,879 მლნ დოლარი

რაც შეეხება საქართველოდან გადარიცხვებს, 2021 წლის სექტემბერში ფულადმა გზავნილებმა 29,211 მლნ დოლარი შეადგინა, გასული წლის ანალოგიურ პერიოდში კი 25,054 მლნ დოლარი იყო.

**bpn.ge**

**ანტონ ჭყონდიდელის ქადაგებას განუზომელი გავლენა ჰქონდა მსმენელებზე. მარხვისაგან გალეულ მის პირისახეზე აღბეჭდილი იყო ანგელოზებრივი სათნოება. საოცრად კეთილი მღვდელმთავრის ბრძანებით, ჭყონდიდელის რეზიდენციაში ყოველდღე მზადდებოდა სადილი ღარიბ-ღატაკთათვის. ამ წესს შემდგომ ყველა ჭყონდიდელი იცავდა.**

სულიერება
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# ჭყონდიდელი მიტროპოლიტი ღირსი ანტონი და მისი მოწაფე იაკობ ხუცესმონაზონი

**26 ოქტომბერს საქართველოს ეკლესია მოიხსენიებს დიდ მამულიშვილს — ანტონ ჭყონდიდელსა და მის მოწაფე იაკობ ხუცესმონაზონს.**

ღირსი ანტონ ჭყონდიდელი, საქართველოს ეკლესიის ერთ-ერთი თვალსაჩინო მოღვაწე, დაიბადა სამეგრელოს მთავრის, ოტია დადიანის, მრავალშვილიან ოჯახში. დედა, გულქანი, რაჭის ერისთავის, შოშიტა III-ის, ქალიშვილი იყო. ოჯახში ხუთი ვაჟი და ერთი ასული, მარიამი, იზრდებოდა (შემდგომში იმერეთის დედოფალი, ცოლი სოლომონ დიდისა).

შვილებს პირველდაწყებითი განათლება დედამ მისცა. ის იყო ძველი დედების ტრადიციების გამგრძელებელი ქალი, რომლის კეთილი საქმეები მისაბაძი იყო ყველასათვის.

მამის გარდაცვალების შემდეგ ახალგაზრდა ანტონი (მისი საერო სახელი უცნობია) ძმის, კაცია დადიანის, კარზე იზრდებოდა. მას საერო მოღვაწედ ამზადებდნენ და ამიტომაც საღვთო წერილსა და მამათა შრომებზე უფრო ღრმად საერო მწერლობა, პოეზია, ფილოსოფია და ხელოვნება შეასწავლეს. ანტონი ფლობდა თათრულ ენასაც, რომელიც იმ დროისათვის ძალზე პრესტიჟული და აუცილებელი იყო, მაგრამ მოხდა ისე, რომ ანტონმა მონაზვნობა გადაწყვიტა და მალე აღიკვეცა კიდეც.

მონაზვნად შემდგარმა ანტონმა მომეტებულად იგრძნო წყურვილი საეკლესიო განათლებისა. მან მიმართა მარტვილის ბერებს, რომელთა ხელმძღვანელობითაც ეცნობოდა წმიდა მამათა თხზულებებს. განათლების შესავსებად მას მიჰგვარეს ფრანგი მისიონერები, რომელთაც მისთვის უნდა ესწავლებინათ სქოლასტიკური ფილოსოფია. ანტონს არც ფრანგების ქცევა მოეწონა და არც მათი სწავლება. მან შეიტყო, რომ ფრანგი ბერები მწვალებლობის ღვარძლს ურევდნენ მართლმადიდებლურ მოძღვრებაში. ერთხელ, სადილობის დროს, ანტონმა უთხრა ლათინ ბერს: **„თუ შეგიძლია ამ წყლიან ჭიქაში ღვინო ჩაასხა ისე, რომ ერთმანეთში არ გაერიოს?“** ლათინმა მოძღვარმა უპასუხა, რომ ეს შეუძლებელია. მაშინ ანტონმა უთხრა: **„როგორც ერთ ჭიქაში წყალი და ღვინო არ ჩაისხმის ისე, რომ ერთმანეთში არ გაერიოს, აგრეთვე, ერთი კაცის გონება ვერ დაიტევს მართლმადიდებლურ და მწვალებლურ მოძღვრებებს ისე, რომ ერთი მეორეს არ გაჰრიოსო“,** — და ამ დღიდან დაითხოვა ლათინი ბერი.

სწავლის სურვილი არ ასვენებდა ანტონს. „ურვა მქონდა სწავლისა და მკურნალს ვეძიებდი“, — წერს თავად. ამ დროს სამეგრელოში გაიგეს, რომ აღმოსავლეთ საქართველოში გაიხსნა საფილოსოფოსო სკოლა და 1757 წლის ახლო ხანებში ანტონი გაემგზავრა თბილისს, მეფე ერეკლე II-ის კარზე, რომელსაც ცოლად ჰყავდა მისი მამიდა — დარეჯანი.

სამეგრელოში დაბრუნების შემდეგ, 1761 წელს ღირს ანტონს ხელი დაასხეს ცაგერის ეპისკოპოსად. 1765 წელს ანტონ ცაგარელს მოუხდა თბილისში წასვლა: ერეკლეს და, ელისაბედი, მისთხოვდა ანტონის ძმას — კაცია დადიანს. წირვის დროს ახალგაზრდა ანტონს ხელში მისცეს დაუწერელი ქაღალდი. მაშინდელი ჩვეულებით, ეს იმას ნიშნავდა, რომ მას ქადაგება უნდა წარმოეთქვა. ეს მოხდა სულთმოფენობის დღეს. ანტონს ისე ლამაზად და ბრძნულად უქადაგია, რომ აღტაცებულ კათოლიკოსს იგი ამბიონზე გადაუკოცნია.

1777 წელს გარდაიცვალა ჭყონდიდელი გრიგოლი, ბეჟან დადიანის ძე. იმავე წელს ჭყონდიდის ტახტზე ავიდა ანტონ ცაგარელი, ხოლო ცაგერის კათედრა მიიღო მისმა ნათესავმა სოფრონმა.

**ანტონ ჭყონდიდელის ქადაგებას განუზომელი გავლენა ჰქონდა მსმენელებზე. მის მარხვისაგან გალეულ პირისახეზე აღბეჭდილი იყო ანგელოზებრივი სათნოება. საოცრად კეთილი მღვდელმთავრის ბრძანებით, ჭყონდიდელის რეზიდენციაში ყოველდღე მზადდებოდა სადილი ღარიბ-ღატაკთათვის. ამ წესს შემდგომ ყველა ჭყონდიდელი იცავდა.**

**XVIII საუკუნეში სამეგრელოში ზოგიერთმა დიდებულმა შემოიღო ტყვეთა გაყიდვის უსაშინლესი წესი. ანტონი მტკიცედ აღუდგა წინ ამ ბოროტ ჩვეულებას. ის შეაჩვენებდა ტყვეების მსყიდველთ. მათ სახლში მღვდელს არ შეუშვებდა. სოფელში ეკლესიას დაკეტავდა. 1792 და 1794 წელს ანტონის თავმჯდომარეობით ჩატარდა ადგილობრივი კრება, რომელმაც მკაცრი განაჩენი გამოუტანა ტყვეთა მსყიდველებს. სასტიკი ზომები მიზანს აღწევდა: დამნაშავენი შენდობას თხოულობდნენ, საკანონოს იხდიდნენ და გაყიდულ ტყვეს გამოიხსნიდნენ ხოლმე.**

1789 წელს მიტროპოლიტმა ანტონმაც დატოვა ჭყონდიდის კათედრა, უბრალო მონაზვნური ღვაწლი იტვირთა და მის მიერვე აშენებულ **ნახარებაუს მონასტერში** განმარტოვდა. მან ეს მონასტერი გაამდიდრა სიწმიდეებით, ძველი ხატებით, დიდძალი მამულებითა და გლეხებით. **ჭყონდიდელობიდან გადადგომის წინა წელს (1788 წ.) მთავარს, კაცია დადიანს, ყველა საეკლესიო მამული გაათავისუფლებინა საერო გადასახადებისგან.** წმიდა ანტონს მუდამ გვერდით ედგა უახლოესი მეგობარი და თანაშემწე, მღვდელ-მონაზონი იაკობი, რომლის შესახებ ბიოგრაფიული ცნობები არ მოგვეპოვება.

ღირსი ანტონი ღრმად მოხუცებული გარდაიცვალა 1815 წელს მის მიერვე აშენებულ მონასტერში, დაკრძალულია იქვე.

*მომზადდა წიგნიდან „ქართველ წმიდანთა ცხოვრებანი“, თბილისი, 2004 წ.*



წმიდა ანტონი და მისი უახლოესი მეგობარი და თანაშემწე, მღვდელ-მონაზონი იაკობი



ღირსი ანტონის მიერ აგებული ტაძარი ნახარებაუში



წმ. ანტონის საფლავი

**1792 და 1794 წელს ანტონის თავმჯდომარეობით ჩატარდა ადგილობრივი კრება, რომელმაც მკაცრი განაჩენი გამოუტანა ტყვეთა მსყიდველებს. სასტიკი ზომები მიზანს აღწევდა: დამნაშავენი შენდობას თხოულობდნენ, საკანონოს იხდიდნენ და გაყიდულ ტყვეს გამოიხსნიდნენ ხოლმე**

ყველაზე ყველაზე...
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**11 ქვის ძველი ეკლესია ლალიბელაში არის დასტური იმისა, რომ ეთიოპიაში ქრისტიანობა უფრო დიდი ხანი არსებობს, ვიდრე ბევრ სხვა ქვეყანაში. ეთიოპიაში რელიგიას, მიუხედავად ქვეყანაში არასტაბილურობისა და სიღარიბის მაღალი დონისა, წამყვანი ადგილი უკავია 330 წლიდან.**

# 6 ყველაზე იდუმალი შენობა-ნაგებობა მსოფლიოში

პლანეტა დედამიწაზე ადამიანის მიერ შექმნილი ბევრი იდუმალი ადგილია. დღეს ბევრ არქიტექტორსა და ინჟინერს შეუძლია იამაყოს ულტრათანამედროვე, მეგაპროექტების შექმნით. სასპორტო არენები, ძეგლები, ტაძრები — ეს ყველაფერი მიუთითებს იმაზე, რომ ადამიანს აქვს შენების უნარი. ძველად, საუკუნეების წინათ, ჩვენს წინაპრებს არ ჰქონიათ ისეთი ტექნიკური საშუალებები, ტექნოლოგიები და მასალები, რომლებსაც დღეს თანამედროვე ადამიანი იყენებს, მაგრამ მაინც აგებდნენ მონოლითურ კონსტრუქციებს, რომლებიც დღესაც იწვევს განცვიფრებას.





## ტაძარი ბორობუდურში



მსოფლიოში ყველაზე დიდი ბუდისტური ტაძარი იდუმალებითაა მოცული — მალავს პასუხს კითხვაზე, როგორ აშენდა ის. ისტორიკოსთა აზრით, ტაძარი ბორობუდურში (ინდონეზია) VIII საუკუნეში ააშენეს შიილენდრას დინასტიის წარმომადგენლებმა. უზარმაზარი ნაგებობა ასი წლის განმავლობაში შენდებოდა, მას 504 სტატუა ამშვენებს.

## მიწისქვეშა კლდოვანი ტაძრები ლალიბელაში

11 ქვის ძველი ეკლესია ლალიბელაში არის დასტური იმისა, რომ ეთიოპიაში ქრისტიანობა უფრო დიდი ხანი არსებობს, ვიდრე ბევრ სხვა ქვეყანაში. ეთიოპიაში რელიგიას, მიუხედავად ქვეყანაში არასტაბილურობისა და სიღარიბის მაღალი დონისა, წამყვანი ადგილი უკავია 330 წლიდან.

მონოლითური კონსტრუქციები დედამიწის ზედაპირის ქვეშ 12-15 მეტრის სიღრმეზეა განლაგებული, ბევრი მეცნიერი ცდილობდა და ცდილობს ამ განსაცვიფრებელი ტაძრების წარმოშობის ისტორიას მიაკვლიოს. ყველაზე პოპულარული ჰიპოთეზა ასეთია: საკულტო ნაგებობების აშენების ბრძანება გასცა მეფე ლალიბელამ XII საუკუნეში.

ადგილობრივი მორწმუნეები, რომლებიც დადიან მიწისქვეშა ეკლესიებში, ამ თეორიაში ღვთაებრივ აზრს ხედავენ. ისინი მიიჩნევენ, რომ მეფე ლალიბელამ 11 ეკლესია ერთ ღამეში ააგო ანგელოზების არმიის დახმარებით.



## მორაის ტერასები

მორაი, რომელიც მდებარეობს პერუში ქალაქ კუსკოდან 50 კმ-ის დაშორებით, არის ინკების არქიტექტურულ ქმნილებათა ნანგრევების ერთ-ერთი იდუმალი და განსაცვიფრებელი ადგილი. ეს არის უძველესი ამფითეატრის ნანგრევები წრიული ტერასებით. ყველაზე დიდი ტერასა 150 მ სიღრმეზე წრიულ ფსკერზე ეშვება. საინტერესოა, რომ ამ ნაგებობას მაღალ საინჟინრო დონეზე აქვს გაკეთებული დრენაჟი და წვიმის წყალი საერთოდ არ დგება. კიდევ ერთი განსაკუთრებული ფაქტორი არის ის, რომ ტერასების ზედა და ქვედა რგოლების ტეპერატურებს შორის სხვაობა 15 გრადუსია.

## ციტადელ საკსაიუამანის კედლები



კუსკო (პერუ) — ამ ადგილას შეიძლება ინკების უამრავი არქიტექტურული ნანგრევი იპოვოთ, მაგრამ მათგან ყველაზე შთამბეჭდავია ციტადელი საკსაიუამანი, რომელიც ქალაქის ჩრდილოეთ ნაწილში მდებარეობს. ინკებმა თავიანთი დინასტიის ყოფილი დედაქალაქი ციხესიმაგრედ ააგეს, მაგრამ დღეს კომპლექსის დიდი ნაწილი ნანგრევებადაა ქცეული. ყველაფერი, რაც მისგან დარჩა, დიდებული კედელია, რომელიც საგონებელში აგდებს მეცნიერებს.

როგორც ინკების ბევრი ნაგებობა, ციტადელ საკსაიუამანის კედლები მძიმე ლოდებისგანაა აშენებული და თითქოს ფაზლებითაა შეერთებული. ლოდებს არასწორი ფორმები აქვთ, მაგრამ ისეა განლაგებული, მათ შორის ნემსი არ გაეტევა. კედლები 6 მ სიმაღლისაა, მათ შორის ყველაზე გრძელი კი 400 მ-ს აღწევს.

კედლები ისეთი შთამბეჭდავია, რომ, როდესაც ესპანელებმა კუსკო დაიპყრეს, მათი დანგრევა დაიწყეს, რადგან ფიქრობდნენ, რომ ასეთი ნაგებობის შექმნა მხოლოდ დემონებს ხელეწიფებოდათ, მაგრამ ბევრი ლოდი ძალიან მძიმე იყო და ადგილიდან ვერ დაძრეს. როგორ შეძლეს ინკებმა ამ ციხესიმაგრის აგება, დღემდე უცნობია.



## ნან-მადოლი

მიტოვებული მეგალითური ქალაქი ნან-მადოლი არქიტექტურისა და ხელოვნების განსაცვიფრებელი მაგალითია, რომელიც საშუალებას გვაძლევს, წარმოვიდგინოთ, რა შესაძლებლობები ჰქონდათ ადამიანებს საუკუნეების წინათ.

წყნარ ოკეანეში მდებარე კუნძულ პონპეის (მიკრონეზიის ფედერაციული შტატები) ლაგუნაში აშენებული ნან-მადოლი 60 ჰექტარზე გაშენებული 100 ხელოვნური კუნძულისგან შედგება. ისტორიკოსების აზრით, ნან-მადოლი **საუ დელერის** დინასტიის (1100-1628 წწ.) ბელადების პოლიტიკური და ცერემონიების გასამართავი ცენტრი იყო, რაც კიდევ უფრო გასაოცარი რაკურსით წარმოაჩენს ქალაქს, რადგან ნან-მადოლის მშენებლებს არანაირი კირი, ალიზი და მით უმეტეს, ცემენტი არ გამოუყენებიათ უზარმაზარი ქვის კოლონების ასაგებად. შენობები აგებულია მხოლოდ თითოეული ქვისა თუ ლოდის წონისა და ფორმის გათვალისწინებით.

მიუხედავად იმისა, რომ ქალაქის არქიტექტურასა და ინჟინერიაზე ცნობებს ჩვენამდე არ მოუღწევია, ვიცით, რომ ასეთი პროექტის რეალიზაციას ძალიან განვითარებული ეკონომიკური და ეკოლოგიური სისტემა დასჭირდებოდა.

## პუმა-პუნკუ



ეს ადგილი ბოლივიის ანდებში განლაგებული ტაძრების კომპლექსის ნაწილია. ისტორიკოსები ვარაუდობენ, რომ ქვის ნაგებობები პუმა-პუნკუ 536-დან 600 წლამდე პერიოდში აუშენებიათ.

რატომ არის პუმა-პუნკუ უნიკალური? ქვები საკმაოდ მასიურია, მათგან ყველაზე დიდი 131 ტონას იწონის. ეს 2-ჯერ მეტია მიწისმთხრელი მანქანების უმრავლესობის წონაზე. არავინ იცის, 1420 წლის წინათ როგორ შეძლეს ადამიანებმა ამ ქვების გადატანა ერთი ადგილიდან მეორეზე.

პუმა-პუნკუ მთებში 3900 მ-ის სიმაღლეზე მდებარეობს, სადაც ხეები არ იზრდება და ადამიანები მორებს ვერ გამოიყენებდნენ ამ უზარმაზარი ლოდების გადასატანად. ყველაზე დიდი გამოცანაა ტექნიკა, რომელიც გამოყენებულია ბლოკების დასამუშავებლად: ქვები დაუჯერებელი სიზუსტითაა დამუშავებული და მათ სწორი ფორმები აქვს. საუკუნეების წინათ ადამიანები, ალბათ, არც ისეთი პრიმიტიულები იყვნენ, როგორც ჩვენ ვფიქრობთ.

მოამზადა **ნიკა კორინთელმა**

ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაცია აქტიურად ცდილობს მსოფლიო ჩემპიონატების ყოველ 2 წელიწადში გამართვის იდეისთვის ხორცშესხმას. ჯერ კიდევ მაისში ფედერაციის წევრებს შორის გაიმართა კენჭისყრა, რომლის შედეგების მიხედვით 211-დან 166-მა ფედერაციამ მხარი დაუჭირა ამ რეფორმის გატარებას. ამასთანავე, იდეას მხარი დაუჭირა ფიფას წარმომადგენლების მიერ 23 ქვეყანაში გამოკითხულმა 15 ათასმა გულშემატკივარმა.

სპორტი
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# «ეს ფეხბურთს დაღუპავს». რატომ აპირებენ კლუბები ფიფასთვის ომის გამოცხადებას?

## უეფამ და ევროპის კლუბების საფეხბურთო ასოციაციამ გააკრიტიკეს ფიფას რეფორმები მსოფლიო ჩემპიონატის ჩატარებაზე

**მსოფლიო ჩემპიონატი ორ წელიწადში ერთხელ? — ფული შთანთქავს ფეხბურთს. ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაცია აქტიურად ცდილობს მსოფლიო ჩემპიონატების ყოველ 2 წელიწადში ერთხელ გამართვის იდეის განხორციელებას. ჯერ კიდევ მაისში ფედერაციის წევრებს შორის გაიმართა კენჭისყრა, რომლის შედეგების მიხედვით 211-დან 166-მა ფედერაციამ მხარი დაუჭირა ამ რეფორმის გატარებას. ამასთანავე, იდეას მხარი დაუჭირა ფიფას წარმომადგენლების მიერ 23 ქვეყანაში გამოკითხულმა 15 ათასმა გულშემატკივარმა.**




ფიფას პრეზიდენტი ჯანი ინფანტინო (მარცხნივ) და უეფას პრეზიდენტი ალექსანდრე ჩეფერინი

ფიფას ბოსების მისწრაფება, უწინარესად, განპირობებულია გამდიდრების შესაძლებლობით. **ამჟამად არსებული ფორმატით ჩემპიონატის ჩატარების შედეგად ეს ორგანიზაცია დიდძალ ფულს გამოიმუშავებს. მაგალითად, ბოლო მუნდიალმა, რომელიც 2018 წელს რუსეთში გაიმართა, ფიფას 5 მლრდ დოლარი მოუტანა. ორგანიზაცია არ მალავს, რომ, თავისი ახალი პროექტის წყალობით, იმედი აქვს, შეინარჩუნებს და გაზრდის კიდეც შემოსავლების ტემპს.**

ამასთანავე, ფედერაცია ფინანსური წყურვილის დამალვას ცდილობს შეჯიბრებების და, საერთოდ, ფეხბურთის ხარისხის გაუმჯობესებისკენ სწრაფვით.

„ჩვენ გვსურს, მნიშვნელოვნად შევამციროთ შესარჩევი მატჩების რაოდენობა და ნაკრებების თამაშებს შორის შესვენებები. ბევრს არ მოსწონს საკვალიფიკაციო რაუნდების ჩატარება წელიწად-ნახევრის განმავლობაში. ჩვენ გთავაზობთ მათ შემცირებას 4 ან 5 კვირამდე და შეჯიბრების ჩატარებას ერთ კალენდარულ ფანჯარაში“, — ამბობს **არსენ ვენგერი**, ლონდონის არსენალის ლეგენდარული მწვრთნელი, ამჟამად ფეხბურთის გლობალური განვითარების ფიფას პროექტის ხელმძღვანელი.

იგულისხმება, რომ კლასიკური საკვალიფიკაციო რაუნდი გადაკეთდება ცალკე მინიტურნირად და ჩატარდება ერთ თვეში. რა სარგებელს მოუტანს ეს კლუბებს? მათ აღარ მოუწევთ, წელიწადში რამდენიმეჯერ გაუშვან თავიანთი ფეხბურთელები ნაკრებში. მოთამაშეები ეროვნული ნაკრების განკარგულებაში წელიწადში ერთხელ იქნებიან, შესაძლოა, სეზონის დასრულებისას და არა მისი მიმდინარეობისას.

### ფიფას იდეას უეფა ეწინააღმდეგება და ბოიკოტით იმუქრება

მიუხედავად იმისა, რომ რამდენიმე ევროპულმა ასოციაციამ მხარი დაუჭირა ფიფას იდეას, ბევრი კონტინენტის ქვეყნების საერთო ტონი ამ პროექტის მიმართ ნეგატიურია. „ლიგები არ დაუშვებენ, რომ ფეხბურთის მმართველმა ორგანოებმა ცალმხრივად მიიღონ ეროვნული ჩემპიონატებისთვის საზიანო გადაწყვეტილებები“, — ნათქვამია ევროპის პროფესიული საფეხბურთო ლიგების ასოციაციის (EPFL) განცხადებაში.

**ფიფას ამჟამინდელ ქმედებებს, საერთოდ, უკანონოდ მიიჩნევს კიდევ ერთი უწყება — ევროპული კლუბების ასოციაცია. ამ ორგანიზაციაში გაერთიანებულია 234 გუნდი („რეალის“, „ბარსელონასა“ და „იუვენტუსის“ გარდა) რომელთა წარმომადგენლებს მიაჩნიათ, რომ ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციის აღნიშნული პროექტი „დაღუპავს ფეხბურთს და უარყოფითად იმოქმედებს სპორტსმენების ჯანმრთელობაზე“.**

ხისტი პოზიცია დაიკავა უეფამ — კონტინენტის მთავარმა მმართველმა საფეხბურთო ორგანომ. უეფაც შიშობს, რომ ფეხბურთელებს ჯანმრთელობა შეერყევათ და მსოფლიო ჩემპიონატის 2 წელიწადში ერთხელ ჩატარება მას მნიშვნელობას დაუკარგავს: **„ჩემპიონატის ხიბლი არის ის, რომ 4 წელიწადში ერთხელ იმართება“.** ამას გარდა, უეფაში დარწმუნებულნი არიან, რომ ახალი ფორმატი მძლავრად დაარტყამს დაბალი რეიტინგის ეროვნულ ნაკრებებს და კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენებს ქალთა ფეხბურთს. უეფამ უკვე მოითხოვა ფიფასგან, რიგგარეშე სხდომის ჩატარება მოცემული საკითხის განსახილველად, წინააღმდეგ შემთხვევაში ბოიკოტით იმუქრება.

ევროპის საფეხბურთო ასოციაციის ეს საქციელი მიუთითებს იმაზე, როგორ ზრუნავენ თავიანთ გავლენასა და ძალაუფლებაზე ამ ორგანიზაციაში. გასაკვირი არ არის, რომ ფიფას პროექტის მხარდამჭერთა შორის უპირატესად აზიისა და აფრიკის ქვეყნების ფედერაციები არიან. მსგავსი სურათი იყო მიმდინარე წლის გაზაფხულზე, როცა უეფამ დაიწყო ბრძოლა ე.წ. სუპერლიგის წინააღმდეგ. იმხანად უეფას საკმარისი რესურსი და ძალა აღმოაჩნდა გასამარჯვებლად.




### აქვს თუ არა შანსი ფიფას?

მხოლოდ თეორიული დიდძალთანხიანი სპონსორული კონტრაქტების დადებით ფიფას შეუძლია უეფაზეც იქონიოს გავლენა. ანალოგიურად მოიქცა თვით უეფაც, როცა სუპერლიგაში შესვლის მსურველ ტოპ-კლუბებს პირობების გაუმჯობესება შესთავაზა. სწორედ ამან შეაცვლევინა მათ გადაწყვეტილება და უარი ათქმევინა სუპერლიგის პროექტში მონაწილეობაზე, მაგრამ ჯერჯერობით კოზირები უეფას ხელშია. სწორედ ამ კონტინენტის ქვეყნები არიან უმრავლესობით წარმოდგენილნი (7 ტოპ-10-დან) ფიფას რეიტინგში. ისიც აღსანიშნავია, რომ შეიძლება გამართლდეს შიში, რომ სპონსორებმა ისე გულუხვად აღარ ჩადონ ფული ფეხბურთში მუნდიალის უფრო ხშირად ჩატარების შემთხვევაში. ეს ეხება ქვეყნებს, რომლებსაც სურთ ტურნირის მასპინძლობა. მოვლენის უნიკალურობა ხომ იკარგება...

ექსპერტთა აზრით, მსოფლიო საფეხბურთო ჩემპიონატის 2 წელიწადში ერთხელ ჩატარება გააუფასურებს ამ ტურნირის სტატუსს და თვითონ ტიტულის ელიტარულობას. ამჟამად მოქმედ ფეხბურთელებს გაუჩნდებათ პლანეტის ჩემპიონობის 2-ჯერ მეტი შანსი, რაც, უწინარესად, არასამართლიანია წინა თაობების ფეხბურთელთა მიმართ; მეორე — მსოფლიო ჩემპიონატი ჩვეულებრივ ტურნირად იქცევა, როგორც, მაგალითად, ჰოკეის მსოფლიო ფორუმი, რომელიც ყოველწლიურად იმართება. ჰოკეიში მსოფლიო ჩემპიონატი არ იწვევს მაყურებლის დიდ ინტერესს, ოლიმპიური თამაშების ტურნირისგან განსხვავებით. სწორედ ასეთი ბედი ელის ფეხბურთის მსოფლიო ჩემპიონატსაც.

**ფიფას ამჟამინდელ ქმედებებს უკანონოდ მიიჩნევს ევროპული კლუბების ასოციაცია. ამ ორგანიზაციაში გაერთიანებულია 234 გუნდი («რეალის», «ბარსელონასა» და «იუვენტუსის» გარდა), რომელთა წარმომადგენლებს მიაჩნიათ, რომ ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციის აღნიშნული პროექტი «დაღუპავს ფეხბურთს და უარყოფითად იმოქმედებს სპორტსმენების ჯანმრთელობაზე». ხისტი პოზიცია დაიკავა უეფამაც — კონტინენტის მთავარმა მმართველმა საფეხბურთო ორგანომ. უეფაც შიშობს, რომ ფეხბურთელებს ჯანმრთელობა შეერყევათ და მსოფლიო ჩემპიონატის 2 წელიწადში ერთხელ ჩატარება მას მნიშვნელობას დაუკარგავს**

მოამზადა
**ნიკა კორინთელმა**

# ამერიკას მართავს ორი მეგობარი — ბაიდენი და ალცჰაიმერი?



**ალცჰაიმერის დაავადების შესახებ ცნობებით აღჭურვილმა The American Thinrer-ის ჟურნალისტებმა დისტანციურად შეამოწმეს აშშ-ის პრეზიდენტი ჯო ბაიდენი ხანდაზმულობით გამოწვეულ გონებასუსტობაზე.**

„ალცჰაიმერის დაავადება ტრაგედიაა ხანდაზმული ადამიანისა და მისი ნათესავებისთვის, მაგრამ, თუ ხანდაზმულობით გამოწვეული გონებასუსტობით აშშ-ის პრეზიდენტია დაავადებული, ეს სახელმწიფოსთვის კატასტროფაა. ალცჰაიმერის დაავადების სიმპტომები საიდუმლო არ არის და ნებისმიერ ადამიანს აქვს უფლება, „მძინარე ჯოს“ საქციელის გაანალიზების შემდეგ დასკვნები გამოიტანოს.

დაავადებების კონტროლისა და პროფილაქტიკის ცენტრის პოპულარულ ბროშურაში „ალცჰაიმერის დაავადების 10 საგანგაშო სიგნალი“ დაავადების პირველ ნიშნად დასახელებულია **მეხსიერების დაკარგვა.** გულმავიწყობა ბაიდენის საფირმო სტილია. ფურცელზე დაწერილის წაკითხვის გარეშე მას არ შეუძლია უბრალო ინფორმაციის გახსენება. ეს ძალიან შესამჩნევი იყო ქარიშხალ იდასადმი მიძღვნილ პრესკონფერენციაზე. გონებასუსტობის მეორე ნიშანია **გადაადგილების მარშრუტის დაგეგმვისას შექმნილი სირთულეები და შეფერხებები ჩვეული ამოცანების შესრულებისას.** სევდიანი პოლიტიკური სატირის კლასიკად იქცა ეპიზოდი, როცა 2021 წლის მარტში ჯო ბაიდენმა მწვანე მდელოზე გზა ვერ გაიკვლია ბორტი №1-ისკენ. ვერტმფრენამდე ის თანაშემწეებმა და ვიცეპრეზიდენტმა **კამილა ჰარისმა** მიიყვანეს. სივრცის აღქმაში სირთულეები ბაიდენს პრეზიდენტობის კანდიდატობის პერიოდშიც ჰქონდა. 2020 წლის თებერვალში სამხრეთ კაროლინის შტატში (არსებობს ჩრდილოეთ კაროლინის შტატიც) გამართულ მიტინგზე გამოსვლისას ბაიდენმა განაცხადა, რომ აშშ-ის ბედი წყდება „პირდაპირ აქ, ჩრდილოეთ-სამხრეთ კაროლინის შტატში“. ხანდაზმულობით გამოწვეული გონებასუსტობის მნიშვნელოვანი ნიშანია **მეტყველების პრობლემები.** 2021 წლის გაზაფხულზე ბრიტანულმა The Sun-მა ყურადღება გაამახვილა იმაზე, რომ ჯო ბაიდენის თითქმის ყველა პრესკონფერენცია სატანჯველად იქცევა ხოლმე პრეზიდენტისა და ჟურნალისტებისთვის. „ბაიდენი რაღაცას ლუღლუღებს კამერების წინ და პერიოდულად ავიწყდება, რაზე ლაპარაკობს“, — წერს The Sun-ი.

ალცჰაიმერის დაავადების კიდევ ერთი სიმპტომია ჩვეულ გარემოში რამე **ნივთის პოვნის უუნარობა.** ყველას ახსოვს შემთხვევა, როცა ქალაქ დულუტში გამოსვლისას ბაიდენი მიკროფონში ამბობდა, რომ სამედიცინო პირბადე ვერ იპოვა, არადა, ყველა ხედავდა, რომ პირბადე ჯიბეში ედო. ალცჰაიმერის ყველაზე დამახასიათებელი ნიშანი **პრობლემების გადაწყვეტისას უმწეობა და საფრთხის არამართებულად შეფასებაა.**

„ავღანეთში საევაკუაციო ჯარებისა და სამოქალაქო პირების ტრაგედია საფრთხის მიმართ ბაიდენის არაადეკვატურმა რეაქციამ გამოიწვია“, — წერს American Thinrer-ი.

გამოცემა მიდის დასკვნამდე, რომ ჯო ბაიდენს ალცჰაიმერის დაავადების პრაქტიკულად, ყველა სიმპტომი აქვს. ასეთ მდგომარეობაში კი ხანდაზმული ადამიანი უუნაროა და, სახელმწიფოს კი არ უნდა მართავდეს, ექიმების მეთვალყურეობის ქვეშ უნდა იმყოფებოდეს.

**svpressa.ru-ზე გამოქვეყნებული მასალის მიხედვით მოამზადა ნიკა კორინთელმა**

# ინგლისელების ორპირობა და ფარისევლობა



**დიდი ბრიტანეთის დედოფალმა ელისაბედ II-მ წერილი გაუგზავნა ყირიმის „მეცნიერებათა მცირე აკადემიის“ მოსწავლეებს. კონვერტზე დედოფალმა მიუთითა მისამართი: „ქალაქი სევასტოპოლი, რუსეთი“.**



როგორ მოიქცევა უკრაინა? ისეთ სახეს მიიღებს, რომ თითქოს ვერაფერი შენიშნა? უკრაინის საგარეო საქმეთა სამინისტრო ელჩს გამოიწვევს თუ...

და კიდევ: აბა, გამოიცანით, ვინ იქნება შემდეგი?

**news-front.info- ზე გამოქვეყნებული მასალის მიხედვით მოამზადა გიორგი გაჩეჩილაძემ**

# ბრიტანეთში ენერგომატარებლების გაძვირებამ პროდუქტების დეფიციტი გამოიწვია



**ბრიტანელები თავიანთი მთავრობის დაუფიქრებელი მოქმედებების ნაყოფს იმკიან. ქვეყანაში პროდუქტებისა და პირველადი მოხმარების საგნების დეფიციტია. პატარ-პატარა პრობლემებმა გლობალური კრიზისი გამოიწვია.**

ბრიტანულმა ტაბლოიდმა Daily Mail-მა გამოაქვეყნა ფოტორეპორტაჟი, რომელშიც გამოცემა ცარიელი და ნახევრად ცარიელი დახლების ფონზე მოსახლეობას ურჩევს, საშობაო ვახშმისთვის აქედანვე მოემზადოს — პროდუქტები იყიდოს და მაცივარში შეინახოს.

ბევრი ბრიტანელი ტრადიციული საშობაო ვახშმის გარეშე შეიძლება დარჩეს და ამის მიზეზი ენერგომატარებლების გაძვირების გამო პროდუქტებსა და, საერთოდ, ყველაფერზე ფასების მომატებაა.

ბრიტანეთში ხორცის მრეწველობის დიდი ქარხნები, უბრალოდ, გაკოტრდნენ, რადგან მათ მფლობელებს უზარმაზარი გადასახადის გადახდა მოუწიათ დახარჯულ ელექტროენერგიაზე.

აღსანიშნავია ისიც, რომ ბრიტანეთში კატასტროფულად არ ჰყოფნით სატვირთო ავტომობილების მძღოლები და, საერთოდ, მუშახელი.

**news-front.info-ზე გამოქვეყნებული მასალის მიხედვით მოამზადა ლუკა მაისურაძემ**



# ლატვიელი ახალგაზრდების მეოთხედს ქვეყნის დატოვება სურს

**ლატვიელ ახალგაზრდებში საგანგაშო ტენდენცია შეიმჩნევა: ახალგაზრდების 24%-ს ქვეყნის დატოვება სურს, — წერს delfi.lv.**

ლატვიის უნივერსიტეტის ფილოსოფიისა და სოციოლოგიის ინსტიტუტის წამყვანი მკვლევარის თქმით, 2021 წლის ზაფხულში ევროპის 9 ქვეყანაში ჩატარდა გამოკითხვა, რომლის შედეგების მიხედვით გაირკვა, რომ ლატვიის ახალგაზრდების დიდ ნაწილს ქვეყნის დატოვება სურს. გამოკითხვაში მონაწილეობდა 4000 ადამიანი ბალტიისპირეთის ქვეყნებიდან.

აშშ, გერმანია და ესპანეთი — ეს არის სამი ყველაზე პოპულარული ქვეყანა, რომლებშიც სურთ ცხოვრება ლატვიის, ლიეტუვისა და ესტონეთის ახალგაზრდა მოქალაქეებს.

ლატვიელი ახალგაზრდების 24%-ს ქვეყნის დატოვება სურს. მათი უმეტესობა დიდ ბრიტანეთში ემიგრაციას ამჯობინებს. 2020 წელს ლატვია 12 ათასმა მოქალაქემ დატოვა.

**eadaily.com-ზე გამოქვეყნებული მასალის მიხედვით მოამზადა ლუკა მაისურაძემ**

# პატრუშევმა რუსეთს, უკრაინასა და საქართველოს შორის კავშირის განწყვეტის მცდელობაში აშშ დაადანაშაულა

**„აშშ ცდილობს, გაწყვიტოს ეკონომიკური და კულტურული კავშირები რუსეთს, უკრაინასა და საქართველოს შორის“, — განაცხადა რუსეთის ფედერაციის უშიშროების საბჭოს მდივანმა ნიკოლოზ პატრუშევმა.**

„ამერიკელების ყურადღების ფოკუსში რჩება დსთ-ის (დამოუკიდებელი სახელმწიფოების თანამეგობრობა — გ.გ) სივრცე. ხორციელდება კურსი რუსეთის ეკონომიკურად და კულტურულად დასაშორებლად საქართველოსა და უკრაინისგან“, — განაცხადა პატრუშევმა დსთ-ის ქვეყნების უსაფრთხოების ორგანოებსა და სადაზვერვო სამსახურების ხელმძღვანელთა XVII თათბირზე სიტყვით გამოსვლისას.

**ria.ru-ზე გამოქვეყნებული მასალის მიხედვით მოამზადა გიორგი გაჩეჩილაძემ**



თუ გსურთ, გაზეთი „საქართველო და მსოფლიო“ მიიღოთ სახლიდან გაუსვლელად და ისარგებლოთ უფასო საკურიერო მომსახურებით, შეგიძლიათ დაუკავშირდეთ კომპანიას „ელვა.ჯი“ — ტელ: 2 38 26 73; 2 38 26 74

www.geworld.ge
ესტუმრეთ ჩვენს საიტს
პოლიტიკა ეკონომიკა საზოგადოება ადამიანის უფლებები ისტორია

სარედაქციო კოლეგია
გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
ავტორებს ეკისრებათ პასუხისმგებლობა ფაქტებისა და მონაცემების სიზუსტეზე. რედაქციის პოზიცია შეიძლება არ ემთხვეოდეს ავტორთა მოსაზრებებს.
მისამართი: თბილისი, დავით ბაქრაძის ქ. №6
ტელ.: 234-32-95; e-mail: geworld@inbox.ru

ISSN 2233-3894